

უფლისწიხე UPLISTSIKHE



თბილისი 2023 Tbilisi

პროექტის ავტორი	ნაზი ხუნდაძე
სამეცნიერო რედაქტორი	დავით მინდორაშვილი
რედაქტორი	ნინო ნადარაია
მთარგმნელი	მედეა წონელია
ფოტოგრაფი	ზაზა ბესელია
დამკაბადონებელ-დიზაინერი	ირაკლი ხუციშვილი

Author of a project	Nazi Khundadze
Scientific editor	David Mindorashvili
Editor	Nino Nadaraia
Translator	Medea Tsotselia
Photos by	Zaza Beselia
Layout and design	Irakli Khutsishvili



საქართველოს კულტურის სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE, SPORT AND
YOUTH OF GEORGIA



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ISBN 978-9941-9822-5-5

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მუზეუმთა ჯგუფი, 2023

სარჩევი

CONTENTS

დავით ხახუტაიშვილი – ღვანლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე	7
David Khakhutaishvili – meritorious scientist, weacher, public figure	10
დავით ხახუტაიშვილის ნაშრომების ბიბლიოგრაფია	12
<i>ნაზი ხუნდაძე</i>	
უფლისციხის შესწავლის ისტორიიდან	19
<i>Nazi Khundadze</i>	
From the history of study of Uplistsikhe	30
<i>ნაზი ხუნდაძე</i>	
უფლისციხე წინაანტიკურსა და ანტიკურ ხანებში	33
<i>Nazi Khundadze</i>	
Material of pre-antique and antique Uplistsikhe	50
<i>ლევან ლოსაბერიძე, მარიამ ელოშვილი, თამარ ბიჭაშვილი, ნაზი ხუნდაძე</i>	
ლაშეთხევის მრავალფენიანი ნამოსახლარი	55
<i>Levan Losaberidze, Mariam Eloshvili, Tamar Bitchashvili, Nazi Khundadze</i>	
Lashetkhevi multi-period settlement	59
<i>მანანა წერეთელი</i>	
უფლისციხის არტეფაქტების მხატვრული სტილის ნიშნები	61
<i>Manana Tsereteli</i>	
Signs of artistic style of Uplistsikhe artifacts	87
<i>ერმინე მაღრაძე</i>	
ძვ.წ. IV-III საუკუნეების საოქრომჭედლო ხელსაწყო უფლისციხის ნაქალაქარიდან	68
<i>Ermine Magradze</i>	
The 4 th -3 rd cc. BC. goldsmith's tool from Uplistsikhe settlement	73
<i>დავით მინდორაშვილი</i>	
უფლისციხის ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა	74
<i>David Mindorashvili</i>	
Archaeological material of the Early and Developed Middle Ages from Uplistsikhe	85
ტაბულები / Tables	86
შემოკლებათა განმარტება	240



ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, ღვანლმოსილ მეცნიერს, ისტორიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, მასწავლებელსა და დიდებულ ადამიანს, დავით ხახუტაიშვილს 2024 წლის 16 იანვარს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულებდა. მან თავდაუზოგავად იღვანა საქართველოს წარსულის შესასწავლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხის არქეოლოგიური გათხრების წარმოებისა და მეცნიერულად კვლევის საქმეში. მოვიხმოთ არქეოლოგ ჯურხა ნადირაძის სიტყვებს: „არქეოლოგიური აღმოჩენა ჩასვენებული მზის ხელახალ ამობრწყინებას ჰგავს, იგი შუქს ფენს ბნელით მოცულ შორეულ წარსულს და ხალხს, რომელმაც ეს წარსული შექმნა, სამერმისო გზას უნათებს“. აი, ასე ხელახლა ამოაბრწყინა დავით ხახუტაიშვილმა უფლისციხის ბნელით მოცული შორეული წარსული და დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა თავისი ნაშრომების სახით.

უფლისციხის კვლევის დიდი მოამაგისადმი პატივისცემის ნიშნად მისი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ამ გამოცემაში ზოგადადაა მიმოხილული დ. ხახუტაიშვილის ხანგრძლივი სამეცნიერო გზა, განსაკუთრებით გამოკვეთილადაა წარმოდგენილი უფლისციხის კვლევის ისტორია, მისი შედეგები და საილუსტრაციო მასალა.

David Khakhutaishvili, one of the excellent representatives of Georgian archaeology, meritorious scientist, historian, public figure, teacher, and a great person, would have celebrated his 100th birthday on January 16, 2014. He devoted himself to studying the past of Georgia. This scientist's role in conducting archaeological excavations and scientific research of the rock-cut town of Uplistsikhe is especially important. "Archaeological discovery is like the re-emergence of the sun that has set in. It sheds light on the dark distant past and illuminates the path in salvation for the people who created that past", wrote Georgian archaeologist Jurkha Nadiradze and this is how D. Khakhutaishvili re-illuminated the dark past of Uplistsikhe and left us a great heritage in the form of his works.

As a sign of respect for this great scientist of Uplistsikhe research, this edition is dedicated to the anniversary of D. Khakhutaishvili. The scientist's long scientific path is generally reviewed, and the history of Uplistsikhe research, its results, and the illustrative materials are especially highlighted.



დავით ხახუტაიშვილი - ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

დავით ხახუტაიშვილი დაიბადა 1924 წლის 16 იანვარს ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბარში. 1946 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა - იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის სტიპენდიადი.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე მიიქცია მან ყურადღება ცნობილი მეცნიერის, აკად. ნიკო ბერძენიშვილის, რომლის ხელმძღვანელობით ნიჭიერი ახალგაზრდა აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. ნ. ბერძენიშვილის მითითებით, 1949 წლიდან დ. ხახუტაიშვილმა დაიწყო სპეციალური მომზადება არქეოლოგიაში, პარალელურად მონაწილეობდა ექსპედიციებში.

პირველი არქეოლოგიური ნათლობა მან 1948 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ვაშნარში მიიღო. 1950-1952 წლებში ციხე-ქალაქ უჯარმის ექსპედიციაში ის უკვე ერთ-ერთი უზნის კვლევას ხელმძღვანელობდა, მომდევნო წლებში მუშაობდა შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი ძეგლის - ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ამავე დროს, მონაწილეობდა ძველი დიოსკურიის ჩაძირული ნაწილის დაზვერვით სამუშაოებში, 1953 წელს ერთი სეზონი დაჰყო მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომლის დროსაც მიკვლეულ იქნა წინამურის საინტერესო სამაროვანი და ნაგებობათა ნაშთები, მონაწილეობდა არქეოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებში მცხეთის გარშემო, 1954-1962 წლებში კი - ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ ხოვლეს ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელმაც შეისწავლა უძველესი გორასამოსახლო, მისი ციტადელი და საფორტიფიკაციო სისტემა. ძეგლი ძვ.წ. XV-IV სს-ით დათარიღდა. ხოვლეს ექსპედიციაში მიღებულმა გამოცდილებამ შესაძლებლობა მისცა დ. ხახუტაიშვილს, მომავალში დამოუკიდებლად ეწარმოებინა სავსე-არქეოლოგიური და თეორიული კვლევა-ძიება.

1951-1954 წლებში ახალგაზრდა მკვლევარმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მუშა-

ობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი აკად. გ. მელიქიშვილი); 1955 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით. დისერტაციასა და ამავე სახელწოდების მოგვიანებით (2009 წ.) გამოცემულ მონოგრაფიაში შესწავლილია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ვითარება ძვ.წ. IV ს-დან ახ. წ. VI ს-მდე, კერძოდ, ისტორიული გეოგრაფიის, კოლხურ თემთა ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის პრობლემეტიკა, რაც აისახა ძველბერძნულსა და ლათინურ ტრადიციაში. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ მან ძირითადი სამეცნიერო კვლევა-ძიება პროტოქალაქური და ქალაქური ცივილიზაციების გენეზისის, ქართლის (იბერიის) ადრეკლასობრივი ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ეთნიკური მოდელის რაობის განსაზღვრის მიმართულებით წარმართა და ინტენსიურად იკვლევდა პალეოურბანისტიკის ურთულეს პრობლემებს, მან საფუძველი ჩაუყარა ქალაქების, „ქვეყნების“ ისტორიულ-არქეოლოგიურ კომპლექსურ კვლევას, მეცნიერულად შეისწავლა ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების, ისტორიული ტოპოგრაფიის, ქართული ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნის, საქალაქო ცხოვრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დ. ხახუტაიშვილის სამეცნიერო ინტერესთა არეალში, ბუნებრივია, მოექცა ქართლის (იბერიის) უნიკალური ძეგლიც - კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით 1957-1990 წლებში აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უფლისციხის ისტორიის სრული რეკონსტრუქციისათვის მყარი საფუძველი შექმნა და მისი შესწავლა სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა. უფლისციხის არქეოლოგიური კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიებში - *უფლისციხე I* (1964 წ.); *კლდეში ნაკვეთი ქალაქი* (1965 წ.);

უფლისციხე II (1970 წ.); უფლისციხე - ქალაქი კლდეში (1989 წ.), ასევე სხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომლებშიც დ. ხახუტაიშვილმა ახლებურად წარმოადგინა უფლისციხის გენეზისი და მისი განვითარების ეტაპები; საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარე - მეურნეობა, ტრანსპორტი, გზები, არქიტექტურა, სოციალური სტრუქტურა და ა. შ. მას პალეო-ურბანისტიკის სფეროში გამოქვეყნებული ორი ნაშრომისთვის - უფლისციხე I (1964 წ.) და იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები (1966 წ.) 1967 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1977 წელს დ. ხახუტაიშვილი დაინიშნა ახალშექმნილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილედ და არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების განყოფილების გამგედ, 1978 წლიდან კი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამიერიდან მის მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში ფართო პერსპექტივები დაისახა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობისათვის. ამ მხრივ საგულისხმოა მის მიერ აჭარის არქეოლოგიური ძეგლების - პეტრა-ციხისძირის დედაციხისა და გარექალაქის კვლევა, სადაც აღმოჩნდა წინანტიკური ხანის ნამოსახლარები სამაროვნებით, ბაზილიკური ტიპის ეკლესიები, აბანოები, სასახლე, მარანი და სხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები. დ. ხახუტაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული არქეოლოგიური ძიების დაწყება გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, სადაც მიკვლეულ იქნა სხვადასხვა ეპოქის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა. იგი აქტიურად იყო ჩართული აჭარისწყლის ხეობაში 1977 წლიდან მიმდინარე სავსე - არქეოლოგიურ სამუშაოებში. ძალზე ღირებულია მისი წვლილი ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიურ ძეგლთა კვლევაში. კოლხურ სამყაროში მცხოვრებ ტომთა წარსულის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი იყო არქეოლოგიური სამუშაოები ე.წ. ნამჭედურის ძველკოლხურ გორანამოსახლარზე. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ეს ნამოსახლარი, სტრატოგრაფიული თვალსაზრისით, ეტალონურ ძეგლად გვევლინება. 1963-1964 წლებში ბათუმის გორაზე ჩატარე-

ბული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები აისახა 1989 წელს დ. ხახუტაიშვილის მიერ ა. კახიძესთან ერთად გამოცემულ ნაშრომში - მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ტ. XVIII. ამ ნიგნმა ფართო მატერიალური ბაზა შეუქმნა და დიდი გასაქანი მისცა ბათუმის ისტორიის შესწავლას. დ. ხახუტაიშვილი პირადად მონაწილეობდა ფიჭვნარის ნაქალაქარისა და სხვა უბნების, დიუნებისა და ნეკროპოლების არქეოლოგიურ კვლევაშიც. მან საინტერესო მასალა მოიპოვა 1974 წელს ადრებრინჯაოს ხანის უნიკალური ძეგლის - ისპანის ნამოსახლარის სავსე კვლევა-ძიებისას. მანვე შეისწავლა ხინონმინდის საკათედრო ტაძრის ტერიტორია, მთიან აჭარაში არსებული ნამოსახლარები და სხვა ძეგლები, შედეგები კი მისი ავტორობით ან კოლეგებთან თანაავტორობით გამოცემულ არაერთ ნაშრომში გამოქვეყნდა. მათში მოცემულია დღევანდელი აჭარის მთასა და ბარში მოსახლე ტომთა ეთნოგენეზისი, მათი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ადრეული ისტორია.

საქართველოს ცალკეული „ქვეყნების“ ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას ეძღვნება დ. ხახუტაიშვილის ნაშრომი - ქობულეთის ქვეყანა (I-III), რომლის I ნიგნი - ქობულეთის ქვეყანა. ნეოლითიდან ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნამდე 1995 წელს გამოიცა. მისი უფროსი კოლეგისა და მასწავლებლის, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის დებულება „ქვეყნის“ შესახებ გულისხმობს „ისტორიულ ტერიტორიას“, „ისტორიულ ქვეყანას“, „ადამიანთა საზოგადოების შემოქმედებით არეს“ და არა ფიზიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიას. დ. ხახუტაიშვილის მიერ შემოთავაზებული სახელდება - „ქობულეთის ქვეყანა“ პირობითია და მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიკრორეგიონს, კერძოდ, კინტრიშ-ჩოლოქის ორმდინარეთის ტერიტორიას და ის ავტორის მიერ კოლხური სამყაროს ორგანულ ნაწილადაა მიჩნეული.

უაღრესად საგულისხმოა დ. ხახუტაიშვილის წვლილი საქართველო-კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პრობლემების კვლევაშიც, რასაც სამ ათეულ წელზე მეტი მოაწოდმა. ისტორიკოს-არქეოლოგთაგან იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ძველი კოლხეთის რკინის

მეტალურგიის პრობლემები კომპლექსურად შეისწავლა და საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოჩენებით გაამყარა. დ. ხახუტაიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გამოვლინდა 400-ზე მეტი არქეოლოგიური ობიექტი რკინის სადნობი სახელოსნოების ნაშთების სახით, რომლებიც ხუთ ძირითად საწარმოო კერაში (1961 და 1979 წლებში – ჭოროხ – ჭარნალის; 1968 წელს – საირხის ნაქალაქარის ქორეთის უბნის; 1960-1961, 1972-1979 წლებში – ჩაქვისწყლის, ჩოლოქ-ოჩხამურის; 1974-1975, 1983-1984 წლებში – სუფსა-გუბაზეულის, 1972-1974 წლებში-ხო-ბი-ოჩხამურის ხეობები) ერთიანდება. არქეოლოგიური, არქეომაგნიტური, რადიოკარბონული თუ სხვა გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე დ. ხახუტაიშვილმა დაადგინა ჩამოთვლილი საწარმოო კერების ჩასახვა-ფუნქციონირების ქრონოლოგია, სტრუქტურა, სანედლეულო ბაზები, რკინის დნობის ტექნოლოგიური თავისებურებანი და ისინი განიხილა მსოფლიოს სხვა კერებთან მიმართებით. მან რკინის მომპოვებელი კერების ადრეული ჯგუფი ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრით, ხოლო გვიანდელი – ძვ.წ. VII-VI სს-ით დაათარიღა. მეცნიერის აზრით, ძველ კოლხეთს (აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი) ეჭირა წამყვანი ადგილი რკინის ადრეული მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებაში. ეს ის რეგიონია, სადაც, მისი აზრით, განსახლებულნი იყვნენ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის მატარებელი ტომები, მათ შორის, ხალიბები-რკინის მეტალურგიის პიონერები, რომლებმაც, ძველი ბერძნების წარმოდგენით, საფუძველი ჩაუყარეს რკინის მეტალურგიასა და ფოლადის წარმოებას. კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერმა აჩვენა, რომ ამ ტომებმა შექმნეს კოლხური სამეფო და სახელგანთქმული კოლხური კულტურა; რომ ძველი კოლხეთი იყო რკინის მნიშვნელოვანი მწარმოებელი და ექსპორტიორი მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთი ამიერკავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგეოსის სამყაროს მოწინავე ქვეყნებში.

დ. ხახუტაიშვილს აინტერესებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებიც. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემები გახდა მისი მეცნიერული კვლევა-ძიების კიდევ ერთი სფერო. მან დიდი შრომა გასწია როგორც მთავარმა რედაქტორმა და წამყვა-

ნმა ავტორმა ოთხტომეულის – *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა* გამოსაცემად.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ის მონაწილეობდა ან უძღვებოდა საქართველოში ჩატარებულ 115-მდე ისტორიულ-გეოგრაფიულსა და არქეოლოგიურ ექსპედიციას. მეცნიერის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები აისახა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებულ 120-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომსა და 10-ზე მეტ მონოგრაფიაში.

დ. ხახუტაიშვილი იყო ისტორიკოს-არქეოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელიც. იგი ყოველთვის ინტერესდებოდა სტუდენტების, ასპირანტებისა და უმცროსი კოლეგების საქმიანობით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და იქნა დაცული არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

დ. ხახუტაიშვილის აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა: 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიებისა და აჭარის სახელმწიფო პრემიების კომიტეტების, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი; ბათუმის საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებულია მაღალი ჯილდოებით, მათ შორის, ღირსების ორდენით, საქართველოს უმაღლესი და აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ზემოთ მიმოხილვითა და წარმოდგენილი დავით ხახუტაიშვილის ცხოვრების გზა ნათელს ხდის, თუ რაოდენ მასშტაბური და მრავალფეროვანია ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის სამეცნიერო საქმიანობა, რამდენად სიღრმისეულია მისი ღვაწლი საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების კვლევის საქმეში, რომლის ღირებულმა შედეგებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა XX საუკუნის ქართული საისტორიო მეცნიერება.

**ნანა ხახუტაიშვილი, ნოდარ კახიძე,
ნანა ხაზარაძე†**

DAVID KHAKHUTAISHVILI – MERITORIOUS SCIENTIST, TEACHER, PUBLIC FIGURE

David Khakhutaishvili was born on January 16, 1924, in Alambari village of Kobuleti district. In 1946 he enrolled at the faculty of History of Tbilisi State University graduating with distinction in 1951. He was a grand-aided student of Simon Janashia. D. Khakhutaishvili began special training in archaeology in 1949, at the same time he participated in expeditions. In 1950 – 1952 years David Khakhutaishvili led the research of one area in the expedition of the fortress town of Ujarma. He worked on archaeological expeditions of Bichvinta, reconnaissance work of the sunken part of the ancient Dioscuria, archaeological expedition in Mtskheta (1953), and Khovle historical-geographical expedition (1954-1962).

In 1951-1954, the young researcher continued his studies on the Tbilisi State University postgraduate course. After completing it successfully, D. Khakhutaishvili started working in the Department of Ancient History of the Ivane Javakhishvili Institute of History. In 1955 he defended the candidate's thesis on the topic "Kartvelian tribes of the Black Sea coast with the references of Greek-Latin writers". In the thesis and the monograph published later (2009), circumstances in the eastern and south-eastern Black Sea region in the 4th c. BC – 6th c. AD has been studied.

In particular, he was interested in the problems of historical geography, ethnic, socio-economic, political, and cultural history of Colchis communities which was illustrated in the ancient Greek and Latin tradition. D. Khakhutaishvili, after defending his thesis, conducted the main scientific research in the direction of determining the genesis of proto-city and urban civilizations, the socio-economic, political, and cultural-ethnic model of the early class system towns of Kartli (Iberia), and researched intensively the most difficult problems of Paleo-Urbanism. He laid the foundation for the complex historical-archaeological study of towns, and "countries", studied the scientific geographical location of Kartli (Iberia) towns of ancient times as well as questions connected with historical topography, formation of Georgian towns, city life, and other important issues.

Naturally, the unique monument of Kartli (Iberia) – the rock-cut town of Uplistsikhe – was included

in D. Khakhutaishvili's interest area of research. The archaeological research conducted under his leadership from 1957-1990 created a new foundation for the complete reconstruction of the history of Uplistsikhe and brought its study to a completely new level. The results of the archaeological research of Uplistsikhe were reflected in monographs: "Uplistsikhe I" (1964), "Town Cut in the Rock" (1965), "Uplistsikhe II" (1970), "Uplistsikhe – the Town in a rock" (1989) as well as in other works in which D. Khakhutaishvili presented newly genesis of Uplistsikhe and stages of its development, different aspects of town life, economy, transport, roads, architecture, social structure, etc. D. Khakhutaishvili was awarded in 1967 the scientific degree of doctor of historical sciences for two works "Uplistsikhe I" (1964) and "Issues of the Iberian Towns History" (1966). In 1978, D. Khakhutaishvili was appointed director of N. Berdzenishvili Batumi Scientific – Research Institute. From then on, his scientific work was focused on the history of southwestern Georgia and important problems of archaeology. His research of the archaeological monuments of Adjara (the main fortress of Petra-Tsikhisdziri and outward town) is significant. There were found pre-antique settlements with chapels, basilica-type churches, baths, a palace, a cellar, and other constructions.

D. Khakhutaishvili's name is related to the start of the archaeological research on the territory of Gonio-Apsaros, where important archaeological material from different periods has been unearthed. He was actively involved in the field archaeological works carried out in 1977 in the Adjaristskali Gorge. Archaeological works on the settlement of the Namcheduri (late bronze – early iron age) were significant for studying the distant past of tribes living in the Colchian world. The results of archaeological works were reflected in the work by D. Khakhutaishvili, and A. Kakhidze "Materials for the Ancient History of Batumi. Monuments of Southwestern Georgia", vol. XVIII, 1989. This work created a broad material base and gave a great deal of studying the history of Batumi. D. Khakhutaishvili personally participated in archaeological research of the Pichvnari settlement and other districts, dunes, and necropolises. He ob-

tained significant material in 1974 year during the field research and exploration of the early bronze age – the Ispani settlement. He has also studied the territory of the Ninotsminda cathedral, settlements in mountainous Adjara, and other monuments, the results were published in many works under his authorship or co-authorship with his colleagues. They include the ethnogenesis of tribes in the mountains of present-day Adjara, and the early history of their economic, cultural, and political life. D. Khakhutaishvili's work "Country of Kobuleti" (I-II) the first book was published in 1995, and included periods from the Neolithic era till the formation of the early class system society.

Highly important is D. Khakhutaishvili's contribution to researching the problems connected with the development of iron metallurgy in Georgia, the Caucasus, and the Near East. He spent more than three decades investigating the problems connected with iron metallurgy. D. Khakhutaishvili was one of the first historians-archaeologists to study the problems of old Colchis iron metallurgy completely and strengthened it with discoveries of international importance. D. Khakhutaishvili's direct leadership identified more than 400 archaeological sites in the form of remains of iron foundry workshops which are united into five main foundries (1961 and 1979 Chorokhi-Charnali; 1960-1961, 1972-1979 Chakvistiskali, Cholok-Ochkhamuri; 1974-1975, 1983-1984 – Supsa-Gubazeuli; 1972-1974 Khobi-Ochkhumuri gorges). Based on archaeological, archaeomagnetic, radiocarbon, and other geophysical data, D. Khakhutaishvili has identified the chronology, structure, raw materials bases, and technological features of iron melting and they have been considered other foci. He dated the early group of iron-containing foci back to the first half of the II millennium, and the late to the 7th-6th cc. BC. According to the scientist's point of view, ancient Colchis (East and Southeast black sea coast) occupied a leading place in the birth and development of early iron metallurgy. That is a region, where to his opinion, lived tribes of Georgian-Zun language uni-

ty, among them were pioneers of iron metallurgy – the Chalybes, who according to the Greeks, laid the foundation for iron metallurgy and steel production. D. Khakhutaishvili, based on specific data, has shown that these tribes created the Colchian kingdom and celebrated the Colchian culture.

Ancient Colchis was an important iron producer country and exporter of iron to the countries of the West and East Transcaucasia, the Near East, and the leading countries of the Aegean world.

D. Khakhutaishvili was also interested in the issues of the ancient history of Southwest Georgia. Problems of the ethnogenesis of Southwest Georgia and the Georgian people became another area of his scientific research. He did a lot of work for publishing as the chief editor and the author of 4 volumes. Southeastern history of essays of Georgia-Adjara. The results of the research presented by the scientist were reflected in 120 scientific papers published in Georgia and abroad and in more than 10 monographs.

D. Khakhutaishvili was also an educator of many generations of historians and archaeologists. Under his guidance, numerous doctoral dissertations maintained the thesis. D. Khakhutaishvili's active scientific-pedagogical and public work was properly appreciated. In 1983, he was elected as a corresponding Georgian Academy of Science member. He was a committee member of the main edition board of the Georgian Encyclopedia and an honorary citizen of Batumi. He was awarded high awards, with the order of honor, with certificates of honor by the Presidium of the Supreme Councils of Georgia and Adjara.

Merits of D. Khakhutaishvili are profound in the study of the most important issues, by values which have greatly enriched the Georgian Historical Science of the 20th century.

**Nana Khakhutaishvili, Nodar Kakhidze,
Nana Khazardadze †**

დავით ხახუტაიშვილის ნაშრომების ბიბლიოგრაფია

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. სტუდენტთა XI სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. 1949. გვ. 85. კრ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომები. V. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1950.

მასალები გურიისა და აჭარის ისტორიისათვის (სიგელ-გუჯრები აღწერილობით). ხელნაწერი. 50 თაბახი. 1951. ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივში.

ქობულეთის მხარე XV-XVIII სს-ში. სადიპლომო ნაშრომი. ხელნაწერი. 4 თაბახი. ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქივში.

შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით. საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი. 1955. 244 გვ. ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დისერტაციების ფონდში.

Картвелские племена Причерноморья по данным греко-латинских писателей (VI в. до н.э. – VI в. н.э.). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. изд. ТГУ. Тбилиси. 1955. сс. 3-15.

ქართული ადრეკლასობრივი ქალაქის წარმოქმნა. ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა VIII კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. 1957 წლის 22-26 აპრილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1957. გვ. 45.

ანტიკური ხანის უფლისციხე ახლად აღმოჩენილი მასალების შუქზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XXI, 3. თბილისი. 1958. გვ. 369-376.

Уплисцихе античного периода в свете новых открытых материалов (перевод). Сообщения АН Грузинской ССР. XXI, 3. Тбилиси. 1958. сс. 469-376.

ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XXII, 4. თბილისი. 1959. გვ. 499-504.

К вопросу о географическом расположении городов античной Картли (Иберии). (перевод). Сообщения АН Грузинской ССР. XXII, 4. Тбилиси. 1959. сс. 499-504.

მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქების ისტორიული ტოპოგრაფიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1959. გვ. 8-9.

უფლისციხეში 1958 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. საქართველოში 1958 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებების თეზისები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1959. გვ. 18-19.

ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V, 1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1960. გვ. 183-196.

მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქის რაობის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XXIV, 3. თბილისი. 1960. გვ. 377-383.

К вопросу о сущности грузинских городов рабовладельческой эпохи (перевод). Сообщения Академии наук Грузинской ССР. XXIV, 3. Тбилиси. 1980. сс. 377-383.

ხახუტაიშვილი დ., სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. ტ. I. ბათუმი. 1958; ტ. II. ბათუმი. 1959 (რეცენზია). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბილისი. 1960. №1. გვ. 295-302.

უფლისციხეში 1959 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1959 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები. თბილისი. 1960. გვ. 55-57.

მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბილისი. 1961. №2. გვ. 306-333.

უფლისციხეში 1960 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბილისი. 1961. გვ. 36-37.

ახალი მასალები ელინისტური ხანის იბერიის (ქართლის) ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბილისი. 1963. №2. გვ. 113-127.

უფლისციხე. I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1964. გვ. 92-107.

უფლისციხე. ჟურნალი ძეგლის მეგობარი. 3. თბილისი. 1964. გვ. 19-27.

კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. I. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1964. გვ. 45-58.

რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში (ი. გძელიშვილთან თანაავტორობით). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. I. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1964. გვ. 59-96.

ხოვლეს სამოსახლოს „სახელოსნო უბნის“ გათხრების შედეგები და მისი მნიშვნელობა კავკასიის იბერიის ისტორიის შესწავლისათვის. საისტორიო გეოგრაფიის განყოფილების I სესიის თეზისები. თბილისი. 1964.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი. გამომცემლობა ნაკადული. თბილისი. 1965.

იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1966. 253 გვ.

ექვთიმე თაყაიშვილი როგორც ისტორიკოსი. კრ.: ექვთიმე თაყაიშვილი. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1966. გვ. 84-89.

Уплисхихе и вопросы истории городов Иберии. Автореферат диссертации представленной на

соискание ученой степени доктора исторических наук. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1967. сс. 3-56.

არქეოლოგიური გათხრები უფლისციხეში 1967 წელს. არქეოლოგიური გათხრები საქართველოში 1967 წელს. მოხსენებათა თეზისები. თბილისი. 1968.

Возникновение городов Иберии и их развитие в античную эпоху. Тезисы докладов Всесоюзного симпозиума Города и торговля древнего Востока III-I тыс. до н. э. Изд. АН Армянской ССР, Ереван. 1969. сс. 33-34.

უფლისციხე II. 1963-1969 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1970. 142 გვ.

ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის ქართლში (იბერიაში). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1970. გვ. 620-644.

გრავიორის სამარხი „ბამბების“ ნამოსახლარის ნეკროპოლიდან (ხელოსნობის ისტორიისათვის ადრეანტიკურ იბერიაში). კრ.: ძველი ისტორიის საკითხები. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული. III. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1970. გვ. 136-146.

ირანი და შუა აზია. სახელმძღვანელო ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თსუ-ის გამომცემლობა. თბილისი. 1971. გვ. 500-556.

ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი V საკავშირო სესია (მიმოხილვა, შეფასებები). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1971. №2. გვ. 169-173.

Археологические раскопки Чолокского очага древнежелезной металлургии (соавтор А. Инашвили). Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1971. сс. 92-94.

К истории Древнеколхидской металлургии железа. V Всесоюзная сессия по древнему востоку. Тезисы докладов. Тбилиси. 1971. сс. 142-143.

Возникновение городов Иберии и их развитие в античную эпоху. Сб.: Древний Восток. Города и торговля. Изд. АН Армянской ССР, Ереван. 1973. сс. 178-184.

К истории Древнеколхидской металлургии железа. Сб.: Вопросы древней истории. IV. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1973. сс. 170-179.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. მოკლე ანგარიში (თანაავტორები: თ. მიქელაძე და სხვები). საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი 1972 წელს. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1973.

ადრერკინის ხანის კოლხური რკინის მეტალურგიის ქრონოლოგიისათვის. XXII სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1973. გვ. 15-16.

რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები მდ. ჩოლოქის ხეობაში 1971 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1974. №4.

ადრეკლასობრივი ხანის იბერიის ქალაქების ისტორიული ტოპოგრაფიისათვის. სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბილისი. 1974.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები (თანაავტორები: თ. მიქელაძე და სხვები). საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი 1973 წელს. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1974. გვ. 32-38.

A Contribution of the Kartvelian tribes to the mastery of Iron Metallurgy in the Ancient Near East. Acta antique. XXII, 1-4. Budapest. 1974. pp. 337-344.

რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში 1970 წელს. კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. V. თბილისი. 1975. გვ. 79-92.

Исследования Колхидской археологической экспедиции. Полевые археологические исследования в 1974 году. Краткие сообщения. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1975. сс. 34-41.

რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პირველადი ცენტრების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი, 1976. გვ. 97-108.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974

წლის კვლევის შედეგები (თანაავტორები: თ. მიქელაძე და სხვები). კრ.: საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1974 წელს. თბილისი. 1976. გვ. 34-41.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევის შედეგები (თანაავტორები: ა. ინაიშვილი და სხვები). კრ.: საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1974 წელს. თბილისი. 1976. გვ. 101-103.

Результаты археологического изучения древнеколхидского центра металлургии железа. Тезисы докладов XIV международной конференции античников социалистических стран. Изд. АН Армянской ССР, Ереван. 1976. с. 464.

Святыище протоиберийской земледельческой общины Центрального Закавказья конца II тыс. до н. э. Сб.: Разыскания по истории Грузии и Кавказа. Изд. Мецниереба. 1976. с. 3-69.

რკინის წარმოების ძველკოლხური კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში. კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VI. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1977. გვ. 19-24.

ასლან ინაიშვილის ხსოვნას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 1977. №4. გვ. 223-224.

К хронологии колхидско-халибского центра древнежелезной металлургии. Сб.: Вопросы древней истории. Кавказско-ближневосточный сборник. V. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1977. сс. 119-141.

Новооткрытые памятники древнеколхидской металлургии железа. Краткие сообщения ИА АН СССР. 151. Москва. 1977. сс. 29-33.

Некоторые вопросы древнеколхидской металлургии железа (в связи с проблемой греческой колонизации Колхиды). Материалы симпозиума по проблемам греческой колонизации и структуре раннеантичных городов северного и восточного Причерноморья. Цхалтубо. V. 1977. Тезисы докладов и сообщений. изд. Мецниереба. Тбилиси. 197. сс. 70-71.

მასალები ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის (ოჩხამურის ხეობა). კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VII. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1978. გვ. 17-34.

საყურადღებო წიგნი ჩვენი ქვეყნის წარსულზე (რეცენზია ს. გოგიტიძის წიგნზე – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა) თბილისი. 1977). ჟურნალი *ჭოროხი*. ბათუმი. 1978. №4.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ჟურნალი *მეცნიერება და ტექნიკა*. თბილისი. 1978.

Некоторые вопросы древнеколхидской металлургии железа (в связи с проблемой греческой колонизации восточного Причерноморья). Сб.: Проблемы греческой колонизации северного и восточного Причерноморья. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо. 1977. Изд.: Мецниереба. 1979. сс. 334-339.

Полевые исследования Колхидской археологической экспедиции (соавторы: Т. К. Микеладзе и др.). Полевые археологические исследования в 1975 году (Краткие сообщения). Изд. Мецниереба. Тбилиси. 1979. сс. 103-108.

Сырьевая база и способы производства железа в древней Колхиде. История горной науки и техники. Материалы первого всесоюзного координационного совещания. Тбилиси. 15-17 ноября 1976 года. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1979. сс. 84-93.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები. კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VIII. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1979. გვ. 3-18.

Население Юго-Западной Грузии в VIII-VI вв. до н. э. Тезисы докладов и материалы Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья в эпоху Великой греческой колонизации (VIII-VI вв. до н.э.). Изд. Мецниереба. Тбилиси. 1979. сс. 80.

მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურისათვის ჩრდილო კოლხეთში (1972 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები). კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IX. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1980. გვ. 3-38.

Отражение эллинистических традиций в материальной культуре Уплисхихе. Всесоюзный симпозиум по проблемам эллинистической культуры на Востоке. Тезисы докладов. Изд. АН Армянской ССР, Ереван. 1980. с. 80.

Модель раннеклассового города Кавказской Иберии на примере Уплисхихе. Тезисы докладов Меж-

дународной конференции 1980 года в г. Тбилиси. Издательство ТГУ. Тбилиси. 1980.

Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции (соавторы: Т. К. Микеладзе и др.). Полевые археологические исследования в 1977 году (краткие сообщения). Изд. Мецниереба. Тбилиси. 1980. сс. 89-91.

Отчет работы археологической экспедиции Юго-Западной Грузии (соавторы: А. К. Инаишвили и др.). Полевые археологические исследования 1977 году. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1980. сс. 89-91.

გონიოს განძი (თანავტორები: ოთ. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე). გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1980. გვ. 5-88.

კოლხურ-ხალიბური სამთო-მეტალურგიული ცენტრის სანარმოო კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში (1974-1975 წლების კვლევა-ძიების შედეგები). კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. X. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1981. გვ. 3-36.

ხერგულის კლდის მღვიმის რკინის სადნობი სახელოსნოები. კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. X. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1981. გვ. 78-88.

Батумский научно-исследовательский институт. В кн.: Академия наук Грузинской ССР. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1981. сс. 325-331.

Der Schatz von Gonio (Mikeladze T. K.). Georgia. 1981.

Колхидская археологическая экспедиция (соавторы: Т. К. Микеладзе и др.). Полевые археологические исследования в 1978 г. (краткие сообщения). Изд. Мецниереба. Тбилиси. 1981. сс. 43-49.

Юго-Западная Грузия в VIII-VI вв. до н. э. Сб.: Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации. Материалы II Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо – 1979. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1981. сс. 329-333.

კოლხურ-ხალიბური სამთო-მეტალურგიული ცენტრის შესწავლის შედეგები და პერსპექტივები. ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ჩხორონყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გაერთიანებული სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. ბათუმი. 1981. გვ. 5.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XI. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1982. გვ. 3-18.

Возникновение и развитие производства железа в древней Колхиде.

Тезисы Всесоюзного симпозиума в Ереване в 1982 году. Изд.: АН Армянской ССР, Ереван. 1982.

არქეოლოგიური გათხრები აჭარში. კრ.: აჭარის ასსრ-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სრულყოფის საკითხები. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1982. გვ. 57-61.

Некоторые вопросы взаимоотношений горного и приморского регионов Юго-Западной Грузии в эпоху раннего железа и античности. Душетская научная конференция, посвященная взаимоотношениям между горными регионами (аннотации). Изд. Мецниереба. Тбилиси. 1984. сс. 163-165.

Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена. Сб.: Кавказско-ближневосточный сборник. VII. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1984. сс. 146-151.

არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ხალმშენებლობათა მოედნებზე (თანაავტორები: ს. გოგიტიძე, ა. კახიძე). ჟურნალი ქოროხი. №4. ბათუმი. 1984. გვ. 70-79.

Пичвнари в эллинистическую эпоху (соавтор А. Ю Кахидзе). Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо – 1982. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1982. с. 217-519.

Древнеколхидское поселение Намчедური (соавтор Т. К. Микеладзе). В серии: Памятники Юго-Западной Грузии. XIV. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1985.

Namchedurieinbronze-biseisenzeitlicherSiedlungshugel am Schwarzen Meer (und T. Mikeladze). „Beitrage zur allgemeinen und Vergleichenden Archaologie. bend 6. Munchen. 1985. pp. 199-226.

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — დაარსება, მოღვაწეობა, პერსპექტივები. კრ.: ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვ-

ლევითი ინსტიტუტის 25 წელი. გამომცემლობა მეცნიერება. 1986. გვ. 16-28.

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს არქეოლოგია. კრ.: ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წელი. გამომცემლობა მეცნიერება. 1986. გვ. 75-87.

ადამიანის რწმენა-წარმოდგენები და არქეოლოგია. კრ.: ათეიზმი, რელიგია, თანამედროვეობა. გამომცემლობა საბჭოთა აჭარა. ბათუმი. 1986. გვ. 35-46.

Заметки по истории металлопроизводства и металлообработки в древней Колхиде. Сб.: Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1987. сс. 55-61.

Производство железа в древней Колхиде (резюме на англ. языке. с. 221-224). Изд. Мецниереба. Тбилиси. 1987.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამეურნეო სახელოსნო სოფ. ხირსადან (თანაავტორი მ. კინწურაშვილი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1987. №1. გვ. 146-162.

Древнеколхидское железо и Ближний Восток. Сб.: Кавказско-ближневосточный сборник. VIII. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1988. сс. 168-172.

ირანი. დამხმარე სახელმძღვანელო ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. მეორე გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1988. გვ. 390-426.

Новые данные о времени и условиях возникновения металлургии железа на Кавказе и Ближнем Востоке. Медные Рудники Западного Кавказа III-I тыс. до н. э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения. Тезисы докладов Башкапсарского полевого археологического семинара. Сухуми. 1988. сс. 59-60.

Письменные источники о халибах — «железоделателях» и новейшие археологические открытия. Сб.: Источниковедческие разыскания. 1985. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1988. сс. 234-237.

მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. I. წინანაწიკური და ანტიკური ხანა (თანაავტორი ა. კახიძე). სერია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVIII. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1989. გვ. 139.

უფლისციხე — ქალაქი კლდეში. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1989.

Аджария (альбом). Текст по истории. Изд. Планета. 1988. сс. 36-53, 107-108.

Предложения сотрудников Батумского НИИ им. Н. А. Бердзенишвили АН ГССР по вопросам развития национальных отношений (соавторы: З. О. Тандилава, Н. А. Кахиძе, Н. К. Чхаიძე). Сб.: Что делать? В поисках идей совершенствования межнациональных отношений в СССР. Изд. ИНИОН АН СССР. Москва. 1989. сс. 260-262.

პროფესორი ალექსი რობაქიძე — აჭარის ეთნოგრაფიის მკვლევარი (თანაავტორი ნ. კახიძე). კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. XV. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1989. გვ. 3-18.

Грузия. физико-географический обзор. В книге: Очерки истории Грузии с древнейших времен до IV в. н. э. I. Изд. Мецниереба. 1989. сс. 5-12.

Les Sites Archeologiques sur les terres Submersibles des fleuves Tcholoki et Otchkomouri. Le Ponte Euxin vu par les Grecs. Simposium de Vani (Colchide)-septembre-octobre 1987. Centre de Recherches d, Histoire Ancienne. volum 100. Paris. 1990. pp. 207-211.

ქართველური სამყარო და რკინის წარმოების ადრეული საფეხური ძველ ახლო აღმოსავლეთში. კრ.: დავით აღმაშენებელი. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1990. გვ. 148-154.

Археологические памятники в пойме рек Чолоки и Очхамури. Сб.: Причерноморье в VII-V вв. до н.э. Письменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани. 1987. Изд. Мецниереба. Тбилиси. 1990. сс. 252-256.

რა მისცა ავტონომიამ აჭარას? საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1991. გვ. 48-65.

შავი მეტალურგიის უძველესი საწარმო ცენტრი შავი ზღვისპირეთში. თეზისები. კრ.: საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა. წარსული და თანამედროვეობა. სამეცნიერო სესია. ბათუმი. 1990. გვ. 26.

ძველი კოლხეთის შავი მეტალურგია და კავკასიური სამყარო. საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესისათვის – კავკასიური სამყარო – წარსული, აწმყო, მომავალი. 1993. გვ. 1-10.

კლიმატური რყევები ჰოლოცენში და არქეოლოგიური ვითარება „ქობულეთის ქვეყნის“ ზღვისპირა ზოლში. მომზადდა პროფესორ რ. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიისათვის. 10 გვ. თბილისი. 1994.

ქობულეთის ქვეყანა ნეოლითიდან ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნამდე. I. გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი. 1995.

The Manufacturing of Iron in Ancient Colchis. BAR International Series 1905. UK, Oxford. 2009.

ბიბლიოგრაფია შეადგინა ნანა ხახუტაიშვილმა



უფლისციხე. ძველი ხედი / Uplistsikhe. Old view



უფლისციხე. ახალი ხედი / Uplistsikhe. Modern view.

ფოტოგრაფი ბ. ვადაჭკორია / Photos by B. Vadachkoria

უფლისციხის შესწავლის ისტორიიდან

უფლისციხე ნერილობით წყაროებში პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ იხსენიება. ამ ძეგლის პირველ, შედარებით სრულ, აღწერილობას ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში (XVIII ს-ის I ნახევარი) ვხვდებით: „კუალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და კუერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე... აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, კუერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისა-მან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე“ [ქართლის ცხოვრება. 1973:366⁸⁻¹⁴].

XIX ს-ში უფლისციხის შესწავლა არ გასცილებია ვახუშტი ბაგრატიონის ცოდნის ფარგლებს. XX ს-ის პირველ ნახევარში ბევრი მკვლევარი უჩიოდა უფლისციხის ისტორიის შეუსწავლელობასა და მონოგრაფიული გამოკვლევის უქონლობას. არსებული ვითარების გამოხატულება იყო ჯერ კიდევ 1944 წელს შ. ამირანაშვილის მიერ გამოთქმული შენიშვნა, რომ უფლისციხის შემდგომი მეცნიერული შესწავლა ფართო არქეოლოგიური გათხრების გზით უნდა წარმართულიყო.

1955 წელს, გ. მელიქიშვილის წინადადებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში გადაწყდა, შეესწავლათ ანტიკური ხანის კოლხეთისა და ქართლის (იბერიის) ქალაქები, რომელთა რიცხვში უფლისციხეც იქნა შეტანილი. მისი კვლევა დაევალა დ. ხახუტაიშვილს. მალევე ცხადი გახდა, რომ ამის განხორციელება წარმოუდგენელი იყო ძეგლის არქეოლოგიური გათხრის გარეშე. 1956 წელს ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოს მიერ გამოყოფილი თანხებით ჩაატარა უფლისციხისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური დაზვერვა, რომელშიც მონაწილეობდნენ: დ. ხახუტაიშვილი, გ. ცქიტიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი. ექსპედიციამ შეადგინა კლდეში ნაკვეთი კომპლექსისა და მისი შემოგარენის გათხრის პერსპექტიული

გეგმა. დაზვერვებისას ნაქალაქარსა და მის ახლო მდებარე ძეგლებზე შენიშნულ იქნა წინანტიკური, ანტიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა. წინანტიკური ხანის მასალა აღმოჩნდა სოფ. უფლისციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიებზეც. ყათლანისებში მიკვლეულ იქნა უძველესი გორანამოსახლარი, სადაც წინანტიკური ხანის მასალაც დადასტურდა. ბამბების ნამოსახლარში გამოვლინდა ანტიკური ხანის რამდენიმე ნასოფლარი [ხახუტაიშვილი დ. 1964ა:19-27].

1957 წელს კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიასა და მის შემოგარენში დაიწყო ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება. 1958 წელს უფლისციხის გათხრა გააგრძელა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ შ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით. საველე-არქეოლოგიურ გათხრებს უძღვებოდა დ. ხახუტაიშვილი, ექსპედიციის უფროსად დაინიშნა თ. ქარუმიძე, რომელიც უფლისციხის არქიტექტურას სწავლობდა.

დ. ხახუტაიშვილი პირველი მკვლევარი იყო, რომელიც უფლისციხის შესწავლის ისტორიას შეეხო და მასში გამოყო ორი პერიოდი. I პერიოდი მოიცავს XIX ს-ის 30/80-იან წლებს. ამ დროს მოღვაწე უფლისციხის მკვლევართაგან უნდა დავასახელოთ: შვეიცარიელი მოგზაური დიუბუა დე მონპერე, პლ. იოსელიანი, გრ. გაგარინი, კ. მურავიოვ-აპოსტოლი, დ. მელვინეთუხუცესისშვილი. ამ უკანასკნელს 1852 წელს უფლისციხეში გათხრებიც კი ჩაუტარებია. დ. ხახუტაიშვილის აზრით, აღნიშნულ პერიოდში განხორციელებულ კვლევებს ახასიათებს გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, ძეგლის შესწავლაში მონაწილეთა უმრავლესობის არასათანადო მომზადება, წყაროებისა და შესადარებელი მასალის უქონლობა, ქართველოლოგიურ დისციპლინათა განუვითარებლობა, ეროვნული კადრების არარსებობა და სხვ. [ხახუტაიშვილი დ. 1964:7-10].

უფლისციხის შესწავლის II პერიოდი მოიცავს ნახევარ საუკუნეზე მეტს – 1894-1957 წლებს. სათანადოდ მომზადებული პირველი მკვლევარი,

რომელიც უფლისციხეს შეეხო, იყო პ. უვაროვა. მან 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში განიხილა უფლისციხის ზოგიერთი კომპლექსის არქიტექტურა, წერილობითი წყაროები, პარალელური მასალა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კესონური ჭერის მქონე დარბაზები ახ. წ. I სს-ით უნდა დათარიღდეს. უფლისციხის შესწავლის II პერიოდში მოღვაწე მკვლევართაგან ძეგლის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული: კ. ლემან-ჰაუბტს, ვ. ბელკს, ლ. მელიქსეთ-ბეგსა და გ. ჩუბინაშვილს. შ. ამირანაშვილი პირველი მკვლევარი იყო, ვინც უფლისციხე საგანგებო შესწავლის საგნად გაიხადა. უფლისციხის ისტორიის საკითხებს ეხებოდნენ: დ. მშვენიერაძე, ირ. ციციშვილი, კ. მელითაური, დ. გვრიტიშვილი და სხვ. [ხახუტაიშვილი დ. 1964:10-14].¹

უფლისციხის შესწავლის II პერიოდისთვის დამახასიათებელია მკვლევართა რიცხვის ზრდა, კვლევის მეცნიერულ დონეზე აყვანა და ძეგლის შესწავლაში ახალი გზების ძიება, თუმცა, არქეოლოგიური მასალის უქონლობის გამო, მკვლევართა მიერ გამოთქმული შეხედულებები მიხვედრები და ჰიპოთეზები უფრო იყო, ვიდრე დასაბუთებული მოსაზრებები.

უფლისციხის შესწავლის III პერიოდი იწყება 1957 წელს, როცა უფლისციხეში, სამეცნიერო თვალსაზრისით, ფართო, ნაყოფიერი და წარმატებული არქეოლოგიური გათხრები დაიწყო [ხუნდაძე ნ. 1990]. მალევე გათხრების შედეგები აისახა დ. ხახუტაიშვილის სამეცნიერო და პოპულარულ ნაშრომებში. 1964 წელს გამოიცა მისი *უფლისციხე I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები*; 1965 წელს – *კლდეში ნაკვეთი ქალაქი*; 1966 წელს კი – *იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები*. ამ უკანასკნელში განზოგადებული იყო უფლისციხეში ჩატარებული გათხრების თითქმის ათწლიანი შედეგები. მონოგრაფიაში უფლისციხის მაგალითზე ავტორი ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორებიცაა: იბერიის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოქმნა-განვითარება, ქალაქების გარეგნული სახე, საქალაქო ხელოსნობის დარგები, ვაჭრობა და სავაჭრო გზების როლი ქალაქების მეურნეობაში, ქალაქებისა და მისი სასოფლო-სამეურნეო რაიონის

ურთიერთობა, ქალაქის მმართველობის ორგანიზაცია, სოციალური ყოფა და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილ გამოკვლევებს წინ უძღოდა უფლისციხის ისტორიის ცალკეული პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი სტატიები: *ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*. ტ. XXI. #3. 1958. გვ. 369-375; *ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქთა გეოგრაფიული განლაგების საკითხისათვის*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*. ტ. XXII. #4. 1959. გვ. 499-504; *ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე*. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V. ნაკ. I. 1960. გვ. 183-196; *მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების *მოამბე*. #2. 1961. გვ. 306-333; *ახალი მასალები ელინისტური ხანის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების *მოამბე*. #2. 1963. გვ. 113-127.²

1970 წელს გამოიცა მისი ნაშრომი – *უფლისციხე II*. მასში განხილულია 1963-1969 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც უფლისციხის, ისე, ზოგადად, იბერიის (ქართლის) ქალაქების ისტორიის შესასწავლად. უფლისციხის მიმართ საზოგადოების ფართო ფენების ინტერესის გათვალისწინებით, 1989 წელს კვლავ დაიბეჭდა მისი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი – *უფლისციხე – ქალაქი კლდეში*, სადაც ძველ მასალასთან ერთად ავტორმა გაანალიზა უფლისციხის უახლესი მნიშვნელოვანი აღმოჩენებიც.

დ. ხახუტაიშვილი უფლისციხის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების განხილვისას აღნიშნავდა, რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, მასალების უქონლობის გამო, იძულებული იყო, გაემეორებინა XI ს-ის ისტორიკოს ლეონტი მროველის თხზულებაში შემონახული ზღაპრული გადმოცემა ლეგენდა-

1 უფლისციხის შესწავლის ისტორიის I და II პერიოდების, აგრეთვე შესაბამისი ლიტერატურის შესახებ დაწვრილებით იხ. დ. ხახუტაიშვილი. *უფლისციხე I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები*. თბ., 1964. გვ. 7-15.

2 ცალკეული სტატიების გარდა, უფლისციხის გათხრების ყოველწლიური შედეგები იბეჭდებოდა საქართველოში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიების ანგარიშებში.

რული უფლოსის მიერ უფლისციხის დაარსების შესახებ. ლეონტი მროველზე ადრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს მიაჩნდა, რომ უფლისციხე ერთ-ერთი ძველი ქალაქის – კასპის ციხე იყო, მაგრამ გარკვეულ დრომდე არ არსებობდა მასალა, რომელიც ამ ცნობის საზღვარს ან მცდარობას სარწმუნოს გახდიდა. მკვლევრის აზრით, უფლისციხის კლდოვანი მასის ათვისება ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან იწყება; გამოქვაბულების ძირითადი ნაწილი კი გამოიკვეთა ძვ.წ. VI-IV და III-I სს-ში; უფლისციხეში გვხვდება შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი რამდენიმე კომპლექსიც.

დ. ხახუტაიშვილის ნაშრომები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იბერიის (ქართლის) უძველესი საქალაქო ცენტრის ცხოვრების ძირითად მხარეებსა და მასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ, საქალაქო ცენტრის გენეზისზე, განვითარების ეტაპებზე, მეურნეობასა და მის დარგობრივ თავისებურებებზე, ეკონომიკურსა და კულტურულ კავშირებზე, ქალაქისა და მიმდებარე რაიონის მოსახლეობის სოციალურ აღნაგობაზე, ისტორიულ ტოპოგრაფიასა და ქრონოლოგიაზე, ტრანსპორტსა და გზებზე, რელიგიასა და კულტურაზე. მისმა ნაშრომებმა ბევრ მკვლევარს საშუალება მისცა, განსხვავებულად შეეხედათ უფლისციხის სხვადასხვა პრობლემისათვის და, ამასთან ერთად, წამოეჭრათ მრავალი ახალი საკითხი კლდეში ნაკვეთი ქალაქის შესახებ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ უფლისციხესა და მის შემოგარენში ფიქსირდება არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლების ჯგუფი, რომლისაგან უძველესი ადრებრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს განეკუთვნება (ნამოსახლარები ლაშეთხევსა და გუდაბერტყაზე). შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისაა ყათლანიხევის გორასამოსახლოს ქვედა ფენა.

როგორც აღინიშნა, უფლისციხის კლდოვანი მასივის ათვისება ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან იწყება. ხუროთმოძღვრული კომპლექსის ძირითადი ნაწილი კი, უმთავრესად, ანტიკურსა და ელინისტურ ხანაში გამოიკვეთა. გათხრების შედეგად ნათლად გამოისახა ქალაქის გარეგნული სახე და არქიტექტურა. გაირკვა, რომ შიდა ქალაქის (ფართობი 4 ჰა) ცენტრალური ნაწილი ძეგლის დომინანტი იყო. ქალაქი დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან ბუნებრივად ყოფილა დაცული. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთი-

დან კი მას იცავდა კლდეში გაჭრილი თხრილი, რომელსაც შიდა მხარეს ოთხკუთხაკოშკებიანი განიერი კედელი მიუყვებოდა (შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი ფოსოები). საფორტიფიკაციო კედლების ქვედა ნაწილი ნაგები ყოფილა კიდეებშემოთლილი (რუსტებიანი) ქვათილეთით, ხოლო ზედა – ალიზის აგურით. სამხრეთ მხარეს, მდ. მტკვარზე, ეშვებოდა კლდეში გაჭრილი საფეხურებიანი დიდი გვირაბი. ქალაქში შესვლა შესაძლებელი ყოფილა აგრეთვე მცირე კლდეკარით. შიდა ქალაქი დასერილია კლდეში ნაკვეთი ქუჩების ქსელით, რომელთაგან ერთი მაგისტრალურია, დანარჩენი – გვერდითი. გამოქვაბულები განლაგებულია ცალკე ჯგუფებად, ზოგი ერთმანეთთან ფართო გასასვლელებითაა დაკავშირებული. ქალაქის ზემო ნაწილში განლაგებულ ნაგებობათაგან აღსანიშნავია კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზი, რომლის ნახევარწრიული კამარა დამუშავებულია კლდეში ნაკვეთი რვაკუთხა კესონებით. დაგეგმარების მხრივ კომპლექსები დაახლოებით ერთი სქემითაა შექმნილი: ეზო, წინიდან პორტალის მსგავსი ღია სადგომი, სიღრმეში კი – სიგრძივი (ერთი ან ორი ოთახი) ან სიგრძივი და განივი ღერძების მიხედვით (თუ ოთახთა რაოდენობა მეტია) დაჯგუფებული ოთახები. ზოგი დარბაზის ბრტყელი გადახურვა კოჭებიანი ქერის მსგავსადაა დამუშავებული და ქართულ ხალხურ არქიტექტურაში ცნობილ კონსტრუქციებს უნდა ასახავდეს. უფლისციხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმართულია აგურით ნაგები სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც სტილისტური ნიშნებით IX-X სს-ს მიეკუთვნება. იგი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. შუა ნავი გვერდითა ნაგებზე მაღალია. სამივე ნავი სამხრეთით გაერთიანებულია ნართექსით და გადახურულია კრამიტით. მთავარი შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნართექსს დამოუკიდებელი კარი აქვს და მთავარ ნავს დასავლეთიდან უკავშირდება.

შიდა ქალაქის ჩრდილოეთით, 700-800 მეტრის დაშორებით, შემორჩენილია უფლისციხის დიდი კლდეკარი, რომელიც ძველი სამხრეთ კავკასიის ძირითადი სავაჭრო მაგისტრალის უდიდესი საგზაო ნაგებობა იყო (L – 150 მ, სიგანე – 2 მ, H – 10 მ). სასიმაგრო თხრილის გარეთ კი გაშლილი ყოფილა გარე ქალაქი, რომელიც ძლიერაა დაზიანებული.

უფლისციხესა და მისი სასოფლო გარეუბნის სამეურნეო ყოფაზე გარკვეულ წარმო-

დგენას გვიქმნის არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი აგრარული კულტების სალოცავი, კლდეში ნაკვეთი სანახლები, მარნები, ვაზის სასხლავი დანები, ბრინჯაოსა და კაჟის ნამგლები, კევრები, ყურძნის ნიპნები და ა. შ. ქართველი ეთნოგრაფების თანახმად, წარმართული ხანის ქართველ ტომებში უნდა არსებულიყო ვაზისა და სიუხვის ხის კულტი. თქმულებებში ვაზი „სიცოცხლის ხედაა წარმოდგენილი, რომელიც ღვთის კარზე იზრდება და სიუხვის ხეს, კერძოდ, ალვას („ხეხვივანი“) ეხვევა. ამ გადმოცემის მიხედვით, გასაგები ხდება, თუ რატომ შეუწირავთ ნაყოფიერების ღვთაებისათვის ერთ ჭურჭელში ჩალაგებული ვაზისა და ფშატის ნაყოფი. ამ შესანიშნავი ნაყოფების აღმოჩენა თითქოს კერძო ფაქტია და, ერთი შეხედვით, მისი მნიშვნელობა არცთუ დიდია, მაგრამ უფრო ყურადღებით დაკვირვებისას მივიღებთ მეტად საგულისხმო სურათს: 1. ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში ქართველი ტომების აღმოსავლეთქართულ ჯგუფში ვაზი წმინდა (საკულტო) მცენარეა. მაშასადამე, ქართველი ტომების სამეურნეო ყოფაში ვაზს მნიშვნელოვანი ადგილი მოუპოვებია, რაზედაც ვაზის მრავალი ჯიშის გაჩენაც მიუთითებს; 2. უფლისციხის მიკროკლიმატის პირობებში მევენახეობის დანიშნულება თავისთავად გულისხმობს მორწყვითი მიწათმოქმედების მაღალგანვითარებულ საფეხურს; 3. მევენახეობის წარმოქმნა მიწაზე კერძო საკუთრების ჩასახვის მაუწყებელია; 4. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველ მთიელებში დაცული ფოლკლორული მასალა ზოგჯერ შეიცავს ქართველ ტომთა უძველესი ცხოვრების საყურადღებო მხარეების ამსახველ მეტად სანდო ცნობებს [ხახუტაიშვილი დ. 1964ა:19-27].

ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე, მრავალფეროვნება და მხატვრული სინატიფე უფლისციხეს ძველი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად წარმოგვიდგენს. უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ანსამბლსა და მის გარშემო დაჯგუფებულ დასახლებებს განვითარების გრძელი გზა გაუვლიათ. კლდეში ნაკვეთი დასახლება ჯერ უფლისციხის მიდამოებში მცხოვრები თემების ჰეგემონი თემის საცხოვრისი გამხდარა, შემდეგ კი – „ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) ტომთა გაერთიანების ცენტრი, სადაც ამ გაერთიანების მეთაური (მამასახლისი), უფალი მჯდარა (აქედანაა სახელწოდება უფლისციხე). ადრეანტიკური

ხანიდან (ძვ.წ. VI-IV სს.) უფლისციხე ქალაქური ტიპის დასახლება იყო, რომელიც ადრეელისტურ ხანაში (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული – III ს.) მსხვილ საქალაქო ცენტრად იქცა. კლდეში ნაკვეთი დასახლება კი ანტიკური ქალაქის შიდა ქალაქად ჩამოყალიბდა. IV ს-დან უფლისციხე, ისევე როგორც ადრინდელი კლასობრივი ხანის ზოგიერთი სხვა ქალაქი, დაქვეითდა და მხოლოდ სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა შერჩა. IX-X სს-ში უფლისციხე ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ გაბატონებისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველი მეფეები, კახეთის მთავრები და სომხეთის მეფეები. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს თბილისის გათავისუფლებით დაგვირგვინდა. ამის შემდეგ უფლისციხემ, როგორც სამხედრო-სტრატეგიულმა პუნქტმა თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა. უფლისციხის დაქვეითების პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა მონღოლთა შემოსევების შემდეგ [ხახუტაიშვილი დ. 1965].

1958-1981 წლებში უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი გახლდათ არქიტექტორი თ. ქარუმიძე, რომელიც დ. ხახუტაიშვილთან ერთად დაუზოგავი ენერგიითა და დიდი შემართებით უძღვებოდა სავსე კვლევა-ძიებას. მის მიერ შესრულებული ნახაზები და ჩანახატები დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ნახაზები მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე, არამედ იმიტომაც, რომ კლდეში ნაკვეთი დარბაზების ერთი ნაწილი ამჟამად უკვე მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოქცეულია და მათზე წარმოდგენა მხოლოდ თ. ქარუმიძის ნამუშევრების მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ.

თ. ქარუმიძემ დიდი წვლილი შეიტანა უფლისციხის არქიტექტურის კვლევაში. მისი აზრით, უფლისციხე კლდის მასივში ამოკვეთილ ნაგებობათა დიდი ანსამბლია, რომელიც სრულიად გარკვეული ხუროთმოძღვრული ამოცანის განხორციელებას ისახავს. ანსამბლის ნაგებობებისათვის სახასიათოა რთული და თავისებური არქიტექტურული ფორმა – ფასადის მხრიდან გახსნილი დარბაზი, რომლის სამივე მხარეს განლაგებულია უფრო მცირე ფართობისა და ბევრად დაბალი ოთახები. ამ კომპოზიციის გართულებული ან გამარტივებული ვარიანტის მიხედვით, გამოკვეთილია ანსამბლის თითქმის ყველა ნაგებობა. ანსამბლის

არქიტექტურა ხასიათდება: ნაგებობათა მკაფიო გეგმით, სადა სიბრტყეების მონუმენტური ფორმებით, კლდეში ნაკვეთი დეკორით, რომელიც განისაზღვრება ხისა და ქვის არქიტექტურაში გამომუშავებული კონსტრუქციების გამოსახვით, დარბაზების ზუსტი გეომეტრიული ფორმებითა და კლდის ზედაპირის ფაქიზი დამუშავებით [ქარუმიძე თ. 1966:24-26].

თ. ქარუმიძის აზრით, შიდა ქალაქის ერთი პრინციპით წარმოებული განაშენიანება თითქმის ყველა ნაგებობისათვის გამოყენებული ერთი და იგივე რთული არქიტექტურული კომპოზიცია, მთელი ანსამბლის ერთიანი მხატვრული სტილი, დეკორისა და კლდის ზედაპირის დამუშავების იგივეობა, უდავოდ, ამტკიცებს უფლისციხის ერთდროულ მშენებლობას [ქარუმიძე თ. 1971:85].

უფლისციხის ნაგებობათა სიმრავლე, მათი გეგმარების სირთულე, არქიტექტურის საზეიმო ფორმათა სიდიადე, ძეგლის მდებარეობა ქვეყნის მთავარ მაგისტრალზე და, ბოლოს, თვით სახელწოდება *უფლის ციხე*, იმავე ავტორის შეხედულებით, მიუთითებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და, შესაძლოა, ადასტურებს იმ მოსაზრებასაც, რომ აქ ქართლის მცხეთამდელი დედაქალაქი ყოფილა [ქარუმიძე თ. 1966:25].

1977 წელს ხელოვნების II საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში – *უფლისციხე, ციხე-სიმაგრის კლდოვანი არქიტექტურა და შემდგომი სამშენებლო პერიოდი* – თ. ქარუმიძემ გამოთქვა მოსაზრება უფლისციხის როგორც საკულტო დანიშნულების ქალაქზე. მისი აზრით, გვიანანტიკურ ხანაში აქ ჩატარებულა სარესტავრაციო სამუშაოები; ძეგლის ძირითადი სამშენებლო პერიოდი განისაზღვრება ადრეელინისტური, მეორე სამშენებლო პერიოდი კი – ქართლის ქრისტიანიზაციის ხანით. განვითარებულ შუა საუკუნეებში მომხდარა ძველი ნაგებობების მასობრივი გადაკეთება და გაჩენილა ახალი ქვაბულები.

აღსანიშნავია, რომ *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის V ტომში* (1990 წ.) უფლისციხისა და მის ახლომახლო გამოვლენილ-შესწავლილი არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლების შესახებ სტატიების უმრავლესობა სწორედ თ. ქარუმიძის მიერაა დაწერილი საქმის ცოდნითა და მისთვის დამახასიათებელი ერუდიციით.

უფლისციხის შესწავლის III პერიოდის მნიშ-

ვნელოვანი მოვლენა იყო 1958 წელს ქალაქის დასავლეთ ფლატეზე არსებულ ე. წ. მიუვალ გამოქვაბულში არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. გამოქვაბული იმით იყო საინტერესო, რომ მასთან მისასვლელი გზის ჩამოშლის შემდეგ იგი გამოყენებული არ ყოფილა. გამოქვაბულში ასვლა სპეციალური მოწყობილობებით განახორციელეს თ. ტატიშვილმა, ო. თორთლაძემ, დ. ხახუტაიშვილმა, გ. აბრამიშვილმა და კ. ვაჩიშვილმა. მათ შეისწავლეს ორი დარბაზისაგან შედგენილი კომპლექსი, რომელსაც ჭერის ისეთივე გაფორმება (კოჭოვანი გადახრვის იმიტაცია) ჰქონდა, როგორც ორსვეტიან, ე. წ. თამარის დარბაზს, რომლის თარიღის შესახებ სრულიად განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული. ზოგი მას ელინისტურ ხანას მიაკუთვნებდა, ზოგი – გვიანანტიკურს, ზოგიც – შუა საუკუნეებს. მიუვალ გამოქვაბულში მიკვლეულ იქნა თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ოთხი ნატეხი, რომლებიც ძეგლის გამთხრელებმა ძვ.წ. V-IV სს-ით დაათარიღეს. უფრო მოგვიანო ხანის მასალა იქ არ აღმოჩენილა. გამოდის, რომ კომპლექსი „მიუვალი“ გამხდარა არა უადრეს ძვ.წ. V-IV სს-ისა. მაშასადამე, აღნიშნული ნაგებობა (შესაბამისად, ორსვეტიანი დარბაზიც) წინაელინისტური ხანის ყოფილა. ამ კომპლექსში ხელუხლებადაა შემონახული უფლისციხის არქაული არქიტექტურული ფორმები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ, შესაძლოა, იგი წარმართული საკულტო დანიშნულების ნაგებობა იყო [ხახუტაიშვილი დ. 1964:1-62; აბრამიშვილი გ., ვაჩიშვილი კ. 1964:28-34].

XX ს-ის 80-იან წლებში „მიუვალ“ გამოქვაბულში ავიდნენ თ. სანიკიძე, შ. ლეჟავა, ბ. ნიკოლაიშვილი და გ. ყიფიანი. ამ უკანასკნელმა თავის ნაშრომში გაიზიარა დ. ხახუტაიშვილის მოსაზრება და კომპლექსი ძვ.წ. V ს-ით დაათარიღა. ამასთან, იგი კლდოვან სამარხად, ხოლო იქ გამოვლენილი ზურგიანი (ბორდიურიანი) ტახტი მიცვალებულის სარეცლად მიიჩნია [ყიფიანი გ. 2002:28-29].

1976-1991 წლებში უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა თ. სანიკიძე, რომლის ნაშრომებში უფლისციხის არქიტექტურა გააზრებულია როგორც უწყვეტი პროცესი და სტრუქტურული მთლიანობა. 2002 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – *უფლისციხე მან თავი მოუყარა მრავალწლიანი კვლევის შედეგებს*. წერილობითი წყაროების, არქიტექტურული და

არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ნაშრომში მოთხრობილია უფლისციხის ისტორია ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან XVIII ს-მდე. მონოგრაფიაში წარმოჩენილია უფლისციხის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ცხოვრების ცალკეულ ეტაპებზე. ქალაქის ძირითადი სამშენებლო პერიოდი განსაზღვრულია ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით. ამ დროიდან საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე უფლისციხე სატაძრო ცენტრი და საერთო საქვეყნო სალოცავი იყო. მკვლევარს დახასიათებული აქვს ქალაქის აღმშენებლობის ეტაპები, ურბანული სტრუქტურა, ცალკეული ქვაბულ-ნაგებობებისა თუ მათი ჯგუფების ხუროთმოძღვრული თავისებურებანი. ავტორი წარმოაჩენს უფლისციხის სრულიად გამორჩეულ ადგილსა და როლს საქართველოსა და მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში [სანიკიძე თ. 2002].

1996-2004 წლებში უფლისციხის ექსპედიციას ხელმძღვანელობდა გ. ყიფიანი. მკვლევრის ცალკეულ სტატიებში აღწერილია კლდეში ნაკვეთი ქვაბულები და მოცემულია მათი ფუნქციის განსაზღვრის მცდელობა. გ. ყიფიანს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ უფლისციხეში კლდეში ნაკვეთი დარბაზების უმრავლესობა სამარხებია; რომ უფლისციხე საკულტო და მიცვალებულთა ქალაქია: უფლისციხე „ყველა ნიშნით ქართლის ერთ-ერთი მცირე ქვეყნის მმართველის – „მეფის“ ან „უფლის“ და მისი მოდგმის სამარხებია – პირობითად „უფლოსის“ [ყიფიანი გ. 2002:84, 90].

ხელოვნებათმცოდნე კ. ხიმშიაშვილის სადისერტაციო ნაშრომში – *უფლისციხის ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრება* მონოგრაფიულადაა გამოკვლეული ანტიკური ხანის ძეგლები უფლისციხის ტერიტორიიდან, მოხდა ზოგიერთი ნაგებობის გრაფიკული რეკონსტრუქცია, აღინერა ნაქალაქარისა და მისი ცალკეული კომპლექსების გეგმარება, გამოვლინდა კლდის კომპლექსთა ტიპოლოგია, განისაზღვრა მათი ფუნქცია და აგების თარიღი, გაირკვა ქალაქის მთავარი კარის კონსტრუქცია. იბერიის ზოგიერთ ანტიკურ ძეგლთან „ორკოლონიანი დარბაზის“ შედარებითა და მათი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ცეცხლის ტაძრის რეგიონული ტიპი. ნაგებობათა გარკვეული ჯგუფისათვის ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი ტერმინი – *აივნიანი (ლივანიანი) სახლი*. განხილულია მისი სემანტიკა, ასევე უფლისციხის როგორც სატაძრო ქალაქის საკითხი, გა-

მოვლინდა უფლისციხის პანთეონის ცენტრალური ღვთაება – მზე, ეტიმოლოგიურად შესწავლილ იქნა სახელწოდება უფლისციხე და სხვ. [Химшиашвили К. 1988].

კ. ხიმშიაშვილის აზრით, უფლისციხის ძირითად არქიტექტურულ თემასთან ყველაზე ახლოს დგას პართული ე. წ. *ლივანიანი სახლი*, რომლებიც უფლისციხეში უნდა გამოკვეთილიყო ახ. წ. II ს-ში. ამ თარიღს თითქოს ისტორიული ვითარებაც უწყობდა ხელს. ფარსმან ქველის დროს და შემდგომ ქვეყანა გაძლიერდა და საკმაო ხანს მშვიდი ცხოვრების საშუალება ჰქონდა. იმ დროისათვის ახლო კონტაქტები შეიმჩნევა ირანულ სამყაროსთან და სხვ. მკვლევარი ფიქრობს, რომ ელინისტური ხანის უფლისციხეში წამყვანი ადგილი ეკავა ალიზის ნაგებობებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ დროისათვის გამოქვაბულების არსებობასაც [ხიმშიაშვილი კ. 1986:61-63].

უფლისციხესა და მის შემოგარენში გავლენილი არქეოლოგიური მასალა არაერთმა მკვლევარმა შეისწავლა. მათ შორის საინტერესოა ლ. ახალაიას მიერ შესწავლილი ლაშეთხევის ნამოსახლარის არტეფაქტები, რომლებიც მან, პარალელური მასალის მიხედვით, ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულითა და ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრით დაათარილა [ახალაია ლ. 2000:3-11]. ძეგლის გათხრებსა და იქ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მცირე ნაწილის ანალიზს მიეძღვნა სტატია – *ლაშეთხევის მრავალფენიანი ნამოსახლარი*, სადაც საველე დოკუმენტაციის (დღიურები, ნახაზები) საფუძველზე რეკონსტრუირებულია გათხრების მიმდინარეობა, შედეგები და სხვ. გაირკვა, რომ ძეგლი, რომელიც საკმაოდ დაზიანებული იყო, შეიცავდა: ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ანტიკურსა და შუა საუკუნეების კულტურულ ფენებს. შუა საუკუნეების ფენებს დაეზიანებინათ უფრო ადრეული ხანის ნამოსახლარის ნაშთები. მცირერიცხოვანია, მაგრამ საინტერესო იქ მიკვლეული ადრებრინჯაოს ხანის ძვლის ნივთები – სახვრეტები და საპრიალებლები. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია სამი ცალი კაჭის ნამგლის ჩასართი და ერთი შუბისპირი. ავტორთა აზრით, ლაშეთხევის ნამოსახლარის ხასიათისა და რაობის გარკვევა მომავალი გათხრების საქმეა [ლოსაბერიძე ლ., ელოშვილი მ., ბიჭაშვილი თ., ხუნდაძე ნ. 2019:24-46].

ნ. ხუნდაძისა და ბ. ნიკოლაიშვილის მიერ

ბამბების სამაროვანზე ახალმოპოვებული არტეფაქტების საფუძველზე მოცემულია ზოგიერთი სამარხის განსხვავებული თარიღები [ხუნდაძე ნ. 2000:96-102; ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ. 2002:81-86]. ელინისტური ხანის თეთრად მოხატული კერამიკის ანალიზს მიეძღვნა ნ. ხუნდაძის ერთ-ერთი პუბლიკაცია [ხუნდაძე ნ. 1996:173-175].

შუა საუკუნეების უფლისციხის ისტორიის საკითხები შესწავლილია დ. მინდორაშვილის ნაშრომში – *უფლისციხე შუა საუკუნეებში*, რომელიც პირველი ცდაა თავი მოუყაროს და შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს შუა საუკუნეების უფლისციხის ისტორიის პრობლემები, განსაზღვროს უფლისციხის განვითარების ძირითადი ეტაპები და ხასიათი, მისი როლი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, განალიზოს იმ ხანის არქეოლოგიური მასალა და სხვ. [მინდორაშვილი დ. 2008].

ყათლანიხეში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზია წარმოდგენილი ლ. ახალაიას სტატიაში – *ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთები ყათლანიხევიდან*. მასში განხილულია ყათლანიხეში 1987-1991 წლებში ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაშთები და კერამიკის ნაწარმი [ახალაია ლ. 1996:173-175].

უფლისციხის შუა საუკუნეების საკითხებს მიეძღვნა ნ. ხუნდაძის სტატია *უფლისციხის საწარმოო უბანი*, რომელშიც განხილულია ზღუდის გარეთ, ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, გამოვლენილი ნაგებობა და მასში მიკვლეული XI-XIII სს-ით დათარიღებული არტეფაქტები. ავტორის აზრით, ნაგებობა სამეთუნეო სახელოსნო უნდა იყოს [ხუნდაძე ნ. 2005:48-55].

2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ საიუბილეო კრებულში – *თამარ გამსახურდია 70 (მშვენიერება მოსილი სევდით)* დაიბეჭდა მ. ინაძის სტატია – *შიდა კოლხეთისა და ქართლის ქალაქების გენეზისი*. მასში ავტორი განიხილავდა უფლისციხის კლდეში ნაკვეთ ნაქალაქარსა და მისი დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, მდებარე ყათლანიხევის სამლოცველო ბორცვის მასალას. მკვლევარს მიაჩნდა, რომ უფლისციხე შიდა ქართლის უძველესი ქალაქთაგანია. აქ გამოვლენილი არტეფაქტები და წერილობითი წყაროები საინტერესო მასალას გვაწვდის უფლისციხის ადრეული დასახლებისა და მასთან არსებული

სამლოცველოს ქალაქად ჩამოყალიბების პროცესის შესახებ [ინაძე მ. 2007:153-154]. ავტორი ქართლსა და კოლხეთში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზით მიღებულ დასკვნას ავსებს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ერთი საინტერესო ცნობით: „ხოლო ვითარცა მოკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: ინყეს ბრძოლად და კდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს... არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა. ინყეს ბრძოლად და კდომად ურთიერთას; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა... და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად“ [ქართლის ცხოვრება. 1955:10¹²⁻²⁰-11¹⁻⁶]. მოხმობილი ცნობიდან მ. ინაძე ასკვნის, რომ სამეფოს შექმნამდე ქართლში არსებობდნენ წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები – „ქვეყნები“, რომელთაც „თავადნი“, იგივე ხევისუფალნი, ედგნენ სათავეში. „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობის თანახმად, ყოველი მათგანი ცდილობდა ქართლში არსებულ წარმონაქმნთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებასა და ქართლის სამეფო ტახტის მოპოვებას. თუმცა, ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ ამ ადრეულ ხანაში ქართლის „ქვეყნების“ გაერთიანების მოთავე სამეფო ტახტის ყველაზე სრულუფლებიანი მემკვიდრე უფლოსი, ანუ უფლისციხის სატაძრო ცენტრში მჯდომი მეუფე-გამგებელი ამას ვერ ახერხებდა, რადგან ქართლის სხვა „თავადნი“ მას უფლად-მეფედ არ სცნობენ და, საბოლოოდ, „ქვეყნების“ გამაერთიანებლად მაინც დიდი მცხეთის მამასახლისი და (როგორც ამას უკვე *ფარნავაზის ცხოვრება* გვაუწყებს), ამ მამასახლისის ჩამომავალი – ფარნავაზი გვევლინება [ინაძე მ. 2007:154-155].

უფლისციხეში აღმოჩენილ ძვ.წ. I ს-ის გემას ეხება ქ. ჯავახიშვილის სტატია. გემაზე გამოსახულია ათინა პალადა [ჯავახიშვილი ქ. 2001:64-67].

გარდა სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიებისა, უფლისციხის გათხრებისას მიკვლეული მასალის პოპულარიზაცია ხდებოდა სხვადასხვა გამოფენაზეც. 1985-1986 წლებში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე – *ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშები* წარმოდგენილი იყო უფლისციხესა და მის შემოგარენში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი არტეფაქტები.

2006 წელს განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პროექტი – *უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმის ექსპოზიციის მოწყობა*. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ იქნა კლდეში ნაკვეთი კომპლექსის უნიკალური ნიმუშები (პროექტის მონაწილეები: გ. ყიფიანი, გ. მარსაგიშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ლ. ახალაია, ნ. ხუნდაძე, მ. გაჩეჩილაძე).

უფლისციხის არქეოლოგიური გათხრების 60 წლის აღსანიშნავად 2017 წლის 16 იანვარს, დავით ხახუტაიშვილის დაბადების დღეს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო საიუბილეო გამოფენა – *უფლისციხე – 60*. გამოფენასთან ერთად ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც წაკითხული იქნა უფლისციხის სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებული მოხსენებები. მათგან აღსანიშნავია მ. გველესიანის მოხსენება – *დიდი დედა ქალღვთაება საქართველოსა და მახლობელ ცივილიზაციებში*. მოხსენება მოიცავდა დიდი დედა ქალღვთაების კულტის წარმოშობას, მის იკონოგრაფიასა და თვისებრივ მახასიათებლებთან დაკავშირებულ საკითხებს როგორც საქართველოში, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებში. მომხსენებლის აზრით, უფლისციხეში, ყათლანიხევის სამოსახლოში. აღმოჩენილი თიხის ჰორელიეფი ქალის თავის გამოსახულებით ამ კულტის ვიზუალური განსახოვნების ერთ-ერთი მაგალითია. წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია დიდი დედის სხვადასხვა სახელით (ნანა/ნანო, კიბელა, არტემისი, რეა-ფასიანე) ცნობილი კულტის ატრიბუტიკა, თაყვანისცემის ფორმები და თავისებურებანი, რომელთა საფუძველზეც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მისი სოლარულ ქალღვთაებად გააზრების მართებულობა. დღემდე მიღებული ამ

თეორიის საპირისპიროდ, მკვლევარმა ინტერდისციპლინური მონაცემების მოხმობით გამოთქვა მოსაზრება ქალღვთაების მთვარესთან კავშირის შესახებ. მოხსენებაში განხილულ იქნა ის წანამძღვრები თუ შედეგები, რაც საქართველოს მცირე აზიასთან, ირანთან, საბერძნეთსა და რომთან კულტურულ ინტერაქციათა პროცესს საუკუნეთა განმავლობაში ახლდა თან.

საინტერესო იყო თ. ქემერტელიძის მოხსენება. იგი იზიარებს გ. მელიქიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვით, წინარელინისტური ხანის ქართლის პოლიტიკური ცენტრი უფლისციხე უნდა ყოფილიყო და არა მცხეთა [მელიქიშვილი გ. 1955:134-136]. მომხსენებლის აზრით, „დაახლოებით ძვ.წ. VII ს-ის ბოლო მეოთხედიდან ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებამდე მდ. მტკვრის ხეობაში, კერძოდ, ქართლში, გამოჩნდნენ და გაბატონდნენ სასპერები, აღმოსავლურქართული თემები, ე. წ. მესხური ნაკადი; სავარაუდოდ, მათს სახელსა და ღვანლს უკავშირდება ადრეანტიკური ხანის ქართლში, მდ. მტკვრის „მიხვევით“, ქალაქთა დაფუძნება. ესენია: „სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაი, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისაი“ [მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1963:81]. თ. ქემერტელიძე თვლის, რომ, მეტად მოხერხებული მდებარეობის გამო, უფლისციხე ციხე-ქალაქთა შორის უპირატესი უნდა ყოფილიყო; ამაზე მიუთითებს თვით დასახლების სახელიც; გარდა ამისა, ჩანს, იგი იყო მთავარი სატაძრო ქალაქი და, სავარაუდოდ, უფლისციხე უნდა ვცნოთ ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველ მეფეთა – აზოსა და ფარნავაზის სატახტო ქალაქადაც, იმავე „ძუელ მცხეთად“ [ქემერტელიძე თ. 1998:111-136; 2007; 2022].

2022 წლის 24 ნოემბერს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში ჩატარდა არქიტექტორ თ. ქარუმიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია – *უფლისციხე 65*, სადაც წარმოდგენილი იყო საინტერესო მოხსენებები უფლისციხის ისტორიისა და კვლევის სხვადასხვა საკითხის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 1978 წლიდან უფლისციხეში შეიქმნა ნაკრძალი, რამაც დიდად შეუწყო ხელი ძეგლის მოვლა-პატრონობას. დროდადრო ხდებოდა ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაცია. იმ პერიოდში ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ლაბორატორიის გამგე თ. იაქაშვილის ხელმძღვანელობით ნაქალაქარის

ტერიტორიაზე ჩატარდა კლდის გასამაგრებელი საცდელი სამუშაოები. 1999 წელს ძეგლი გამაგრდა ახალი მეთოდებით. თუმცა, ორივე შემთხვევაში კლდის ზედაპირის გამაგრებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა (დირექტორი დ. ნინიძე) 2001-2002 წლებში უფლისციხეში განახორციელა საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ფიზიკური გამოკვლევები ჩატარდა უფლისციხის კლდეში ნაკვეთ რამდენიმე კომპლექსს (ე. წ. თეატრონს, შეწყვილებულკოჭებიან დარბაზს, გრძელ სახლს, მაყვლიანს, თამარის დარბაზს, ქარაფისპირა, ქუჩისპირა და „კოხტა“ სახლებს). ჩატარებული კლდის გასამაგრებელი სამუშაოების დადებითი თუ უარყოფითი შედეგები რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება შეფასდეს. უფლისციხის – ამ უნიკალური ძეგლის მიმართ უფრო მეტი სიფრთხილეა გამოსაჩენი და იქნებ სჯობდეს, ზედმეტად არ ჩავერიოთ პროცესებში და ამით ხელი არ შევეწყოთ ძეგლის ნგრევის დაჩქარებას.

ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, უფლისციხეში შესრულდა შემდეგი სამუშაოები: კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ხევზე აშენდა ხიდი, გაფართოვდა და კეთილმოეწყო ავტოსადგომი, აშენდა მუზეუმის შენობა, შეიქმნა სასმელი წყლის 5 კმ-იანი ტრასის პროექტი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე განუხორციელებელია. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალზე საუბრისას შეუძლებელია მაღლიერებით არ მოვიხსენიო მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი კ. სადალაშვილი, რომელსაც დიდი წილი მიუძღვის ძეგლის მოვლა-დაცვაში. ასეთივე გულისხმევით უვლიდნენ და დღესაც უვლიან უფლისციხეს მომდევნო თაობის წარმომადგენლები: ზ. სადალაშვილი, ბ. გასპაროვი და სხვანი.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა მრავალწლიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად დაგროვდა დიდი არქეოლოგიური მასალა, რომლის შესწავლით ამ უნიკალური ძეგლის ბევრ საიდუმლოს ფარდა აეხადა. დადგინდა უფლისციხის წარმოქმნის დრო, მისი განვითარების ეტაპები, განისაზღვრა მისი ადგილი საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში. უფლისციხის შესწავლის III პერიოდში, ძირითადად, დასრულდა ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრა. ამ დროისათვის გამოვლინდა და ნაწილობრივ იქნა შესწავლილი ახალი ძეგლები უფლისციხის შემოგარენიდან. სხვადასხვა მკვლევარმა მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა კლდეში ნაკვეთი კომპლექსების შესახებ, რომლებშიც ხშირად ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული ცალკეული კომპლექსების დანიშნულებისა თუ თარიღის შესახებ. უახლეს პუბლიკაციებში ზოგიერთი არქეოლოგიური მასალა გადათარიღდა. უფლისციხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ნათლად ჩანს, რომ კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოსა და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის ანტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მის შემოგარენში უძველესი დასახლებები ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრიდან ჩნდება. კლდეში ნაკვეთ კომპლექსში კი ცხოვრება XVIII ს-ის ჩათვლით გრძელდება. უფლისციხის შესწავლის III პერიოდში (1957 წლიდან 2005 წლამდე) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ უფლისციხე იყო ქვეყნის ერთ-ერთი ძლიერი წარმართული რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი.

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი გ., ვაჩიშვილი კ. უფლისციხის „მიუვალი“ კომპლექსი. ძმ #3. 1964. გვ. 28-34.

ახალაია ლ. ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთები ყათლანიხევიდან. ნარკვევები. ტ. II. 1996. გვ. 173-175.

ახალაია ლ. ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა ლაშეთხევის გორა-ნამოსახლარიდან. ნარკვევები. ტ. VI. 2000. გვ. 3-11.

ინაძე მ. შიდა კოლხეთისა და ქართლის ქალაქების გენეზისი. კრებულში – თამარ გამსახურდია – 70 (მშვენიერება მოსილი სევდით). თბ., 2007. გვ. 150-158.

ლოსაბერიძე ლ., ელოშვილი მ., ბიჭაშვილი თ., ხუნდაძე ნ. ლაშეთხევის მრავალფენიანი ნამოსახლარი. ჟურ. ამირანი. ტ. XXXII. 2019. გვ. 24-46.

მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1955.

მინდორაშვილი დ. უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბ., 2008.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნ. I. ილ. აბულაძის რედაქციით. თბ., 1963.

ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ. ბამბების სამაროვნის ზოგიერთი სამარხის თარიღისათვის. აჟ II. 2002. გვ. 81-86.

სანიკიძე თ. უფლისციხე. თბ., 2002.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973.

ქარუმიძე თ. უფლისციხის ხუროთმოძღვრება (1959 წლის მუშაობის ანგარიში). სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1959 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1960. გვ. 57-60.

ქარუმიძე თ. უფლისციხე. 1960 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში (არქიტექტურა). საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შე-

დეგები. თბ., 1961. გვ. 37-39.

ქარუმიძე თ. უფლისციხის ძირითადი მშენებლობის არქიტექტურა (არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში). სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1966. გვ. 24-26.

ქარუმიძე თ. უფლისციხე (არქიტექტურა, შიდა ქალაქის სამშენებლო ფენები). არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ., 1971. გვ. 84-86.

ქარუმიძე თ. უფლისციხე. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ., 1990. გვ. 90-109.

ქემერტელიძე თ. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 1998.

ქემერტელიძე თ. უფლისციხე, ქართლის პირველი მთავარი ქალაქი. უფლისციხის ექსპედიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 2007.

ქემერტელიძე თ. ქარტები, უფლისციხელები ადრეანტიკურ ხანაში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციების 65 წლისთავისა და თინათინ ქარუმისადმი (მოხსენებათა თეზისები). თბილისი-უფლისციხე. 2022.

ყიფიანი გ. უფლისციხე. თბ., 2002.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 1964.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე II. 1963-1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 1970.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე. ჟურ. ძმ #3. 1964ა. გვ. 19-27.

ხახუტაიშვილი დ. კლდეში ნაკვეთი ქალაქი. თბ., 1965.

ხახუტაიშვილი დ. იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1989.

ხიმშიაშვილი კ. უფლისციხის კლდეში ნაკვე-

თი კომპლექსების ერთი ჯგუფის დათარიღებისათვის. ძმ #3. 1986. გვ. 59-63.

ხუნდაძე ნ. უფლისციხის შესწავლის ისტორია. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მე-40 წლისთავისადმი. თეზისები. 12-13 ნოემბერი. თბ., 1990.

ხუნდაძე ნ. ელინისტური ხანის თეთრად მოხატული კერამიკა. ნარკვევები. ტ. II. 1996. გვ. 169-172.

ხუნდაძე ნ. ბამბების სამარხთა თარიღისათვის. აფ I. 2000. გვ. 96-102.

ხუნდაძე ნ. უფლისციხის საწარმოო უბანი. ნარკვევები. ტ. X. 2005. გვ. 48-55.

ჯავახიშვილი ქ. გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები I. გემა უფლისციხიდან. ძიებანი. #7. 2001. გვ. 64-67.

Химшиашвили К. Зодчество Уплисцихе античного периода (по археологическим данным), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Ереван. 1988.



FROM THE HISTORY OF STUDY OF UPLISTSIKHE

Scientific study of Uplistsikhe began in the 19th century, however that study was not extensive and profound. In the first half of the 20th century many scientists complained about the lack of monographic studies on the history of Uplistsikhe.

In 1955 at the suggestion of Academician G. Melikishvili, in the department of the ancient history of the Iv. Javakhishvili Institute of History was decided to study ancient towns of Colchis and Kartli (Iberia), among which was included Uplistsikhe too. The research was entrusted to D. Khakhutaishvili. In 1956, the expedition under the leadership of D. Khakhutaishvili conducted an archaeological survey of Uplistsikhe and its surroundings. A prospective plan for excavation of the rock-cut complex and its vicinities was made.

In 1957, the research in the area of the rock-cut complex and its surroundings was carried out. D. Khakhutaishvili distinguished two periods in the history of studying of Uplistsikhe. The first period included 30s-80s of the 19th century. Researchers of that time were: Diubua de Monpere, Pl. Ioseliani, G. Gagarin, K. Muraviov – Apostol, son of D. Megvinetukhutsesi. The latter even conducted excavations in Uplistsikhe. The studies, carried out in the mentioned period, were characterized by improper skills of majority of participants who studied the monument, there was lack of Kartvelology knowledge as it was not developed, etc.

The second period of Uplistsikhe studying includes 1894-1957 years. Interesting point of views were expressed by scientists working in that period: P. Uvarova, K. Leman-Haupt, V. Belk, L. Melikset-Beg, G. Chubinashvili, Sh. Amiranashvili, D. Mshvenieradze, Ir. Tsitsishvili, K. Melitauri, D. Gvritishvili and etc. The second period of Uplistsikhe studying was characterized by increase in number of researchers, raising the research to a scientific level and finding new ways in the study of the monument. However, due to the lack of archaeological material, the opinions expressed by scientists were more hypotheses than substantiated considerations.

The third period of Uplistsikhe study began in 1957, when archaeological excavations started there. The results of excavations were soon reflected in D. Khakhutaishvili's works – "Uplistsikhe I. Results of the 1957-1963 years archaeological research", Tbilisi, 1964; "Town carved into a rock". Tbilisi, 1964; "Issues in the history of Iberian towns", Tbilisi, 1966. In this last work the author touched on such important issues as emergence and development of Iberian towns and urban life. Outward looks of towns, fields of urban crafts, trade and the role of trade routes in the economy of towns, relationship between towns and their agricultural regions, organization of town government, the social life, etc. The listed researches were preceded by D. Khakhutaishvili's several articles dedicated to Uplistsikhe.

In 1970 was published D. Khakhutaishvili's work "Uplistsikhe II". It reviews the archaeological material got in 1963-1965 years, which is of great significance for studying the history of Uplistsikhe and towns of Iberia (Kartli) in general. Taking into account the interest of the broad society towards Uplistsikhe, D. Khakhutaishvili's scientific work "Uplistsikhe-town in a rock" was reprinted in 1989. In the book the author analyzed the old material and the most recent important discoveries of Uplistsikhe.

It has been determined that there was a group of archaeological and architectural monuments in Uplistsikhe and its surroundings, the oldest of which dates back to the Early Bronze Age and the latest belongs to the Late Middle Ages. The exploitation of the rock-cut Uplistsikhe complex began from the first half of the I millennium BC. The main part of the architectural complex emerged, mainly, in the Antique and Hellenistic periods. Revealed by archaeological excavations the shrine of agrarian cult, rock-cut winepresses, wine cellars, vine cutting knives, bronze and flint sickles, threshing-boards, grape pips, etc., provide us with a certain idea about agricultural life of Uplistsikhe and its rural suburbs.

In 1958-1981, the head of the Uplistsikhe archaeological expedition was T. Qarumidze – an architect, who together with D. Khakhutaishvili led

the field research with great daring. The drawings and sketches made by him are significant not only because they are fulfilled at the high professional level, but also because a part of the rock carved halls have already, completely or partially, fallen down and having an idea of them can be only judged according to T. Qarumidze's works. He expressed the opinion that Uplistsikhe was a cult town and restoration works were conducted there in the late Antiquity. The main construction period of Uplistsikhe is determined by the pre-Hellenistic era, the second period- by the Christianization time of Kartli. Massive rebuilding of old constructions and new foundation pits appeared in the developed Middle Ages.

In 1976-1991, the archaeological-architectural expedition of Uplistsikhe was led by T. Sanikidze. In his works architecture of Uplistsikhe is understood as a continuous process and structural integrity. In 2002, the monograph "Uplistsikhe" was published in which the author collected results of many years work. On the basis of written sources, archaeological-architectural material, the work describes the history of Uplistsikhe from the end of the II millennium BC. to the 18th c. AD. The main construction period of Uplistsikhe is determined around the 4th-3rd cc. BC. From that time until the establishment of Christianity in Georgia, Uplistsikhe was a sacred centre and a common public place of worship.

In 1996-2004, the Uplistsikhe expedition was led by G. Kipiani. The rock-cut foundation pits are described and an attempt to define their function is given in separate articles of the scientist. In G. Kipiani's opinion, the number of rock-cut halls in Uplistsikhe are tombs, Uplistsikhe should have been a cult town and a town of deceased. In the work of art historian K. Khimshiashvili "Architecture of Uplistsikhe of Antiquity" the function of the rock-cut complex and the date of its building were determined. The constructions of the main gate of the town was ascertained. Based on the analysis of some antique monuments of Iberia with the "two-columned hall", a regional type of a fire temple has been revealed. A new term a "house with balcony" was proposed for a certain group of constructions. Its semantics, the issue of Uplistsikhe as a temple town and a number of other significant problems were discussed in the work.

The artifacts of Lashetkhevi site of former town settlement near Uplistsikhe, studied by L.

Akhalaia, which date back to the second half of the IV millennium, are worth of interest. The article of L. Losaberidze, M. Eloshvili, T. Bichashvili and N. Khundadze "Lashetkhevi Multi-layered settlement" touched results of archaeological excavations of the mentioned monument and analysis of a small part of the archaeological material discovered there. On the basis of the field documentation (diaries, drawings, etc.), the course of excavation results have been reconstructed. It turned out that the monument, which was quite damaged, contained layers of the Early Bronze Age, the Late Bronze-Early Iron Age, ancient and medieval cultural stratum. The Early Bronze Age bone objects found there are worth of mentioning: drills, polishers, flint sickle inserts and a spearhead.

N. Khundadze and B. Nikolaishvili proposed different dates of some burials based on newly found artifacts at "Bambebi" burials. One of N. Khundadze's publications was devoted to the analysis of the white-painted ceramics of the Hellenistic period. The article "Industrial district of Uplistsikhe" was written by N. Khundadze as well. The author discusses the construction found outside the protective wall and objects, dated back to the 11th-13th cc., which were found in it. According to the author, the building should have been a pottery workshop.

Issues of the history of Middle Ages Uplistsikhe were studied by D. Mindorashvili's work "Uplistsikhe in the Middle Ages". It is the first attempt to gather together and present as much as possible problems of Uplistsikhe history in the Middle Ages, to determine the main stages and character of development of Uplistsikhe, its role in the history of Georgia in the Middle Ages, to analyze the archaeological material of that time, etc.

Analysis of found in Katlanikhevi archaeological material is presented in L. Akhalaia's article "Remains of the early feudal epoch buildings from Katlanikhevi". In the paper are discussed remains of the early medieval constructions and ceramics found in Katlanikhevi during 1987-1991 years.

To celebrate the 60th anniversary of the archaeological excavations of Uplistsikhe, in 2017 the Shalva Amiranashvili Museum of Fine Art of the National Museum of Georgia organized an anniversary exhibition "Uplistsikhe 60". A scientific conference was held too. M. Gvelesiani's conference paper "The great mother goddess in Georgia and adjoining civilizations" concerned a clay haut-relief

image of a woman's head found in Uplistsikhe, in Katlanikhevi. According to the researcher, that artifact is a visual representation of the mother goddess' cult. T. Qemertelidze's paper was of interest. G. Melikishvili's opinion, concerning the fact that a political centre of pre-Hellenistic Georgia should have been Uplistsikhe and not Mtskheta, was shared and spread.

As a result of many years of joint work of employees of the Ivane Javakhishvili Institute of History and the Shalva Amiranashvili Museum of Fine Art, a large amount of archaeological material was obtained from Uplistsikhe and its surroundings. Their study determined the time of formation of Uplistsikhe, stages of its development, ascertained the place of this monument in the history of Georgia and the Caucasus.

In the III period of study of Uplistsikhe mainly

archaeological excavations of the site of former settlement were completed, new monuments from surroundings were revealed and, partially, studied. A number of scientists have published works on the rock-cut complexes. There are often contrary opinions in the works concerning the purpose or date of individual complexes. Some archaeological material has been re-dated in recent publications. It is clearly seen in the existing literature that the rock-cut town is extremely significant monument of the ancient culture of Georgia and, in general, of the Near East.

As a result of archaeological excavations and the scientific research carried out in the III period of study of Uplistsikhe (1957-2005), it was ascertained that Uplistsikhe was one of the strongest religious, political and cultural centre of Iberia (later Kartli) in the antique era.

უფლისციხე წინაანტიკურსა და ანტიკურ ხანებში

**ლაშეთხევი (ძვ.წ. IV ათასწლეულის
მინურული - III ათასწლეულის I ნახევარი)
(ტაბ. II-XIII)**

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების კვალი უფლისციხის შემოგარენში გვხვდება რამდენიმე ადგილას, როგორც ნასახლარების ნაშთების, ისე დაზვერვებისას ან შემთხვევით მიკვლეული ცალკეული ნივთების სახით (ტაბ. XIII. მუხების გორა, ბამბების ნამოსახლარი #502)

1973 წელს უფლისციხის ექსპედიციამ დ. ხა-ხუტაიშვილის ხელმძღვანელობით ლაშეთხევში მცირე მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა და ადრეული ბრინჯაოს ხანის საინტერესო მასალა მოიპოვა.

ლაშეთხევის ნამოსახლარი უფლისციხის ნაქალაქარის აღმოსავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს. ნამოსახლარი განლაგებულია ბუნებრივ ბორცვზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან მდინარე ლაშეთხევი ჩამოუყვება (ტაბ. II-IV)

ლაშეთხევის ადრებრინჯაოს ხანის მასალა შემდგომ ლ. ახალაიამ შეისწავლა. ავტორი მიუთითებს, რომ საკმაოდ სწორი რელიეფის მქონე ნამოსახლარში, თხრილებში, ერთმანეთის გვერდით, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და შუა საუკუნეების თიხის ნაწარმი (ტაბ. V_{2-4'}, VII_{2-4'}, VIII-XI). ლაშეთხევის ნამოსახლარში მოპოვებული ადრეული მასალა ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება. მასალა ძალზე ფრაგმენტულია და მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ დაფიქსირდეს მტკვარ-არაქსის კულტურის აქ აღმოჩენის ფაქტი, ძეგლის ზოგადი ხასიათი და მისი თარიღი. ლაშეთხევის ნამოსახლარის თიხის ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი ფენა-ფენად. კეცი განსხვავებული სისქისაა. ჭურჭელი დამზადებულია სხვადასხვა სტრუქტურის თიხისაგან. სქელკედლიანი ჭურჭლის თიხა, უმეტესად, უხეშია. პატარა ზომის ჭურჭელს აქვს საკმაოდ თხელი და შედარებით წმინდად განლექილი კეცი. ჭურჭლის ზედაპირი, უმთავრესად, ანგობირებული და გაპრიალებულია, ზოგჯერ, შიგნიდანაც. მცირე გამოწკლისის გარდა, ჭურჭელს აქვს ნითელი ან მოყავისფრო შეფერილობა. არის

ვარდისფრად და ნაცრისფრად გამომწვარი და შავპრიალა ნიმუშებიც. მათი ორფერი კეცი შეიცავს სილას, თაბაშირსა და, ზოგჯერ, წვრილი კენჭების ჩანარებს. კერამიკა დამზადების ტექნიკით, დამუშავებითა და ფორმით ტიპური მტკვარ-არაქსული ნაწარმია (ტაბ. XII). მას ბევრი საერთო აქვს შიდა ქართლის ძეგლებთან. ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად ლაშეთხევის კერამიკა ყველაზე მეტად ხიზანანთ გორისა და ქვაცხელების ძვ.წ. IV ათასწლეულის მინურულითა და III ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებულ კერამიკის მასალას შეესატყვისება. კოლექციაში დაცულ რამდენიმე ნივთს ანალოგები ეძებნება ქვემო ქართლისა და თრიალეთის ამავდროული ძეგლების თიხის ნაწარმთან [ახალაია ლ. 2000:3-11].

ლაშეთხევის ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლის ნივთებიდან აღსანიშნავია სახვრეტები და საპრიალებლები. ქვის იარაღთაგან გვხვდება სამი კაჟის ნამგლის ჩასართი და შუბისპირი [ლოსაბერიძე ლ., ელოშვილი მ., ბიჭაშვილი თ., ხუნდაძე ნ. 2019:24-46].

უძველესი სამოსახლო ყათლანიხევის ბორცვზე (ტაბ. XXV)

ყათლანიხევის სამოსახლო ბორცვზე 1957-1962 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია ორი კულტურული ფენა. ქვედა - I ფენის მასალა მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. I ფენის მასალა უფრო „საერო“ ხასიათს ატარებს. ამ ფენაში არ შენიშნულა საწესო დანიშნულების რაიმე საგანი. „I ფენის კერამიკა II ფენის კერამიკასთან შედარებით ოდნავ არქაულ იერს ატარებს და მისგან რიგი ნიშნებით გამოირჩევა: 1. აქ არ გვხვდება მეორადი გამოწვის არც ერთი ფრაგმენტი, მათ შორის არც ძელური შეღესილობის დეტალები; 2. I ფენის კერამიკა უფრო სქელკეციანია და ზედაპირიც უკეთ აქვს დამუშავებული (გაპრიალებული), ვიდრე II ფენის ჭურჭელს; 3. I ფენის კერამიკაში დადასტურებული არ ყოფილა სოლებით შემკული ჭურჭლის არც ერთი ფრაგმენტი, რაც ასე ფართოდ იყო წარმოდგენილი II ფენის კერამიკაში; 4. I ფენის თიხის ჭურჭელი დეკორის მხრივ უფრო სადაა,

ვიდრე II ფენისა“ [ხახუტაიშვილი დ. 1964:49].

I ფენა იმდენად მცირე ფართობზე იყო შემორჩენილი, რომ სამოსახლოს გარკვეული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ცხადი უნდა იყოს, რომ II ფენის კუთვნილი ძეგლის წარმოქმნის წინ მოსახლეობას გორა მიუტოვებია და საცხოვრებლად მდინარის პირას ჩანუღა. ამისი საბუთია ყათლანიხევისა და სოფელ უფლისციხის სინქრონული მასალები. ჩანს, რომ გორა ქცეულა ხატად, იგი მიუტოვებია მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ხატის მსახურებასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონია. დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელიც ბორცვის II ფენის დაღუპვას ემთხვევა, თემთა (სამოსახლოთა) და მათს სამლოცველოთა შორის არსებული შუღლი ყათლანიხევის ბორცვზე არსებული სამლოცველოს დაღუპვით დამთავრებულა. სამლოცველოს განადგურების უკან იმ თემის დამარცხების სურათი ჩანს, რომელსაც აღნიშნული ხატი ეკუთვნოდა. ასეთი დასკვნის სისწორეზე მიუთითებს არა მარტო ყათლანიხევის, არამედ, უფრო მეტად, ხოვლეგორა IV-V და ნაცარგორა III-ის სანესო ნაგებობათა განადგურების სურათი.

ძვ.წ. I ათასწლეულის I სს-ში უფლისციხის მიდამოების თემთა სანესო ცენტრს კლდეში ნაკვეთი სამოსახლოსაკენ უნდა გადაენაცვლა. აქეთვე უნდა ვიგულოვოთ დაწინაურებული თემის საცხოვრისი. ამ მოვლენას დასაწყისი ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგიდან ეძლევა [ხახუტაიშვილი დ. 1964:49-50].

წინანტიკური ხანის ძეგლები სოფ. უფლისციხიდან (ტაბ. XXVI₂)

1957 წელს სოფ. უფლისციხის მცხოვრებლებმა ექსპედიციას გადმოსცეს ბრინჯაოს სამეურნეო იარაღების კოლექცია და ერთი ორმოსამარხის ინვენტარი. მომდევნო წლებში სოფ. უფლისციხეში წინანტიკური ხანის კიდევ რამდენიმე სამარხი აღმოჩნდა. მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ვერ მოხერხდა.¹

ბრინჯაოს ნივთების კოლექცია შეიცავს ორ ნამგალსა და ბრტყელ ცულს (ტაბ. XIV). ო. ჯა-

ფარიძემ დაადგინა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ყველა ნამგალი უყუნოა, რითაც ისინი ემსგავსება წინააზიურ ნამგლებს და განსხვავდება ჩრდილოეთ კავკასიასა და ევროპაში აღმოჩენილი ნამგლებისაგან [ჯაფარიძე ო. 1953:202-211]. იმავე აზრს იზიარებდა დ. ხახუტაიშვილი უფლისციხის ნამგლების შესახებ და აღნიშნავდა, რომ ისინი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ბეშთაშენში (საფარ-ხარაბა) აღმოჩენილ ბრინჯაოს ნამგლებთან, რომელთა ხნოვანების ზედა საზღვრად ბ. კუფტინს ძვ.წ. XII-XI სს. აქვს მითითებული [Куптин Б. А. 1941:70; ხახუტაიშვილი დ. 1964:50-51]. რ. აბრამიშვილი მათ ძვ.წ. XIV-XIII სს-ით ათარიღებდა [აბრამიშვილი რ. 1961:310-311, 315-316]. ამავე ხანისა უნდა იყოს ბრინჯაოს ბრტყელი ცული, რომელიც თავისი ფორმით ახლო დგას სევანის ტბისა და სასირეთის განძის ხელეჩოებთან [Куптин Б. А. 1947:30]. ბრინჯაოს ბრტყელ ცულს რ. აბრამიშვილი ძვ.წ. XIII-XII სს-ს მიაკუთვნებდა [აბრამიშვილი რ. 1957:138-139].

აღნიშნული სამეურნეო იარაღები, როგორც რ. ბახტაძემ გამოიკვლია, დამზადებულია დარიშხანიანი სპილენძისაგან. მათში სპილენძის ოდენობა იცვლება 92,69%-დან 97,40%-მდე. კალა მცირე ოდენობით (0,42%) მხოლოდ ხელეჩოში აღმოჩნდა, ხოლო ანთიმონი არც ერთ ნივთში არ დადასტურდა. ყველა მინარევი, რომლებიც ნივთებშია დადასტურებული (დარიშხანი, ტყვია, რკინა), მისი აზრით, სხმულში მადნისაგანაა გადმოსული. სამივე ნივთი ჩამოსხმულია და არ ატარებს ჭედვის კვალს [ხახუტაიშვილი დ. 1964:51].

ყათლანიხევის ბორცვზე გამოვლენილ კეერის (ტაბ. XXVI₁) ნაშთებთან და ყურძნის ნიპნებთან ერთად (ტაბ. XIX. #257. კოჭობში იყო ფშატის კურკებიც), აგრეთვე ხატის ბელელი და გორაზე დადასტურებული სასოფლო-სამეურნეო კულტები, განსაკუთრებით, სოფ. უფლისციხიდან მომდინარე ბრინჯაოს ნამგლები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის უფლისციხის რაიონის მოსახლეობის უძველესი მეურნეობის ხასიათსა და მის დარგობრივ თავისებურებებზე [ხახუტაიშვილი დ. 1964:51].

სოფ. უფლისციხის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხული ინვენტარი ძვ.წ. II ათასწლე-

¹ სადღეისოდ სოფელი უკაცრიელი გახდა. მოსახლეობა საცხოვრებლად გადავიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ამდენად, ნასოფლარად ქცეულ ტერიტორიაზე ამჟამად უკვე შესაძლებელი (და აუცილებელია) არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

ულის მიწურულითა და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება. დ. ხახუტაიშვილის აზრით, სამაროვანი შიდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ წინაანტიკური ხანის სამოსახლოს ეკუთვნოდა [ხახუტაიშვილი დ. 1964:52, 54].

წინაანტიკური ხანის მასალა შიდა ქალაქიდან (ტაბ. XXVII-XL)

1957 წლამდე თითქმის არავინ ფიქრობდა, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე წინაანტიკური ხანის ფენები აღმოჩნდებოდა. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ აქ წინაანტიკურ ხანაშივე წარმოქმნილა გორას ტიპის სამოსახლო, რომლის შემდგომ განვითარებას ანტიკური ხანის ქალაქი მოუცია [ხახუტაიშვილი დ. 1958:370].

იმის გამო, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსები არა ერთხელ იწმინდებოდა, უძველესი მასალა ადგილ-ადგილაა დაცული, კერძოდ, იგი დადასტურდა კლდეში ნაკვეთი სამნავიანი ბაზილიკის გარშემო, აგურის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე უბანში. აქ წარმოდგენილია შავ და ლეგა პრიალა თეფშების, ქოთნების, დერგებისა და ცხოველის ფიგურის ფრაგმენტები [ხახუტაიშვილი დ. 1964:53. ტაბ. XXIX_{1,2,4,13-15}]. ასეთივე მასალა დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შიდა ქალაქის დასავლეთი ფლატის ძირას. 1963 წელს შიდა ქალაქის II უბანში (ტაბ. XL) ანტიკური პერიოდის კულტურული ფენის ალების შემდეგ გამოვლინდა უძველესი ფენა, რომელიც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 6 მეტრ სიღრმეზე 40 სმ სისქის ნაცროვანი შრით იყო წარმოდგენილი [ხახუტაიშვილი დ. 1964:53].

წინაანტიკური ხანის მასალა იქნა დაფიქსირებული 1975-1980 წლებში შიდა ქალაქის ცენტრალური უბნის, ე. წ. ხევის გათხრებისას (ტაბ. LXIX). ამ უბნის, ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილი უბნების კულტურული ფენები, დიდი რაოდენობით შეიცავდა ლეგა და შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხებს. არტეფაქტები თიხის სტრუქტურით, კეცით, ფერით, დეკორით, ფორმებითა და დამუშავების ხერხებით იმდენად ზუსტად იმეორებს ყათლანიხევის ბორცვის II ფენის კერამიკს, რომ ისინი არა მარტო სინქრონულ, არამედ, უდავოდ, ერთი სახელოსნოს ცენტრის ნაწარმად წარმოგვიდგება.

ამ პერიოდის ჭურჭელი შემკულია: ამოტვიფრული სოლებით, რელიეფური გრეხილი და

სადა სარტყლებით, კონცენტრული წრეებით, წინვოვანი ორნამენტით, ამოღარული სწორი და ტალღოვანი სარტყლებით. ხშირად ქუსლს შემოუყვება ნაჭდევები. გვხვდება ზოომორფულყურიანი არტეფაქტებიც.

ამგვარად, გამოვლენილი მასალის მიხედვით, დადასტურდა, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე გორას ტიპის სამოსახლო ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დამდეგს წარმოქმნილა. შიდა ქალაქის ტერიტორიაზე უძველესი მასალის გვერდით ასევე აღმოჩნდა ადრეანტიკური, ელინისტური, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების მასალა, რაც ცხადყოფს უფლისციხის ხანგრძლივ ცხოვრებას [ხახუტაიშვილი დ. 1964:53].

ანტიკური ხანა

უფლისციხის შიდა ქალაქის ცენტრალურ უბანში განლაგებული მთელი რიგი კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, ძირითადად, ადრეანტიკური ხანისაა.

უფლისციხის მიუვალი გამოქვაბული (ძვ.წ. VI-IV სს.) ქალაქის ცენტრალური ნაწილისაგან 400-500 მეტრითაა დაშორებული. იგი ფლატის ძირიდან 52 მეტრ სიმაღლეზეა გამოკვეთილი (ტაბ. XLII). შიდა ქალაქის ზედა ბაქნიდან გამოქვაბულამდე 13-15 მეტრია. მიუვალი კომპლექსი ერთადერთია, სადაც არა ჩანს ნაგებობათა შემდგომი გადაკეთებისა და იქ შუა საუკუნეებში ცხოვრების კვალი. კლდის ჩამოქცევის გამო გზის მოშლისა და გამოქვაბულში ცხოვრების შეწყვეტის გამო ხელუხლებლადაა შემორჩენილი მისი არქიტექტურული სახე [ხახუტაიშვილი დ. 1964:60-62; აბრამიშვილი გ., ვაჩიშვილი კ. 1964:28-34].

1958 წელს გამოქვაბულის მეორე დარბაზის განმდისას აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილთან გამოვლინდა სავარძლის ფორმის მონოლითი (H - 40 სმ, ზურგით - 65 სმ), რომელიც აღმოსავლეთის კედლის მთელ სიბრტყეზეა დომინირებული. სავარძლის მახლობლად მიწის ფენის პრეპარაციამ კერამიკის ოთხი ფრაგმენტი გამოავლინა. მათგან ერთი ნმინდად განლექილი თიხისაა, ნითლად გამომწვარი და გულმოდგინედ გაპრიალებული. დანარჩენი სამი შავად და ლეგად გამომწვარი, შედარებით უხეში თიხისაგან დამზადებული სქელკედლიანი კერამიკის ნიმუშია. არტეფაქტები ძვ.წ. VI-V სს-ს განეკუთვნება (ტაბ. XLII).

უ.შ.ქ. #44, 45, 46, 47).

მიუვალთ გამოქვაბულის შესწავლას ცხადყო, რომ ბაქნისა (ეზო) და ორი სათავსო-საგან შემდგარი კომპლექსი საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამშენებლო ხერხებით ყოფილა გამოკვეთილი. თაღით გაფორმებულ პირველ დარბაზში ბაქნიდან შევდივართ. მისი ფორმები ხასიათდება მაღალი, ზეაზიდული პროპორციებით. საფასადო კედელი მაღალი, განიერი კამარითაა გახსნილი, სათავსოები ერთმანეთს ფართე ლიობით უკავშირდება. მეორე დარბაზი, პირველთან შედარებით, დაბალია და ბრტყელკოჭიანი გადახურვის იმიტაციითაა გაფორმებული. შემორჩენილ ფრაგმენტთაგან ირკვევა, რომ დარბაზი სუფთა გლუვი ფორმებით ყოფილა დამუშავებული. ამ გამოქვაბულებს ხელუხლებად შეუნახავს უფლისციხის არქაული არქიტექტურული ფორმები და კულტურული ფენის ნაშთები, რაც აქ ცხოვრების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. მიუვალ კომპლექსში გამოვლენილი სავარძლის ფორმის მსგავს ძეგლებს ვხვდებით ძლევის ქედზე (სოფ. თვალადთან, კავთისხევის მიდამოებში). საყურადღებოა, რომ ძლევის ქედის სავარძელთა დამხრობა ისეთივეა, როგორიც უფლისციხურის, ორივე პირით დასავლეთისკენაა მიმართული. მიუვალ კომპლექსზე გამოთქმულია ვარაუდი როგორც წარმართული საკულტო დანიშნულების მქონე ნაგებობაზე [ხახუტაიშვილი დ. 1964:60-62, აბრამიშვილი გ., ვაჩიშვილი კ. 1964:28-34].

გამოქვაბულთა ერთი ჯგუფი მოთავსებულია უფლისციხის დასავლეთ ფლატეზე. მათგან გამოირჩევა კესონებიანი დარბაზი, რომელსაც თეატრსაც უწოდებენ. კესონებიანი დარბაზი ახ. წ. I ს-ით თარიღდება [ამირანაშვილი შ. 1944:122-123].

კლდეში ნაკვეთი საწნახლები (ტაბ. XLIII_{1,2}). შიდა ქალაქში გამოვლენილ ძეგლთაგან ყურადღებას იმსახურებს კლდეში ნაკვეთი ხუთი საწნახელი, რომელთა აღნაგობა ერთნაირია, განსხვავებაა ზომებში. მათი თარიღი ძვ.წ. IV-III სს-ით განისაზღვრება [ხახუტაიშვილი დ. 1964:63-66].

ხევი (ტაბ. LXIX). უფლისციხის ერთ-ერთი უბანი, ე. წ. ხევი, მდებარეობს კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში. ხევის არქეოლოგიური შესწავლა 1975 წელს დაიწყო. შემდგომ წლებში ამ ტერიტორიაზე უკვე მნიშვნელოვან აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი. დ. ხა-

ხუტაიშვილი საველე დღიურში წერდა: „1977 წელს დავიწყეთ ხევი დაცული დიდი დარბაზის ქვეშ წარმოდგენილი ფენის აღება. ერთი მეტრის სიღრმეზე დარბაზის იატაკის დონიდან ჯერ კიდევ გვხვდებოდა შუა საუკუნეების ნაწარმი, მაგრამ შემდეგ იგი შეწყდა და გვხვდებოდა მხოლოდ ანტიკური ხანის, მათ შორის გვიანანტიკური ხანის მასალაც. კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზის იატაკის დონის დაბლა დავინიეთ 200 სმ სიღრმეზე. აქ კულტურული ფენა დაქანებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კულტურული ფენა წარმოდგენილია შრეებად. შრეები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც სტრუქტურით, ისე მასალით“.

I შრე კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზის იატაკის დონესა და მის ქვეშ, 10-15 სმ სიღრმეზე, წარმოდგენილია დამწვარი თიხნარის სახით. ამ შრეში გვხვდება სხვადასხვა პერიოდის ნაწარმი, ძირითადად, კერამიკა. ნაკლებად გვხვდება ნანგრევი ქვები.

II შრე წარმოდგენილია I შრის ქვეშ. მისი სიღრმე თანაბარი არ არის. იგი უფრო მძლავრია ჩრდილოეთისაკენ და თანდათანობით თხელდება სამხრეთისაკენ, სადაც იგი გვიანდელი კედლითაა გადაჭრილი. სწორედ ამ კულტურულ ფენაშია წარმოდგენილი ნახშირის, ძვლებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხების დიდი რაოდენობა (ტაბ. CXXXIV_გ; ტაბ. CXXXV_კ).

კლდის ნაშალით წარმოდგენილ შრეში, კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზის იატაკის დონის დაბლა, 2 მეტრ სიღრმეზე, აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის დამწვარი ლაქა, რომლის L (N-O) – 120 სმ-ია, სიგანე – (S-N) – 80 სმ, სიღრმე – 40 სმ.

ლაქის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ოქროს ვარდული და ცხოველის ფალანგისაგან დამზადებული საკიდები, რომელთაც ხანძრის ზემოქმედების კვალი ემჩნევა. დამწვარი ლაქის მთელი ფართობი 80 სმ სიღრმეზე შევსებული იყო ნახშირით, ქვიშით, რკინის ნივთებით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაწარმით, კერამიკით, ცხოველის ფალანგისაგან დამზადებული საკიდებითა და ა. შ. (ტაბ. CXXXVII-CXXXII).

რკინის ნივთებში წარმოდგენილია: შუბისპირები, ისრის წვერები, ხის ყუთის გარსაკრავები (კუთხეები), საკეტები (სახურავის დასამაგრებლად), ურდული კარის ჩასამაგრებლად, ორი წრიული სალტე, როგორც ჩანს, ხის ბორბლის

გარსაკრავები, დიდი რაოდენობით რკინის ლურსმნები და ა. შ. (ტაბ. CXXIX-CXXXII). ძეგლის გამთხრელი დ. ხახუტაიშვილი თავის დღიურში აღნიშნავდა, რომ დარბაზის W და O მხარე ნაწილობრივ კლდეშია ამოკვეთილი ხევის ორივე მხარეს, მაგრამ ხევში მოყოლილი ნაწილის იატაკი დაგებული ყოფილა მსხვილ კოჭებზე, რომლებიც კლდეში ნაკვეთ ბუდეებში მჯდარა. დარბაზის იატაკის დონის დაბლა ხევს მიუყვება (დასავლეთ მხარეს) კლდეში ნაკვეთი წყალსანრეტი ღარი, რომელიც, შესაძლებელია, უფრო ადრეული იყოს, ვიდრე თვით დარბაზი.

რაც შეეხება კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზის დანიშნულებას. ამ უზნიდან მომდინარე მასალა (ტაბ. CXXXVII-CXXXVI) გამოქვეყნებულია სხვადასხვა მკვლევრის მიერ და, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა აღიარებს, რომ ანტიკური ხანის უფლისციხე სატაძრო ქალაქია (დ. ხახუტაიშვილი, თ. ქარუმიძე, თ. სანიკიძე, კ. ხიმშიაშვილი, გ. ყიფიანი და სხვ.). დარბაზის მასშტაბები და მასში აღმოჩენილი არტეფაქტები, რომელთა უმეტესობა მოკლებულია პრაქტიკულ დანიშნულებას და საკულტო ნივთები უნდა იყოს [ხუნდაძე ნ. 2010:61-68], გვაფიქრებინებს, რომ უფლისციხის ხევში გამოვლენილი ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზი, შესაძლოა, მსხვერპლშესანიშნავი რიტუალის შესასრულებელი საკულტო ნაგებობა იყო.

მცირე კლდეკარი (ტაბ. XLIII₄) შიდა ქალაქის ძირითადი შესასვლელია. იგი ღია გვირაბია, რომლის სიგრძე 50 მეტრამდე აღწევს, სიგანე – 2 მეტრზე მეტია. იწყება შიდა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდედან, ფლატის ძირას და უერთდება მაგისტრალურ ქუჩას, რომელიც შიდა ქალაქს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს. კლდეკარი კოშკით, ხოლო ადგილ-ადგილ კედლებითაც ყოფილა გამაგრებული [ხახუტაიშვილი დ. 1964:66]. მცირე კლდეკარის შუა წელზე ჩაკაფულია დიდი ორმო, ჭა (ტაბ. XLIV₁), რომლის დიამეტრი 3,80 მეტრია, სიღრმე – 10-12 მეტრი. მშვიდობიან პერიოდში ჭა ფიცრის ასანევი ხდით იყო დახურული და უფლისციხელებს სასმელი წყლით ამარაგებდა. ომიანობის დროს კი იგი მოიერიშე მტრისათვის „მგლის ორმოს“ ფუნქციას ასრულებდა [ხახუტაიშვილი დ. 1989:17]. სხვა მოსაზრებით, სასმელი წყლის ჭას, რომელიც ქალაქის ძირითადი აღმშენებლობის პერიოდს, ანუ ძვ.წ. IV-III სს-ს განეკუთვნება, უპირველესად, სარიტუალო და-

ნიშნულება უნდა ჰქონოდა და კარიბჭე ტაძარს წარმოადგენდა [სანიკიძე თ. 2002:87-88].

დიდი კლდეკარი მდებარეობს შიდა ქალაქის ჩრდილოეთით, 700-800 მეტრის დაშორებით, (L – 150 მ, სიგანე – 2,50 მ) (ტაბ. XLIII₃). კლდეკარი განიხილება უფლისციხეზე გამავალი სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო მაგისტრალის ერთ-ერთ მონაკვეთად. დ. ხახუტაიშვილის აზრით, „წერილობითი წყაროების ცნობათა საფუძველზე დადგენილი იყო, რომ ადრეელისტური ხანის ამიერკავკასიის ქვეყნებზე (ალბანეთი, იბერია, კოლხეთი) გადიოდა იმ ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. ბუნებრივი იყო გვეფიქრა, რომ აღნიშნულ გზას უნდა გაეწყო ისეთ საქალაქო ცენტრთანაც, როგორიც უფლისციხე იყო“. კლდეკარი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [ხახუტაიშვილი დ. 1964:68-69].

გვირაბი მცირე კლდეკარის ქვეშ გადის. იგი კლდეკარის თავზე მდებარე მოედანზე იწყება და მდ. მტკვარზე ეშვება (ტაბ. XLIV₂). მისი შესასვლელის D – 4-5 მეტრია. დ. ხახუტაიშვილის აზრით, გვირაბი თავისებური „საიდუმლო კარია“, რომელიც დამახასიათებელი ელემენტი იყო საქართველოს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქისა თუ ციხისათვის. გვირაბი შიდა ქალაქის მშენებლობის თავდაპირველი გეგმითაა ამოკვეთილი და ადრეელისტური ხანის ძეგლია [ხახუტაიშვილი დ. 1964:67; 1989:17].

შიდა ქალაქის ტერიტორიაზე წინაანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს არსებობის ნიშნების პარალელურად აღმოჩნდა მასალა, რომელიც მიუთითებდა ადრეანტიკური, ელინისტური და რომაული ხანების ფენათა არსებობაზე. ამ პერიოდის ფენების არსებობაზე მიუთითებს კერამიკის ნიმუშებიც, რომლებიც უფრო მოგვიანო ხანის მასალასთან იყო შერეული. ადრეანტიკური ხანისა და მომდევნო პერიოდის კულტურული ფენები მეტ-ნაკლებად დაცული იყო კლდეში ნაკვეთი ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის თავზე მდებარე წყალსანრეტ არხში. შიდა ქალაქის მეორე უბანში (ტაბ. XLIV₂), შუა საუკუნეების ფენის ქვეშ, გამოვლინდა გვიანანტიკური, ელინისტური, ადრეანტიკური და წინაანტიკური ხანის დონეები [ხახუტაიშვილი დ. 1964:56; 1970:56-59; 1989:20-21].

1975 წლიდან შიდა ქალაქის ცენტრალურ უბანში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა ადრეანტიკური ხანის მასალა,

ძირითადად, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XLV-XLVII).

უფლისციხის ადრეანტიკური ხანის კერამიკის ნაწარმს ემჩნევა რიგი თავისებურება, რაც მას განასხვავებს წინარე საფეხურის ნაწარმისაგან. თიხა უფრო სუფთა სტრუქტურისაა და უკეთესადაა დამუშავებული. კეცი თანაბარი ფერისა და სისქისაა. ჩნდება წითელ-კეციანი ჭურჭელი. ჩასახვას იწყებს პროფილირებული ფორმები. პირველად გამოიყენება ანგობი, ზედაპირის შემკობა მოხატვით. თავს იჩენს ტექნიკური სიახლე – ზედაპირის გაპრიანება სწრაფმბრუნავ ჩარხზე.

უფლისციხეში მოპოვებული ძვ.წ. VI-IV სს-ის კერამიკის ერთ ჯგუფს შეადგენს მონითალო-კეციანი, წითლად მბზინავი, სქელი წერნაქით შეღებილი და მოხატული ჭურჭლის ნატეხები, რომელთა უმრავლესობა დოქებსა და ხელადებს უნდა ეკუთვნოდეს [ხახუტაიშვილი დ. 1970:70. ტაბ. XXXI-1; ტაბ. L, მარჯვენა 4 ც., ტაბ. LI, ქვედა რიგი] (ტაბ. LXII). ამ ჯგუფის ჭურჭელი დამზადებულია მსხვილი სტრუქტურის კარგად გარჩეული თიხისაგან, რომელშიც მოთეთრო ფერის კვარცოვანი სილის მნიშვნელოვანი რაოდენობაა შერეული. ამ ფერისა და შედგენილობის სილა უფლისციხისა და მისი მიდამოების წინაფეოდალური ხანის კერამიკაში მხოლოდ ამ ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი (ტაბ. XLVIII-LI). ასეთივე ჯამები და თეფშები აღმოჩნდა ხოვლეს ნამოსახლარის ძვ.წ. VI-V სს-ის ფენებში. მართალია, ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც თიხის შემადგენლობით (ხოვლურს არ ახასიათებს კვარცოვანი სილის მინარევი), ისე ანგობის ფერით (უფლისციხურის ანგობი უფრო ღია ფერისაა და უკეთესად ბზინავს, აგრეთვე ზედაპირზედაც წვრილი ბადისებრი ბზარები შეინიშნება), მაგრამ მათი გენეტიკური სიახლოვე აშკარაა. ხოვლეში მსგავსი ნაწარმის გამოჩენას დ. მუსხელიშვილი სამხრეთული კულტურული ნაკადის შემოდინებას უკავშირებს, რაშიც ურარტული სამყაროს კულტურულ-ეთნიკური ელემენტების ინფილტრაციაა ნაგულისხმევი [მუსხელიშვილი დ. 1964:6-8].

წითელკეციანი კერამიკის წარმომავლობის, გავრცელებისა და დათარიღების საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მიუხედავად ამისა, ამ ტექნოლოგიურ სიახლეს ყველა მკვლევარი შემოტანილად მიიჩნევს. მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, რომ ძვ.წ. V ს-ში წი-

თელკეციანი კერამიკა საგრძნობლად ჭარბობს მუქკეციანს და ძვ.წ. IV ს-ში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს [მუსხელიშვილი დ. 1978:89-90], ნაწილი კი აღნიშნავს, რომ წითელ-კეციანი კერამიკა ძვ.წ. V ს-ში პროცენტულად მეტია მუქკეციანზე, მაგრამ ძვ.წ. IV ს-ში, პირიქით, მუქკეციანი უფრო დიდი რაოდენობითაა [დავლიანიძე ც. 1983:120]. გ. ნარიმანიშვილი აღნიშნავს, „სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ I ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებზე ღია ფერის კერამიკა მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი, განსაკუთრებით თვალში საცემია შეღებილი ცალების სიმცირე. II ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) ძეგლებზე მუქი და ღია ფერის ჭურჭელი თითქმის თანაბარი რაოდენობითაა აღმოჩენილი. წითელკეციანი კერამიკა საბოლოოდ ბატონდება მხოლოდ ამ პერიოდის ბოლოს, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე“ [Нариманишвили Г. К. 1991:69-79]. წითელკეციან კერამიკასთან ერთად შემოდის ჭურჭლის შემკობის კიდევ ერთი ხერხი – წითელი საღებავით შეღებვა. მათს გავრცელება-განვითარებას ერთი ხაზი აქვს. ამდენად, ორივე ტექნოლოგიური სიახლე ერთდროულად იჩენს თავს და თანდათანობით ვრცელდება ისე, რომ ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს ჭურჭელი არსებითად ამ ტექნოლოგიით მზადდება.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოხატული ჭურჭელი ძვ.წ. IV ათასწლეულიდან არის ცნობილი [Гогелия Д. Д., Челидзе Л. М., Авалишвили Г. Б. 1986:13-15]. მოხატული კერამიკა მცირე რაოდენობით გვხვდება ადრებრინჯაოს პერიოდში [ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962:35-6]. ფართოდაა იგი გავრცელებული შუა ბრინჯაოს ხანაში [Куфтин Б. А. 1941:231]. ადრეული მოხატული კერამიკის გავრცელება წინააზიური სამყაროდან ივარაუდება [ჯაფარიძე ო. 1969:293]. მომდევნო პერიოდების არქეოლოგიურ მასალაში ამგვარი კერამიკა თითქმის აღარაა. არ არის ის დამახასიათებელი გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და რკინის ხნის მატერიალური კულტურისათვის და, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, იგი უეცრად ჩნდება ანტიკურ ხანაში [Гагошидзе Ю. М. 1979:50-3; Тирация Г. А. 1965:179]. ამდენად, ასეთი კერამიკის გაჩენა უნდა დავუკავშიროთ იმ რეგიონს, რომელსაც კერამიკის წარმოების დიდი ტრადიციები აქვს და მას აქ ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთშიც ამზადებენ.

ადრეანტიკური ხანის კერამიკის დიდ ნა-

ნილს შავი და ლეგაციიანი კარგად გაპრიალეული ფიალები და ჯამები შეადგენს (ტაბ. XLV-XLVI). აქ კარგად ჩანს შავპრიალა ჭურჭლის წარმოების აღმავლობის ნიშნები. თავს იჩენს ქუსლიანი ჭურჭელი, რომლებიც უფრო ძვ.წ. IV ს-ის კერამიკისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე VI-V სს-ის ნაწარმისათვის. იგი ყველაზე დიდი რაოდენობითა და მრავალსახეობითაა გამოვლენილი. ძვ.წ. VI-IV სს-ის ჭურჭლიდან ყურადღებას იპყრობს ყურმილიანი ხელადის ფრაგმენტი, რომელიც ალიზის ნანგრევის (შიდა ქალაქის II უბანი) ქვეშ აღმოჩნდა. ჭურჭელი როგორც ფორმით, ისე თიხის შედგენილობით აშკარად განსხვავდება ადგილობრივი ნაწარმისგან და, უდავოდ, შემოტანილი უნდა იყოს კოლხეთიდან, სადაც ისინი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული [ხახუტაიშვილი დ. 1970:72]. უფლისციხეში გამოვლენილია კოლხური კერამიკის კიდევ რამდენიმე ნატეხი.

ელინისტური ხანა. უფლისციხის შიდა ქალაქისა და მიმდებარე ძეგლების გათხრებისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა ელინისტური ხანის კერამიკის ნაწარმია. ამ პერიოდის კერამიკისათვის დამახასიათებელია თიხის ცომის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი. ტექნოლოგიისა და შემკობის ხერხების მიხედვით გამოიყოფა ჭურჭლის რამდენიმე ჯგუფი: 1. ნითელკეციანი, ნითლად შეღებილი და მოხატული; 2. თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული; 3. შავი, მუქკეციანი და შავპრიალა კერამიკა, ე. წ. სარკისებურზედაპირიანი. მათში გვხვდება: წნევით გამოყვანილი სხივებითა და ზოლებით, აგრეთვე რელიეფური და ნაკანრი სახეებით შემკული ნაწარმი.

ამ პერიოდის ადგილობრივი კერამიკა დანიშნულების მიხედვით იყოფა: სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლად. ფართოდაა წარმოდგენილი სამშენებლო კერამიკა, ძირითადად, კრამიტი. ელინისტური ხანის ზოგიერთი ჭურჭელი სარიტუალო დანიშნულებისაა, მაგალითად, რიტონები, ჯვრით შემკული ჭურჭელი და სხვ. ქუსლის ძირზე მზის სიმბოლოს გამოსახვა შეიძლება იმ ეპოქის რაღაც რწმენასთან იყოს დაკავშირებული. კერამიკის ნაწარმში წარმოდგენილია მინაბაძები, რომელთა მსგავსი ფორმები გავრცელებული იყო ელინისტურ აღმოსავლეთში. ინტერესს იწვევს შავლაკიანი კერამიკის მცირეაზიური გვიანდელი მინაბაძისა და ელინისტური ხანის ნითელაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც პერგა-

მული თუ ალექსანდრიული სახელოსნოების ნაწარმი ჩანს (ტაბ. LXXVII).

ნითელკეციანი, ნითლად შეღებილი და მოხატული ჭურჭელი (ტაბ. LII-LXI). ელინისტურ ხანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებას. ამ დროის ნაწარმში ვხვდებით გაპრიალეულ, ანგობირებულ, შეღებილ, მოხატულსა და ხაოიანზედაპირიან ჭურჭელს. ზოგჯერ ერთი და იგივე ჭურჭელი გაპრიალეებულიცაა, ანგობირებულიც და მოხატულიც. მოსახატავად და შესაღებად გამოყენებულია წერნაქი ან სხვადასხვა ფერის ანგობი [ხახუტაიშვილი დ. 1970:101].

უფლისციხეში გამოვლენილია ელინისტური ხანის ნითელკეციანი ჭურჭლის ყველა სახეობა. სამეურნეო ჭურჭელი წარმოდგენილია ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტებით, რომელთა შორის არის სადა და მოხატული ნიმუშები (ტაბ. LI. უ.ბ.ნ. ##125, 141; ტაბ. LII. უ.ბ.ნ. ##133, 380, 540). დერგის ფრაგმენტი უნდა იყოს ცენტრალურ უბანში (ხევი) აღმოჩენილი არტეფაქტი, რომელიც მოხატულია ნითელი საღებავის ზოლითა და წყლის ფრინველების გამოსახულებით (ტაბ. LVII. #943). ზოგ ნიმუშს მოხატულობასთან ერთად რელიეფური სარტყლებიც ამკობს. მოხატულ ჭურჭელში გამოირჩევა დიდი ზომის, პირფართო, ნაკვეთილი კონუსის ფორმის ფრაგმენტები. ერთი მათგანი, რომლის პირის D - 80 სმ-ია და მოხატულია ერთმანეზე მიჯრილი სამკუთხედებით (ტაბ. LII. უ.შ.ქ. #380).

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია დოქებით, ხელადებით, ჯამებით, ფიალებით, ლანგრებით. დოქები და ხელადები მრავალრიცხოვანია. ბამბების ნამოსახლარის I კომპლექსის მარნის იატაკზე გამოვლენილი დიდი დოქი მთავრადისფროკეციანია. ნაპრიალეები ზედაპირი მოწითალო-მოყავისფრო, მბზინავი საღებავის სქელი შრიტაა დაფარული და მოყვითალო ანგობით მოხატული. ასეთი ლალისფერი მბზინავი საღებავით შეღებილი ჭურჭელი საკმაო იშვიათობაა (ტაბ. LII. უ.ბ.ნ. #136).

ყურადღებას იპყრობს უფლისციხის ცენტრალური უბნის ხევი აღმოჩენილი ელინისტური ხელადის ფრაგმენტები, რომლებიც მოხატულია ღია და მუქი ნითელი ფერის სარტყლებით, სამკუთხედებითა და წყლის ფრინველებით (ტაბ. L. უ.შ.ქ. #615). დოქს ანალოგი მოეპოვება ციხიაგორას ელინისტური ხანით დათარიღებულ დიდი ორყურა დერგის მოხატულობასთან [მახარაძე ზ., კალანდაძე ნ. სა-

ხვაძე ა. 2023:5. ტაბ. 30. სურ. 47]. უფლისციხის ხელადა თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით. ამ ადგილზე ძალიან დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შეღებილი ფრაგმენტები, რომელთა რამდენიმე ნატეხი შეუერთდა გრეხილსახელურიან დოქს (ტაბ. XLIX₆, უ.შ.ქ. ##553, 609, 615, 616).

ჯამები ნახევარსფერული ფორმისაა (ტაბ. LIV_{5,9}), ორმხრივად მოხატულია მოწითალო-მოყავისფრო ზოლებით, წერტილებით. ამ ფორმის ჯამები იბერიაში პირველად ადრეელინისტურ ხანაში ჩნდება. დ. ხახუტაიშვილის აზრით, მათი პროტოტიპი უნდა იყოს ძვ.წ. V-IV სს-ის ლითონის თასები და ფიალები. არ არის გამორიცხული, რომ მათ პროტოტიპი მოეძებნოს სინქრონული ხანის ირანის ლითონის ჭურჭელში [ხახუტაიშვილი დ. 1970:54]. გაცილებით ადრე ურარტუელები აწარმოებდნენ წელზე ამოღარული სარტყლის მქონე ამ ფორმის თიხის მოხატულ თასებს, რომლებიც ჯერ წითელი ანგობითაა შეღებილი, ხოლო შემდეგ შიგა სიბრტყეზე მოხატულია შავი და წითელი საღებავით [Куфтин Б. А. 1944:23. სურ. 20].

ამ ფორმის ჯამები აღმოჩენილია ბამბების ნამოსახლარში და თარიღდება ძვ.წ. III-II სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1970:54-55. ტაბ. XX_{1,2}]. 1976 წელს მსგავსი ჯამები გამოვლინდა ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ III საცხოვრებელ კომპლექსში [ხუნდაძე ნ. 2000]. უფლისციხის ნახევარსფერული ჯამები ძვ.წ. III-I სს-ით თარიღდება.

სათევზე ლანგრები პირებისა და ძირების ნატეხებითაა წარმოდგენილი, მათი კეცი წმინდადაა განლექილი, გამომწვარია მოვარდისფროდ, ლაკი მბრწყინავი და სქელია, დადებულია თანაბრად. ლანგრების პირი შიგნით ოდნავ მომრგვალებულია, გვერდები – დაბალი, ზემოთკენ შეთხლებული, შევული, ძირი ბრტყელია, ქუსლი ტრაპეციის ფორმისაა. ლანგრების ამ ტიპის ნაირსახეობა ფართოდაა გავრცელებული. ისინი აღმოჩენილია პრიენში, ეფესოში, პერგამონში, დურა-ევროპისში, სამარიაში, სამოსის ჰერაინზე, ათენის აგორაზე, სოლში, ალექსანდრიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებში (მირმეკიონი, ევპატორია, პანტიკაპეონი). საქართველოში ამგვარი ლანგრები ნაპოვნია სოხუმში, ოჩამჩირესა და ვანში. უფლისციხეში გამოვლენილ ამ ტიპის ლანგრებს დ. ხახუტაიშვილი მცირეაზიური (პერგამული წრის) სახელოსნოებიდან გამოსულად თვლიდა და ძვ.წ. I ს-ის ნაწარმად

მიიჩნევდა [ხახუტაიშვილი დ. 1970:74. ტაბ. XLI. ქვედა რიგი].

საინტერესოა შიდა ქალაქის ცენტრალურ უბანში (ხევი. II ოთახი) გამოვლენილი ძვ.წ. II – ახ. წ. I სს-ის მცირეაზიური სათევზე ლანგრის ფრაგმენტი დაბალი, გამოყვანილი ქუსლითა და გაშლილი გვერდით (ტაბ. LXXVII₃, უ.შ.ქ. #1675). შეღებილია მუქი წითელი საღებავითა და გაპრიალებულია. უფლისციხური ლანგრები ფორმით მსგავსია ვანში აღმოჩენილი მეორე ტიპის ლანგრებისა. ვანის წითელლაკიან კერამიკას ნ. მათიაშვილი ათარიღებს ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და ძვ.წ. I ს-ის დასაწყისს შორის პერიოდით და მას შემოტანილად მიიჩნევს [მათიაშვილი ნ. 1977:45-46]. უფლისციხეში მოპოვებული სუფრის ჭურჭლის ნაწილი ადგილობრივი ნაწარმი ჩანს, ნაწილი შემოტანილად უნდა მივიჩნიოთ [ხუნდაძე ნ. 2000:39-43].

სამფეხა ჯამი სამი ერთეულია. ერთი ჯამის ფეხი ჩახვეულია სპირალისებურად, მეორე მცირე ზომისაა და მოკაუჭებული ფეხები აქვს. იგი ნაპოვნია განძთან ერთად და თანმხლები მასალით კარგად თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1989:27. სურ. 14; სანიკიძე თ. 1987; ყიფიანი გ. 2000:86]. ანალოგიური ჯამი აღმოჩნდა კავთისხევში, „დაჭრილების“ სამაროვნის #25 ქვევრსამარხში, რომელიც ასევე ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [ნაკაიძე ნ. 1980:28-41]. მესამე ეგზემპლარის მხოლოდ ნატეხი გვაქვს, რომელზეც ფეხის კვალია შემორჩენილი. ჯამის შიდა ნაწილის ქვედა ნახევარი ნაჩხვლეტი წერტილებითაა შემკული, რომელიც აღმოჩნდა შიდა ქალაქის IV უბანში. თარიღდება ძვ.წ. IV-II სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1970:85-86. ტაბ. XXX₅]. ჭურჭელი ნახაზზე ოთხი ფეხითაა აღდგენილი. ვფიქრობ, როგორც ყველა სხვა მსგავსი ჯამი, ისიც სამფეხა იყო (ტაბ. LIV₉, უ.შ.ქ. 259). ნაჩხვლეტებით შემკული ამგვარი ჯამი აღმოჩენილია სამადლოში. უფლისციხური ნიმუშისაგან განსხვავებით, იგი ბრტყელძირიანია. თარიღდება ძვ.წ. IV-II სს-ით [Гагошидзе Ю. М. 1979:ტაბ. VI₂]. ანალოგიური ბრტყელძირიანი სამფეხა ჯამის ფრაგმენტი გამოვლინდა ბამბების ნამოსახლარშიც. უფლისციხური სამფეხა ჯამები თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [ხუნდაძე ნ. 2000:39-43].

ფიალები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გვხვდება პირგაშლილი, პირმოყრილი, ღრმა, ბრტყელძირიანი და ძირმომრგვალებული ცალები. ზოგი მათგანი შემკულია კონცენტრული,

რელიეფური წრეებით, ზოგი მოხატულია წითელი ზოლებით, ზოგი – კარგად არის გაპრიალებული (ტაბ. LIV₅₋₉). უფლისციხის ფიალები პარალელური მასალის მიხედვით ძვ.წ. IV-II სს-ით თარიღდება.

ლარნაკები წარმოდგენილია ნატეხებით. გამომწვარია წითლად. მთლიანად დაფარულია მბრწყინავი წითელი საღებავით და გაპრიალებულია გულმოდგინედ. ანალოგიური ფორმის მაღალფეხიანი ლარნაკები აღმოჩენილია სამადლოში. უფლისციხეში წითელი ლარნაკები ძალიან მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ბამბების ნამოსახლარში კი ისინი საერთოდ არ გვხვდება. საფიქრებელია, ეს ცალები შემოტანილია მეზობელი კერამიკის საწარმოო ცენტრიდან [ხუნდაძე ნ. 2000:39-48].

თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა. უფლისციხესა და მის შემოგარენში (ბამბების ნამოსახლარი) მოპოვებული კერამიკის ცალკე ჯგუფს შეადგენს კარგად განლექილი, კირქვანარევი თიხისაგან დამზადებული, თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი, რომელიც გამომწვარია მოყვითალო-მოვარდისფროდ, მონითალოდ და ნაცრისფრად. მათი შიდაპირი ბურცოებიაწინა და ხელით ნაძერწის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჭურჭელი მოხატულია თეთრი ანგობის წვრილი, კონცენტრული, პარალელური ზოლებით. ზედაპირის შემკობისათვის მიმართავენ აგრეთვე დაღარულ, რელიეფურ დეკორს, ნაკანრ პარალელურსა და ტალღოვან ზოლებს. ზოგიერთს ყელს ქვემოთ ან მხარზე დაუყვება ირიბი ნაჭდევების სარტყელი. ჭურჭელში გამოიყოფა ორი სახეობა: ქოთნები და დოქები (ტაბ. LXIII-LXVIII. ##584, 574, 575, 581, 585).

თეთრი ანგობით მოხატული კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. გ. ნიორაძემ ისინი ჩვენი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეებით დაათარილა [ნიორაძე გ. 1940:92]. კახეთის ტერიტორიაზე ასეთი ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი [Пицхелаური К. И. 1977:221-229]. ქართლშიც ელინისტური ხანის თითქმის ყველა ძეგლზეა დადასტურებული. ი. გაგოშიძეს ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ასეთი ჭურჭელი კახეთის რომელიღაც სამეთუნეო ცენტრიდან შემოტანილად მიაჩნია [გაგოშიძე ი. 1970:46].

თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის წარმომავლობისა და დათარიღების საკითხებს

სპეციალურად შეეხო კ. ფიცხელაური, რომელიც ამგვარ ჭურჭელს ჰერული კულტურის ნიშნების მატარებლად აღიარებს. შიდა ქართლში აღმოჩენილ მსგავს კერამიკას კი ჰერებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად მოხვედრილად თვლის [ფიცხელაური კ. 1973:202-207; Пицхелаური К. И. 1977:226-227]. გ. ნარიმანიშვილი იზიარებს ამ შეხედულებას და ფიქრობს, რომ „მოხატვის“ ეს სტილი კახეთის რომელიღაც რეგიონში (ჰერეთში) ჩამოყალიბდა და შემდგომ გავრცელდა სხვა რეგიონებშიც [Нариманишвили Г. К. 1991:80-82]. ნ. მირიანაშვილმა შესაძლებლად მიიჩნია ასეთი ჭურჭლის სამადლო-ნასტაკისის სახელოსნოებში დამზადება. მისი აზრით, დღეს, როდესაც შიდა ქართლში თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი და როდესაც გაკეთებულია სამადლოში მოპოვებული ასეთი ჭურჭლის კეცის ანალიზი, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი, მსგავსად წითლად მოხატულისა, მზადდებოდა ადგილზე, შიდა ქართლში. არც ის არის გამორიცხული, რომ თეთრი ანგობის კონცენტრული ხაზებით მოხატული ჭურჭელი თავდაპირველად მართლაც კახეთის რომელიღაც სამეთუნეო ცენტრში დაუმზადებიათ [მირიანაშვილი ნ. 1983:46, 54]. მისი აზრით, ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე თეთრი ანგობითა და წითელი საღებავით მოხატული ჭურჭელი თანაბარი რაოდენობით არის აღმოჩენილი [მირიანაშვილი ნ. 1983:47]. ამ მოსაზრებას არ იზიარებს გ. ნარიმანიშვილი, რომელიც თვლის, რომ სამადლოს ნაქალაქარში მოპოვებულ ელინისტური ხანით დათარიღებულ მასალას (800 ერთეულამდე) შორის თეთრი ანგობით მოხატული კერამიკის 30-მდე ფრაგმენტი აღმოჩენილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ასეთი კერამიკა რაოდენობრივად ბევრად ჩამოუვარდება სხვა სტილის კერამიკას. უფლისციხეში აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა, შესაძლებელია, სამადლოში აღმოჩენილ კერამიკასთან შედარებით რაოდენობრივად მეტი იყოს, მაგრამ თუ მას შევადარებთ უფლისციხეში აღმოჩენილ ელინისტური ხანის სხვა სტილის კერამიკას, თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა აქაც მცირე რაოდენობის ჩანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჭურჭლის ზედაპირის ანგობირებასთან, მოხატვასა და გაპრი-

ალებასთან ერთად კერამიკის შემკობაში მიმართავდნენ რელიეფურ დეკორს, ამოღარულ პარალელურ ან ტალღოვან კონცენტრულ ხაზებს, ირიბ ნაჭდევებს (უ.შ.ქ. ##461, 581, 584, 596, 757, 936, 1183, 1506). ანალოგიურადაა შემკული და მოხატული კახეთსა და შიდა ქართლში გამოვლენილი მასალა. კ. ფიცხელაურის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის თიხის ჭურჭლის ნაწარმის კეცი და ფორმები მნიშვნელოვნად შეცვლილია, მისი შემკულობა მაინც თითქმის მთლიანად იმეორებს ჭურჭლის შემკობის ყველაზე დამახასიათებელ ნახაზს. მხოლოდ ორნამენტის დატანის ხერხია ნაწილობრივ განსხვავებული, კერძოდ, თუ ადრეული ჭურჭლების მთელი კორპუსი კონცენტრული პარალელური ხაზებით იყო დასერილი, ახლა იგივე ორნამენტული სახე მოხატულობითაა დატანილი. თუმცა ძალიან ხშირად პარალელური ხაზებით მოხატულ ჭურჭელსაც, ზედაპირზე მაინც, ეტყობა ჩარხზე ტრიალის შედეგად ამოღარული კონცენტრული ხაზები. იგივე დარჩა მხრისა და ძირის შემკობის ნახაზიც და ხერხებიც [ფიცხელაური კ. 1973:202-203].

უფლისციხეში აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის შემკობის სქემა იმეორებს წინაანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის შემკობის ნახაზს – მხარზე შემოყოლებული ირიბი, მოკლე ნაჭდევები, მთელი კორპუსის კონცენტრული, პარალელური ხაზებით შემკობა. განსხვავება მხოლოდ ორნამენტის დატანის ტექნიკაშია. წინაანტიკურ ხანაში კონცენტრული, პარალელური ხაზები ამოღარულია, ელინისტურ ხანაში კი იგივე ხაზები თეთრი ანგობითაა დატანილი. უფლისციხის თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა მსგავსია სამადლოში აღმოჩენილი ასეთი ტიპის ნაწარმისა. მათი მოხატვის ხასიათი და კვეთილი ორნამენტი ერთნაირია. შიდაპირიც ასევე არათანაბარბურცობიანია და ხელით ნაძერწს ჰგავს. დ. ხახუტაიშვილი თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის შესახებ აღნიშნავდა: „შიდა ქალაქში აღმოჩენილია წითელ და მოყვითალოკეციანი ხელადების ფრაგმენტები, რომლებიც მოთეთრო-მოყვითალო ფერის ანგობით მოხატულ ნაწარმს ეკუთვნის. ბამბების ნამოსახლარზე აღმოჩენილი ფრაგმენტი ადრეელინისტური ხანის ფენაში, საშუალებას გვაძლევს შიდა ქალაქში გამოვლენილი ნაწარმი ძვ.წ. III-II სს-ით დავათარილოთ. რა თქმა უნდა, ეს იმგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ასეთი კერამიკა შე-

უძლებელია არსებობდეს ძვ.წ. IV ან ძვ.წ. I სს-შიც [ხახუტაიშვილი დ. 1970:78-79]. მკვლევრის ეს ვარაუდი დაადასტურა შიდა ქალაქში შემდგომ წლებში წარმოებულმა გათხრებმა. ხევში განძთან ერთად, რომელიც კარგად თარიღდება ძვ.წ. IV-III ს-ის I ნახევრით, აღმოჩენილია თეთრად ანგობიებული ჭურჭლის ნატეხები (უ.შ.ქ. ##865, 874, 936). აღსანიშნავია ერთი გარემოება. უფლისციხესა და ბამბების ნამოსახლარში გამოვლენილი თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭლის კეცი მოვარდისფროა, ხოლო შემდეგ წლებში შიდა ქალაქსა და მის გარეთ, ჩანახას ნამოსახლარში, გამოვლინდა მოჩაღისფრო კეცის მქონე, თეთრი ანგობით მოხატული ცალები, რომლებიც, შეიძლება, კახურ ნაკეთობას წარმოადგენდა, რადგან ისინი კეცით განსხვავდება ადგილობრივი მოვარდისფროკეციანი კერამიკისაგან. საერთოდ, აქ გამოვლენილი თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა განსხვავდება ელინისტური ხანის სხვა კერამიკისაგან: ფერით, მოხატვის ხასიათით, ნაკვეთი ორნამენტით, ფორმით. ამდენად, ისინი ცალკე ჯგუფს ქმნის. არ არის გამორიცხული, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი უფლისციხეში კახეთიდანაა გავრცელებული, რადგან, ჯერ ერთი, ისინი შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი უფლისციხესა და მის შემოგარენში, მეორეც, მათი კეცი განსხვავდება უფლისციხური სხვა თიხის ჭურჭლის კეცისაგან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ სტილით მოხატული ჭურჭელი უფლისციხეში არ არის დამზადებული და ისინი აქ სხვა საწარმოო ცენტრებიდანაა შემოტანილი [ხუნდაძე ნ. 1996:169-172].

* * *

როგორც უკვე ითქვა, ძვ.წ. II-I სს-ის კერამიკა მოხატულია სარტყლებით, ზიგზაგებითა და წერტილებით. გვიანელინისტური მოხატულობა უკვე ხაოიან ზედაპირზეა დატანილი, აღარ შეინიშნება მაღალმხატვრული სტილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხდება ტექნოლოგიისა და მოხატვის სტილის დეგრადაცია. ამგვარად მოხატული ჭურჭლის ცალკეული ეგზემპლარები გვხვდება ახ. წ. I ს-შიც.

უფლისციხეში აღმოჩენილ არტეფაქტთა შორის იმპორტული ნაწარმი ბევრი არაა, მაგრამ მნიშვნელოვანია და ღირებული მეზობელსა თუ შორეულ ქვეყნებთან იბერიის სავაჭრო-

-ეკონომიკური თუ კულტურული კავშირების გასარკვევად. ამ თვალსაზრისით, ელინისტური ხანა გარდატეხის პერიოდი და განვითარების ახალი საფეხურია [ხახუტაიშვილი დ. 1970:75].

კოლხური იმპორტია ძვ.წ. III-II სს-ის ყავის-ფერკეციანი ამფორის ძირ-გვერდის ფრაგმენტები ბამბების ნამოსახლარიდან (ტაბ. LXXV, უ.ბ.ნ. 37). მსგავსი ამფორის ძირ-გვერდის ფრაგმენტი აღმოჩენილია შიდა ქალაქის II უბანში (ტაბ. LXXV, უ.შ.ქ. #298). უფლისციხეში გამოვლენილი ამფორების ნატეხები ფორმით, ფერით, თიხის სტრუქტურით იმეორებს ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებს (ვანი, დაბლაგომი, ფიჭვნარი, კოხის „ნაჯიხურალი“ და სხვ.). ჩანს, კოლხეთისა და იბერიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა ანტიკურ ხანაში საკმაოდ ფართო იყო. კოლხური კერამიკის ნიმუშების აღმოჩენა უფლისციხეში იმის დასტურია, რომ ზღვისპირეთისა და მტკვრისპირა ქალაქების სავაჭრო საქონლის ასორტიმენტში კერამიკის ნაწარმიც იყო წარმოდგენილი. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე ამფორების გამოვლენა იმას უნდა მოწმობდეს, რომ კოლხეთსა და იბერიას შორის გაცვლა-გამოცვლა ფართო იყო და იგი თხევად პროდუქტებსაც მოიცავდა (ღვინო, ზეთი, თაფლი და ა. შ.) [ხახუტაიშვილი დ. 1964:71]. ეს მოსაზრება შემდეგი ნლების აღმოჩენებმაც დაადასტურა. საინტერესოა შიდა ქალაქის ხევში აღმოჩენილი ბერძნული ამფორისკა-სანელსაცხებელი (ტაბ. LXXV, უ.შ.ქ. #463) და ძვ.წ. IV-III სს-ის ბერძნული ტერაკოტა (ტაბ. CXXXIV, უ.შ.ქ. #864).

არტეფაქტების გარკვეული რაოდენობა მინის ჭურჭელია, რომლებიც ძვ.წ. I ს-ის მიწურულსა და ახ. წ. I ს-ს მიეკუთვნება. საინტერესოა მომწვანო-წყლისფერი მინისაგან ჩამოსხმული, რელიეფური ქედებით შემკული ფიალის პირ-გვერდი (ტაბ. LXXVI, უ.შ.ქ. #236). ვარაუდობენ, რომ ამგვარი ფიალები ვერცხლის ჭურჭლის ფორმების მიბადებითაა დამზადებული. ახ. წ. II ს-ში მინის ჭურჭლის ამგვარი ფორმები უკვე უცნობია [ხახუტაიშვილი დ. 1970:75]. შიდა ქალაქის II უბანში გამოვლენილია მოყავისფრო მინისგან დამზადებული ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. LXXVI, უ.შ.ქ. 295), რომელიც ასევე ძვ.წ. I ს-ის მიწურულითა და ახ. წ. I ს-ით შეიძლება და-

თარიღდეს. ამავე უბანშია აღმოჩენილი ფერადფენიანი მინის ნაწარმის ნატეხები, აგრეთვე თხელკედლიანი „საცრემლის“ მოზრდილი ფრაგმენტი, რომელიც ახ. წ. I-II სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს [ხახუტაიშვილი დ. 1970:75].

იმპორტულ ნივთებს შორის აღსანიშნავია ძვ.წ. I ს-ის მინის გემა (ინტალიო) ათენა პალადის გამოსახულებით (ტაბ. LXXVI, უ.შ.ქ. 457). გემა ოვალურია და ბრტყელზურგაანი (4,1×3,1 სმ). ამოზრტულ პირზე წარმოდგენილია ათენა თავისი აღჭურვილობით – შუბით, ფართა და მუზარადით. მარჯვენა ხელზე უზის ბუ, მარცხენათი კი კენჭს აგდებს ურნაში. ურნისკენ განვდილ ხელთან გველია გამოსახული. მინა ბაცი მწვანეა და გამჭირვალე. უფლისციხური ინტალიო მასალით, ფერით, დამზადების ტექნიკით, სიუჟეტითა და გამოსახულების სტილით ავგუსტუსის დროის კლასიციზტური სტილის მინის გემების ერთ-ერთი ტიპური ნიმუშია [ჯავახიშვილი ქ. 2001:64-67].

ყურადღებას იქცევს თიხის ნახევარსფერული ბულა, დამზადებული კარგად განლექილი, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისაგან (ტაბ. LXXVI, უ.შ.ქ. #301). ანაბეჭდის ცენტრალური ფიგურა ცხოველია (ტახი?). იგი დაძაბულად და მოძრავადაა გადმოცემული. გარშემორტყმულია გეომეტრიული და ციური სხეულების გამოსახულებებით. არტეფაქტი პართული ბულების მსგავსია და ელინისტური ხანისა უნდა იყოს. იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამ პერიოდის პართულ ბულებს შორის იგი ერთ-ერთი ძველი ჩანს [ხახუტაიშვილი დ. 1970:76].

ყათლანიხევის მარცხენა ნაპირზე არსებული ნასახლარის ტერიტორიაზე ნაპოვნია თიხის ბულა (ტაბ. LXXVI, უ.ყ.ნ. #40). მასზე საბეჭდავი ინტალიოს მეშვეობით გამოწვამდე გაუკეთებიათ ანაბეჭდი – მამაკაცის ფიგურა მარჯვენა პროფილით, რომელსაც ახურავს მუზარადი ლომის თავის გამოსახულებით. სახე დაზიანებულია. კარგად ჩანს მუზარადის საკიდი ჯაჭვები, საყურე და ყელსაბამი. ზედა ნაწილში წარწერაა – „იაზგირდ – ფეროზ შვილი ვინდეთის“ / Vin(dait?)². ბულის თარიღად მიჩნეულია III ს-ის მიწურული – IV ს-ის პირველი ნახევარი [ხახუტაიშვილი დ. 1964:84]³.

2 ზღუდის მთავარ შესასვლელში ნაპოვნია კირქვის ფილის ნატეხი წარწერით (ტაბ. LXXVII, უ.შ.ქ. #725). წარწერა დღემდე გაუშიფრავია.

3 გრიფონი მითოსური არსებაა, რომელიც აერთიანებს ცხოველთა და ფრინველთა მეფეების თვისებებს. იგი ნახევრად არწივი და ნახევრად ლომია (არწივის სახითა და ლომის ტანით). შუა საუკუნეების ევროპაში გრიფონი განასახი-

საინტერესოა ძვ.წ. II – ახ. წ. I სს-ის ლანგრის ძირის ფრაგმენტი (ტაბ. LXXVII, უ.შ.ქ. #1675), დამზადებული კარგად განლეპილი მოთეთრო თიხისაგან. ნითლად შეღებილი გარე და შიდა ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. არტეფაქტი ძალიან ნააგავს მცირეაზიურ (პერგამულ) ნითელაკიან კერამიკას. მსგავსი ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები შიდა ქალაქის ტერიტორიაზე კიდევ ორია აღმოჩენილი [ხახუტაიშვილი დ. 1970: ტაბ. LI. მარცხენა ფოტო. ქვედა რიგი].

გვიანანტიკური ხანის არტეფაქტთაგან გამოირჩევა ახ. წ. I ს-ის ხელადის ყელ-გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. LXXVII, უ.შ.ქ. 1677), რომელიც მოხატულია ნითელი და თეთრი ზოლებით. ყელს ირგვლივ შემოუყვება თეთრი საღებავით შესრულებული ხალები. ტანი შემკულია ერთმანეთს მიჯრილი ტალღოვანი წვრილი ღარებით. თიხა მოვარდისფროა.

ახ. წ. I-III სს-ის კულტურული ფენა შიდა ქალაქის II უბნის #1 კომპის ჩრდილოეთითაა დადასტურებული (ნაგებობები IV, V, VI, VII). აქ გამოვლენილ არტეფაქტთაგან ყურადღებას იქცევს დოქის გვერდის ფრაგმენტი ნითელი საღებავით მოხატული გრიფონის რელიეფური გამოსახულებით (ტაბ. LXXVII, უ.შ.ქ. #196).⁴ იგი პართული კერამიკის მიბაძვით უნდა იყოს შესრულებული [ხახუტაიშვილი დ. 1964:57].

ამავე კულტურულ ფენაში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ქვევრთაგან საინტერესოა ნითელი თიხის დაკბილულსარტყლებიანი ერთი და იმავე ქვევრის არამეულწარწერიანი პირის ორი ფრაგმენტი (ტაბ. LXXVII, უ.შ.ქ. #218; 219). წარწერა ამოკანწვრითაა შესრულებული. ქვევრი თარიღდება ახ. წ. II- III სს-ით [ხახუტაიშვილი დ. 1964:57].

არამეული დამწერლობის ნიმუშები შიდა ქართლის ტერიტორიაზე სხვაგანაცაა აღმოჩენილი. ურბნისის ნაქალაქარში, II-IV სს-ის ფენაში, გამოვლინდა ქვევრი არამეული წარწერით. გ. წერეთლის აზრით, ურბნისის ქვევრზე წერია: „სამსხვერპლო“, „მსხვერპლად შესა-

წირი“ [ჭილაშვილი ლ. 1964:54. ტაბ. XIV4].

* * *

უფლისციხესა და მის შემოგარენში გამოვლენილი ელინისტური ხანის არტეფაქტთაგან დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: სამეურნეო (ქვევრები, დერგები), სამზარეულო (ქოთნები, კოჭბები, ქილები) და სუფრის ჭურჭელი – დოქები, ხელადები, ჯამები, ფიალები, თასები.

შავ და მუქკეციან ნაწარმთაგან ცალკე გამოიყოფა შავპრიალა, სარკისებურზედაპირიანი ჭურჭელი (ტაბ. LXLII-C). ესაა სუფთად განლეპილი თიხისგან დამზადებული, მუქკეციანი კერამიკის დიდი და მრავალფეროვანი ჯგუფი ზედმინევნით კარგად გაპრიალებული შავი ან ნაცრისფერი ზედაპირით.⁵ ამასთან, ტექნოლოგიურად და ტიპოლოგიურად სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის ეს ჯგუფი განსხვავებულია ქართლის ტერიტორიაზე მანამდე ცნობილი მსგავსი კერამიკისაგან. უფლისციხეში აღმოჩენილია სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა:

I. ქვევრის ტიპის დიდი ზომის ჭურჭელი, დერგები გამოვლენილია პირ-ყელისა და გვერდის ნატეხების სახით, რომლებიც შემკულია ირგვლივი და შვეული რელიეფური ქედებით, ნაჭდევებითა და წნევით გამოყვანილი სხვადასხვა ზოლებით (ტაბ. LXLII).

II. დოქები და ხელადები მოპოვებულია როგორც მთელი ნიმუშების, ისე ფრაგმენტების სახით. მათი ფორმა იმეორებს ელინისტური ხანის იბერიაში კარგად ცნობილი ნითელკეციანი, ნითლად მოხატული ამ სახეობის ჭურჭლის ფორმას (ტაბ. LXLIII).

III. ქოთნები და კოჭბები მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი (ტაბ. LXLIII).

IV. სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელი სარკისებურზედაპირიანი კერამიკის ერთ-ერთი საინტერესო ჯგუფია (ტაბ. LXLIV).

V. ჯამები და ფიალები ყველაზე მეტი რაოდენობითაა მოპოვებული. მათში გამოყოფილია ხუთი ტიპი. თითოეული წარმოდგენილია

რეზა ქრისტეს ორმაგ ბუნებას – ღვთიურსა და ადამიანურს. დანტეს ღვთაებრივ კომედიაში გრიფონი ქრისტეს ოთხთვალას ეზიდებოდა. გრიფონი მზის მცველია, იგი ეკუთვნოდა მზის ღმერთ აპოლონს და ცაში დაატარებდა მის ეტლს. პერალდიკაში განასხვავებენ გრიფონის ორ ტიპს – გრიფონი ქალი ფრთებით და გრიფონი მამაკაცი ფრთების გარეშე. გრიფონი ინგლისში სამეფო ცხოველთა ერთ-ერთი სიმბოლოა.

4 უფლისციხური ქვევრების წარწერები წასაკითხად გადაუციათ გ. წერეთლისთვის, მაგრამ შეისწავლა თუ არა მეცნიერმა ეს წარწერები, დღემდე უცნობია.

5 ამ სახის კერამიკის ტექნოლოგიის საკითხები დაწვრილებით განხილულია ლ. ჭილაშვილის, დ. ხახუტაიშვილის, ი. გაგოშიძის ნაშრომებში: ჭილაშვილი ლ. 1964:37; ხახუტაიშვილი დ. 1970:100-103; Гагошидзе Ю. 1979:86.

რამდენიმე ვარიანტის სახით (ტაბ. LXLV).

სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის უმრავლესობა უფლისციხეში გამოვლენილია იქ, სადაც სამლოცველო ტაძრებია. ისინი აღმოჩენილია ნამოსახლარებშიც. სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის სიმრავლე, განსაკუთრებულობა, თიხის მაღალი ხარისხი, ფორმების დახვეწილობა, შემკობის ერთნაირი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ეს არაა ჩვეულებრივი, ყოველდღიურად სახმარი ჭურჭელი. სავარაუდოდ, ისინი განკუთვნილი იყო იმ მრავალრიცხოვანი ტაძრებისათვის, რომლებიც ქალაქში ფუნქციონირებდა (დღეს უფლისციხის ნაქალაქარის ფუნქცია სავსებით დამაჯერებლად განსაზღვრულია როგორც სატაძრო (მზის) ქალაქისა). უფლისციხეში გამოვლენილი სარკისებურზედაპირიანი ჭურჭლის გავრცელების ხანა ძვ.წ. III ს-ითა და ახ. წ. I ს-ის პირველი ნახევრით შემოიფარგლება [ხუნდაძე ნ., ახალაია ლ. 2014:78-87].

უფლისციხის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში გამოვლენილი შავი და ლეგაპრიალა თიხის საკულტო-სარიტუალო დანიშნულების რიტონები ორგვარია – ნამდვილი რიტონები და რიტონისმაგვარი ჭურჭელი. ელინისტური ხანის უფლისციხური რიტონები სხვადასხვა ფორმისა და შემკულობისაა.

რიტონი აღმოჩნდა უფლისციხის მახლობლად, ადგილ ბამბების ნამოსახლარში. იგი 25 სმ-ის სიგრძის, შავლევა თიხის გაპრიალებული, სარკისებურზედაპირიანი, მოხრილი რქის ფორმის ყანწი-რიტონია (ტაბ. LXLIV₁₂). შემკულობის მიხედვით, მოხრილობით, ყელის ირგვლივი ღარებით, ვერძის თავის გამოსახულებითა და სადგარის უქონლობით იგი ირანული სამყაროს რიტონებთან ავლენს კავშირს. ზოგადად, ჭურჭელს აქვს სიმბოლური დატვირთვა: თვით ყანწი სიუხვის რქაა, შემკულობაში სიცოცხლის ხის არსებობა, რიტონის ბოლოში კი – ვერძის თავის გამოსახულება ადასტურებს მის საკულტო დანიშნულებას (ნაყოფიერების, გამრავლებისა და სიუხვის სიმბოლო). იგი ადგილობრივი ნაწარმია და მის თარიღი ძვ.წ. II ს-ითა და I ს-ის პირველი ნახევრით შეიძლება განისაზღვროს.

ნამდვილ რიტონებს უნდა მივაკუთვნოთ ბრტყელძირიანი (სადგამიანი) ჭურჭელი. ესენია თიხის ფრინველები (ძვ.წ. IV-III სს.) და თევზის გამოსახულებები (ძვ.წ. III-I სს.). (ტაბ. LXL₄₁₃, უ.შ.ქ. #858; უ.ბ.ნ. #332).

ნაქალაქარში აღმოჩენილ რიტონისმაგვარ, კარგად გაპრიალებულ, შავკეციანი თიხის ტოლჩის ფრაგმენტს დ. ხახუტაიშვილი ათარიღებდა ძვ.წ. III-II სს-ით. მას აქვს ქოთნის ფორმა და ორმაგი ზოომორფული ყური. გარედან შემკულია რომელიღაც ფრთოსანი ცხოველის გამოსახულებით (ტაბ. LXLVII, უ.შ.ქ. #260). ამავე პერიოდისაა თიხის ჭურჭლის სარკისებურზედაპირიანი გვერდის ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია გაქცეული ცხოველის გარეული თხის, ირმის, სპილოს თავის რელიეფური გამოსახულებებით (ტაბ. CXXXIX₈₋₁₀) [ხახუტაიშვილი დ. 1964:57].

სარიტუალო ჭურჭლის ნაწილი უნდა იყოს ბამბების ნამოსახლარში გამოვლენილი და ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებული ხარის თავ-ყელის (შიგნიდან ფუყე) შავპრიალა თიხის ფიგურა (ტაბ. CXL₁₆, უ.ბ.ნ. 467).

ნაქალაქარში ნაპოვნია თიხის მათარის ფრაგმენტი, რომლის კარგად გაპრიალებული, სარკისებური ზედაპირი, ყურზე დაძერწილი ვერძის ძლიერ ჩახვეული რქები, შესაძლოა, იმის მანიშნებელი იყოს, რომ მათარას სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონდა (ტაბ. LXLVII₈, უ.შ.ქ. #216).

ელინისტური ხანის სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელს მიეკუთვნება ნაქალაქარში გამოვლენილი ოთხკუთხაბაკოიანი, ლეგა, ორმხრივ გაპრიალებული ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (5 ც.) (ტაბ. LXLIV₁). დ. ხახუტაიშვილი მას ათარიღებდა ძვ.წ. IV-II სს-ით. მისი საკულტო დანიშნულება განისაზღვრა კავთისხევის ციხიანგორას სამლოცველოს გათხრებისას მარანში გამოვლენილი და საკუთრთხეველში ჩადგმული ნაცრით სავსე ასეთი ფორმის სამი ჭურჭლის მიხედვით. 1984 წელს მსგავსი სურათი დადასტურდა სამადლოში გათხრილ სამლოცველოშიც, სადაც ასევე სამი ასეთი ჭურჭელი გამოვლინდა. გ. ნარიმანიშვილის აზრით, „ორ შემთხვევაში სამი ერთნაირი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი, როგორც ჩანს, გარკვეულ კანონზომიერებაზე უნდა მიუთითებდეს“. ის ამ სახის ჭურჭელს III-IV ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებს და ძვ.წ. III ს-სა და ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში გავრცელებულად მიიჩნევს.

უფლისციხის ოთხკუთხაბაკოიანი სარიტუალო ჭურჭლის თარიღი განისაზღვრება ძვ.წ. IV – I სს-ის პირველი ნახევრით [ხუნდაძე ნ. 2010:61-68].

უფლისციხეში აღმოჩენილი სამშენებლო მასალა დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ღარიანი (კალიპტერი) და ბრტყელი (სოლენი) კრამიტებით (ტაბ. CXXVI_{2g}). ეს უკანასკნელი რაოდენობრივად ჭარბობს ღარიანებს. ღარიანი კრამიტები ორი სახისაა - ე. წ. ცერიანი (შვერილიანი) და ფართორკალიანი, უცერო (შვერილის გარეშე). მათ წინა, ვიწრო მხარეს აქვს ქედი. ელინისტური ხანის კრამიტი შეღებილია წითელი და ყავისფერი წერნაქით. დამლა ორივე ტიპის კრამიტზე გვხვდება. მათი რაოდენობა მცირეა. დ. ხახუტაიშვილი ვარაუდობდა უფლისციხეში მცხეთისაგან განსხვავებული კრამიტის წარმოების ცენტრის არსებობას და დასძენდა, რომ „ასეთ ვარაუდს კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდიდა სამადლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა, კერძოდ, კრამიტების მეტად საინტერესო კომპლექსი“. მკვლევრის აზრით, კერამიკის წარმოების ის ცენტრი, რომელიც უფლისციხეს ემსახურებოდა, მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში თავისი გზით ვითარდებოდა და ნაკლებ განიცდიდა მცხეთური ნაკადის გავლენას [ხახუტაიშვილი დ. 1970:87-92. ტაბ. XLIII]. უფლისციხეში ანტიკური ხანის აგურები ძალიან მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი.

* * *

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის იბერიული ქალაქი მიითვლიდა ციხეს, ქალაქსა და გარეუბანს (სასოფლო-სამეურნეო რაიონს). საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქალაქის ეს ნაწილები ერთდროულად, პარალელურად ყალიბდებოდა და ერთ მთლიან ორგანიზმად იკვრებოდა. მისი ჩანასახები ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში შეინიშნება მსხვილი, დაბური ტიპის სამოსახლოების ტოპოგრაფიაში. ქალაქის სასოფლო გარეუბანი მოიცავდა მოზრდილ ტერიტორიას, რომელიც დასახლებული იყო ნახევრად თავისუფალი და თავისუფალი თემებით (დაბებით). აქ წარმოდგენილი იყო სამეფო დომენის, ტაძრებისა და მსხვილი მიწათმფლობელების მეურნეობები, ქალაქის მკვიდრი თემისა და დაბების რიგითი მეთემეების ნაკვეთები, აგრეთვე საერთო სათემო სარგებლობის მიწები [ხახუტაიშვილი დ. 1970ა:642-644]. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალას იძლევა უფლისციხე. მის სასო-

ფლო გარეუბანში გამოვლინდა და არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი სასოფლო თემების ნასახლარები - ნადაბარები. ისინი აღმოჩნდა: უფლისციხის დასავლეთით ადგილ ბამბებში, ყათლანიხევსა და შიდა ქალაქის აღმოსავლეთით, ე. წ. ჩანახას მიწაზე. სასოფლო ტიპის დაბები მცირე ოჯახების ინდივიდუალური საცხოვრებლებით აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი კომპაქტური დასახლებები იყო. საცხოვრებელი სახლი მრავალგანყოფილებიანი ნაგებობაა, რომელშიც, გარდა საცხოვრებელი დარბაზისა, გამოიყოფა სამეურნეო სათავსებიც (მარანი, საკუჭნაო, სამზარეულო) (ტაბ. LXX-LXXIV) [ხახუტაიშვილი დ. 1970ა:642-644].

დაბის მცხოვრებთა უმრავლესობა მიწათმოქმედებას მისდევდა, გარკვეული ნაწილი კი - ხელოსნობასა (ე. წ. გრაფიკის სამარხი ბამბების ნამოსახლარში. ორმოსამარხი #10; მეთუნის სამარხი ყათლანიხევში) და მესაქონლეობას. სამარხებისა და საცხოვრებელი კომპლექსების გათხრებით დადასტურებულია, რომ ძვ.წ. V -დან ახ. წ. II ს-მდე უფლისციხის შემოგარენი დასახლებული იყო ძლიერი სამიწათმოქმედო დაბებით.

მიუხედავად იმისა, რომ უფლისციხეში მოპოვებულია მშენებლობის ტექნიკის, საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელი ელემენტების, სამარხთა ტიპოლოგიური სახესხვაობებისა და ა. შ. საილუსტრაციო მასალა, ელინისტური ხანის სამოსახლოები სიღრმისეულად ჯერ კიდევ შესასწავლია. ნამოსახლარებში გამოვლენილი საცხოვრებელი კომპლექსები იძლევა საყურადღებო ინფორმაციას იმ პერიოდის იბერიული ქალაქის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გარეუბნის მოსახლეობის ყოფისა და დასახლებათა ხასიათის შესახებ. აქ მოპოვებულია ნივთიერი მონაცემები დაბაში არსებული საცხოვრებელი ნაგებობების გეგმარებასა და აღნაგობაზე. ნაგებობებში ჩანს ცალკეულ სათავსოთა დამოუკიდებელი დანიშნულება. მევენახეობის განვითარებამ განაპირობა მარნის როგორც უმნიშვნელოვანესი სამეურნეო სათავსოს ცალკე გამოყოფა. ბამბების ნამოსახლარსა და ჩანახას მიწაზე გამოვლენილია ისეთი ტიპის სახლები, რომლებიც შედგება ძირითადი დარბაზისაგან, ორი სათავსოსა და მარნისგან [ხახუტაიშვილი დ. 1970:55; ხუნდაძე ნ. 1979:50-56; ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., სანიკიძე თ., ხუნდაძე ნ. 1987:3-20].

ნასახლარებში მოპოვებულია საინტერესო არქეოლოგიური მასალა: დარახტული ცხენის ქანდაკება, ცხვრის ქანდაკება, ნილბოსანი მეჩანგისა და მედოლის ფიგურები (ტაბ. CXXXVIII₃₋₆, CXXXIX₁₁₋₁₂, უ.ბ.ნ. ##33; 34; 52; 874), რომლებიც ხელოვნების საყურადღებო ნიმუშებია, ამასთან, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ძველი ქართული საკრავების, სამუსიკო კულტურისა და აქტიორული ხელოვნების შესახებ⁶. საინტერესოა სამარხებში გამოვლენილი არტეფაქტები: ძვლის ფირფიტები ტახის, მელიისა და იხვის გამოსახულებით (ტაბ. CIII_{3,7,8}, უ.ბ.ნ. ##156; 163; 164;) ფირფიტები ეკუთვნოდა მხატვარ-გრაფიკოსს, რომელსაც განვითარებული ჰქონდა პროპორციის, ჰარმონიისა და წარმოსახვის გრძნობა. აქვე აღსანიშნავია თევზის ფიგურა-სასმისი, შავად გაპრიალებული ხარის თავის ფიგურა და სხვ.

ბამბების ნამოსახლარი და სამაროვანი (ძვ.წ. IV – ახ. წ. II სს.) მდებარეობს კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის დასავლეთით, 0,5 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირთან (ტაბ. LXX-LXXI). სამაროვანზე გამოვლენილია ძვ.წ. V-IV სს-ის ორმოსამარხები. ნეკროპოლის თავზე გამართულია ძვ.წ. III-II სს-ის ნასახლარი. ძეგლი ნაგებობები ბანური ჭერით ყოფილა გადახურული. საცხოვრებელი ოთახებიდან ცალკეა გამოყოფილი მარანი. ნასახლარში მრავლად აღმოჩნდა მოხატული, შეღებილი და სადა კერამიკა. ხანძრით განადგურებულ ნამოსახლარ ფენაში ჩაჭრილია ძვ.წ. II ს-ის მიწურულისა და I ს-ის ორმოსამარხები. ბამბების ნამოსახლარში გამოვლენილია გვიანანტიკური ხანის სამარხებიც [ხახუტაიშვილი დ. 1964:70].

1988-90 წლებში ბამბების ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა 650 მ² ფართობი, სადაც ფენათა მონაცვლეობა შემდეგნაირია: I. არქეოლოგიურად სტერილური ფენა (სიმძლავრე – 2-2,30 მ). ის წარმოიშვა კლდოვანი მასის დაშლისა და ჩამორეცხვის შედეგად; II. მონაცრისფრო, თიხნარი კულტურული ფენა (სიმძლავრე – 1,20-1,70 მ); III. თიხნარი კულტურული ფენა, რომელიც მეტნაკლებად თითქმის ყველგან შეიცავს გადამწვარ, ბათქაშიანსა და ნახშირიან შრეს. იგი უშუალოდ ლამიან, სილანარეფ ფენაზე ძევს.

ამ შრეში გამოვლინდა სამარხები. ბამბების ნამოსახლარი და იქ მოპოვებული არტეფაქტები უკვე დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ნამოსახლარის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა [ხახუტაიშვილი დ. 1964:69-82; 1970:22-66; 1989:50-58; ხუნდაძე ნ. 1979:50-56; 2000:96-102; ნიკოლაიშვილი ბ. 2006:69-74].⁷

ადგილი ჩანახას მიწა (ტაბ. LXXII-LXXIII) მდებარეობს ნაქალაქარის აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მ-ის დაშორებით. იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაქანებული მინდორია და მოიცავს დაახლოებით 2 ჰა ფართობს. აქ პირველი დაზვერვითი გათხრები უფლისციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1986 წელს ჩატარა (ლ. ახალაია). გაითხარა 200 მ² ფართობამდე და გამოვლინდა ელინისტური ხანის ორი სამშენებლო პერიოდის საცხოვრისი ნაშთები, ასევე ზედა სამშენებლო დონის კუთვნილი სამეურნეო დანიშნულების ტერასა, რომელიც რიყის ქვის ცალპირა წყობით იყო შემოსაზღვრული. ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალის შემცველი სილანარევი ნაცროვანი ფენა (სისქე – 0,30-0,80 მ) უშუალოდ კლდოვან დედაქანზე იყო დაფენილი. ზედა დონის ნაგებობების შემორჩენილი კვალი 80 მ²-ზე ვრცელდებოდა და ორ სათავსოს შეიცავდა. ძეგლი თარიღდება ძვ.წ. III-II სს-ით [სანიკიძე თ., ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ. 1989:8].

ტერასასა და საცხოვრისს შორის, ტერასის შემოსაზღვრელი კედლის წყობიდან 0,30-0,40 მ-ის სიღრმეზე, გამოვლინდა ექვსი სამარხი. მათგან ორი ორმოსამარხია, ორი – დერგსამარხი, ერთი – ქვევრსამარხი. ერთხელ ურნასამარხად მოზრდილი ქოთანის გამოყენებით. სამარხები დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. სამარხეული ინვენტარი შედარებით ღარიბია. შედგება რკინისა და ბრინჯაოს ნივთებისგან, მინისა და მინისებრი პასტის მძივებისა და თიხის ჭურჭლისაგან. ლითონის ნაწარმი იმდენად დაზიანებულია, რომ მათს ტიპოლოგიაზე რაიმე გარკვეულის თქმა შეუძლებელია. სამაროვანი თარიღდება ძვ.წ. II-I სს-ით [ნიკოლაიშვილი ბ. 1997:64-74].

ყათლანიხევის ხევის მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე, მტკვრის ნაპირთან, გაშლილია

6 ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ყათლანიხევი აღმოჩენილი ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასწყისის ძვლის სალამური.

7 ბამბების ნამოსახლარის ზოგიერთი სამარხი გადათარიღდა ახალი აღმოჩენების საფუძველზე [ნიკოლაიშვილი ბ. ხუნდაძე ნ. 2002:81-86].

ანტიკური ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომლის მცირე ნაწილი XX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში გაითხარა. ფლატის პირას ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ახ. წ. I-III სს-ის ნამოსახლარი და სამარხები [ხახუტაიშვილი დ. 1970:82].

ყათლანიხევის მარჯვენა სამოსახლოს მოზრდილი ნაწილი, რომელიც ხევისა და მტკვრის ფლატესთან მდებარეობს, მნიშვნელოვანწილად განადგურებულია. ფლატეში შეინიშნებოდა რამდენიმე კულტურული შრე. მისი ზედა ფენა, კერამიკის მიხედვით, ახ. წ. I სს-ს მიეკუთვნება. აქ აღმოჩნდა თხელკედლიანი, რელიეფური, დაკბილული სარტყლებით შემკული ქვევრები და წერნაქით შეღებილი კრამიტის ორივე სახეობა. ხანძარში დაღუპული ნაგებობის ნანგრევში იქნა ნაპოვნი რკინის სახნისი (ტაბ. LXL₂). ყათლანიხევის მარჯვენა ნაპირზე არსებულმა დასახლებამ მოგვცა I-III სს-ის ქართლის სამიწათმოქმედო კულტურის მეტად საყურადღებო ძეგლი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი მეურნეობის ხასიათსა და სამიწათმოქმედო ტექნიკის განვითარების დონეზე [ხახუტაიშვილი დ. 1964:88]. აქ გამოვლინდა ახ. წ. I-III სს-ით დათარიღებული ორი ორმო-სამარხი [ხახუტაიშვილი დ. 1964:90-91].

ყათლანიხევის სამოსახლოს მარცხენა უბანში, მტკვრის ფლატის მიდევნებით, მიწის პირიდან 2-2,50 მ-ის სიღრმეზე, შეინიშნებოდა ნამოსახლარის დონე, რომელიც ცხოველის ძვლებით, კერამიკის ნაწარმის ფრაგმენტებით და *in situ* მდგარი ქვევრებითაა წარმოდგენილი. მოხნულ ფენაში იყო ნაგებობათა ნანგრევები და კერამიკის ფრაგმენტები. ფლატეში გამოვლენილი მასალის მიხედვით, ნამოსახლარის ეს დონე ახ. წ. I-III სს-ს მიეკუთვნება [ხახუტაიშვილი დ. 1964:83]. ამ უბანში, მოხნული ტერიტორიის კიდეზე, ნაპოვნი იქნა ზემოთ უკვე მოხსენიებული წარწერიანი თიხის ბულა. აქვე გამოვლინდა ძვ.წ. III-I სს-ის სამი ორმოსამარხი (ტაბ. CI-CX).

1987-90 წლებში ყათლანიხევაში, მტკვრის მარცხენა ნაპირის სწორი რელიეფის მქონე ზოლში, გაითხარა ადრეული შუა საუკუნეების მონუმენტური ნაგებობის ნაშთები (ტაბ. LXXIV). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ნაგებობა გვიანელინისტური ხანის ფენაზეა გამართული. ამგვარი ვარაუდის საფუძველს, გარდა უწესრიგოდ მიმოხეული არქიტექტურული დეტალებისა,

იძლევა ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, კედლის წყობიდან 0,80 მ-ის სიღრმეზე, გვიანელინისტური ქვევრისა და ამავე პერიოდის სხვა კერამიკის აღმოჩენა [ახალაია ლ. 1996:175]. რაც შეეხება ნაგებობის თანადროულ მასალას, აქ გამოვლენილი კერამიკა თავისი ფორმებით იდენტურია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების თიხის ნაწარმისა. აქვე აღმოჩენილია გვიანელინისტური ხანის ოქროს საყურის ნაწილი, ოვალური ფორმის ბუდეში ჩასმულია ალმანდინის ქვა (ტაბ. CXXVI, უ.ყ.ნ. #481) [ხუნდაძე ნ. 2007:42].

90-იან წლებში ცნობილი მიზეზების გამო ყათლანიხევაში არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება ვეღარ მოხერხდა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. სსმმ. ტ. XIX-A და XXI-B. 1957. გვ. 115-140.

აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სსმმ. ტ. XXII-B, 1961. გვ. 291-382.

აბრამიშვილი გ., ვაჩიშვილი კ. უფლისციხის „მიუვალი“ კომპლექსი. ძმ #3. 1964. გვ. 28-34.

ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1944.

ახალაია ლ. ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა ნაშთები ყათლანიხევიდან. სხსმ -ის ნარკვევები. ტ. II. თბ., 1996. გვ. 173-175.

ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., სანიკიძე თ., ხუნდაძე ნ. ელინისტური ხანის სამოსახლო უფლისციხის მიდამოებში (ჩანახას მინა). სხსმ -ის IX სამეცნიერო სესია. თეზისები. თბ., 1987. გვ. 3-20.

ახალაია ლ. ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა ლაშეთხევის გორა-ნამოსახლარიდან. ნარკვევები. ტ. VI. 2000. გვ. 3-11.

გაგაშიძე ი. სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი. ძმ. #23. გვ. 41-46.

დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.

ლოსაბერიძე ლ., ელოშვილი მ., ბიჭაშვილი თ., ხუნდაძე ნ. ლაშეთხევის მრავალფენიანი ნამოსახლარი. ამირანი. ტ. XXXII. 2019. გვ. 24-46.

მათიაშვილი ნ. ძვ.წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან (კერამიკული მასალის მიხედვით). თბ., 1977.

მახარაძე ზ., კალანდაძე ნ. სახვაძე ა. ციხია-გორა. თბ., 2023.

მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ტ. II. თბ., 1983.

მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა (თეზისები). წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ანოტაციები. თბ., 1964. გვ. 5-8.

მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

ნაკაიძე ნ. ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. კრ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980. გვ. 28-41.

ნიორაძე გ. ალაზნის ველის გათხრები. თბ., 1940.

ნიკოლაიშვილი ბ. ელინისტური ხანის სამარხები „ჩანახას მიწიდან“. სსსმ-ის ნარკვევები. ტ. III. 1997. გვ. 64-74.

ნიკოლაიშვილი ბ. გვიანელინისტური ხანის სამარხები ბამბებიდან. აფ. ტ. IV. 2006. გვ. 69-73.

ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ. ბამბების სამაროვნის ზოგიერთი სამარხის თარიღისათვის. აფ. ტ. II. 2002. გვ. 81-86.

სანიკიძე თ. უფლისციხე. თბ., 1987.

სანიკიძე თ. უფლისციხე. თბ., 2002.

სანიკიძე თ., ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ. უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული ექსპედიციის 1986-88 წლების საველე მუშაობის ანგარიში. სსსმ-ის XII სამეცნიერო სესია. თბ., 1989. გვ. 1-20.

ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

ფიცხელაური გ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). თბ., 1973.

ყიფიანი გ. უფლისციხე. 2000.

ხახუტაიშვილი დ. ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე, სმამ. ტ. XXI. #3. 1958. გვ. 369-375;

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 1964.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე II. 1964-1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ., 1970.

ხახუტაიშვილი დ. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის ქართლში (იბერიაში). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ., 1970ა. გვ. 620-644.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1989.

ხუნდაძე ნ. ელინისტური ხანის მედაბურის სახლი უფლისციხე-ბამბებიდან. ძმ #52. 1979. გვ. 50-56.

ხუნდაძე ნ. ელინისტური ხანის თეთრად მოხატული კერამიკა უფლისციხიდან. ნარკვევები. ტ. II. 1996. გვ. 169-172.

ხუნდაძე ნ. ბამბების სამარხთა თარიღისათვის. აფ. ტ. I. 2000. გვ. 96-102.

ხუნდაძე ნ. საკულტო-სარიტუალო ჭურჭელი უფლისციხიდან. აფ. ტ. V. 2010. გვ. 61-68.

ხუნდაძე ნ., ახალაია ლ. უფლისციხის სარკისებურზედაპირიანი ჭურჭელი. სემმ. ტ. V, თბ., 2014. გვ. 78-94.

ხუნდაძე ნ. უფლისციხე. კატალოგი. 2007.

ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. ურბნისი. თბ., 1962.

ჯავახიშვილი ქ. გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები I. გემა უფლისციხიდან. ძიებანი. #7. 2001. გვ. 64-67.

ჯაფარიძე ოთ. მიწათმოქმედების იარაღები და-სავლურ-ქართულ კულტურაში. თსუ-ის შრომები. ტ. 49. 1953. გვ. 202-211.

ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

Гагошидзе Ю. М. Самадло (археологические раскопки), Тб., 1979.

Гогелия Д. Д., Челидзе Л. М., Авалишвили Г. Б. 1986. Полевые исследования Квемо-картлийской экспедиции. ПАИ в 1983 г. Тбилиси. с. 13-15.

Куфтин Б. А. Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и куро-Араксский энеолит. სსმმ. ტ. XIII-ბ. 1947.

Куфтин Б. А. Археологические раскопки в Тrialeti. Тб., 1941.

Нариманишвили Г. К. Керамика Картли V-I в.в. до нашей эры. Тб., 1991.

Пицхелаური К. И. Памятники второй половины I тысячелетия до н. э. на территории Кахетии. СА №3. 1977. გვ. 221-229.

Тирацян Г. А. О росписной керамике древней Армении. Каталог. ИФЖ. АН. АССР. Ереван. 1965. №3.

MATERIAL OF PRE-ANTIQUE AND ANTIQUE UPLISTSIKHE

The pottery found in Uplistsikhe and its surroundings the rock-cut complex, Lashetkhevi, Katlanikhevi vacant lot hillock, Uplistsikhe village is decorated with engraved wedges, relief grooved gutters, concentric circles, needle ornaments. Pottery heels are often surrounded by snips. Artifacts with zoomorphic ears are also found.

Lashetkhevi (end of the IV millennium-first part of the III millennium).

The Early Bronze Age Lashetkevi site of former settlement is located 3 km to the east of Uplistsikhe settlement, on the left bank of the river Mtkvari. In 1973 Uplistsikhe expedition was led by D. Khakhutaishvili. A small-scale exploratory works were carried out in Lashetkhevi. Clay products of the Early Bronze Age. Late Bronze and Middle Ages were found next to each other in trenches.

Artifacts of the Early Bronze Age are very fragmentary and only allow us to define the general character of the monument and its date. Ceramics are products of the so-called Mtkvar-Araksi culture in terms of production technique, processing and form. The material dates back to end of the IV millennium – first half of the III millennium.

The oldest site of former settlement on the Katlanikhevi hill

Two cultural layers were revealed as a result of held in 1957-1962 years excavations on the Katlanikhevi hillock. A small amount of material has been survived from the first low layer. The evidences of the first layer are more “secular” in nature. Its ceramics, compared to the second upper layer, are more archaic. The first layer was preserved on such a small area that it is impossible to have a certain conception of the site of former settlement.

Before creation of a chapel, which belongs to the II layer, population that didn't have direct relationship with the cult service, left the hill, which turned into a shrine. Due hostilities between communities and their chapel, the chapel on Katlanikhevi hill was destroyed.

In the first centuries of the I millennium, the cult Centre of victorious communities of Uplistsikhe area should have moved to the rock-cut settlement.

Pre-antique monuments from Uplistsikhe village

In 1957, residents of Uplistsikhe village handed over a collection of Bronze farm implements to the expedition and the inventory of a pit burial, which chronologically belonged to the end of the II millennium-beginning of the I millennium. The collection of Bronze objects includes two sickles and a flat axe. The tools are made of arsenical copper. A small amount of tin (0,42%) was found only in the axe. All those artifacts were mopped and do not show any stamping marks. A graveyard of Uplistsikhe village belonged to the pre-antique period of settlement in the area of Uplistsikhe rock-complex.

Pre-antique material from Shida Kartli

Until 1957 nobody suspected layers of the pre-antique epoch would be found in the area of Uplistsikhe rock-cut complex. As a result of excavations, it was elucidated that a hill-type settlement was formed in the pre-antique period, the further development of which gave rise to the ancient town.

The ancient artifacts have been preserved, here and there, on the territory of the site of former settlement. In particular, around a three-nave basilica, in the II area the inner town. Objects of the pre-antique period were observed during excavation of the so-called ravine. According to the revealed material, it was conformed that the hill-type settlement originated in the inner town of Uplistsikhe at the end of the II millennium – beginning of the I millennium.

The Antique period

A number of rock-cut complexes located in the central area of the inner town of Uplistsikhe are

mainly from the early antique period. The inaccessible cave of Uplistsikhe (6th-5th cc. BC.) is 400-500 meters away from the central part of the town. It is located at a light of 52 meters from the bottom of the rock. The impassible complex is the only one where there are not any traces of the later constructions and the life in the Middle Ages. Its architectural look has been preserved due to the fall of a rock. During the study of the cave ceramic fragments were found in it, which were dated to the 6th-5th cc BC. The second hall of the inaccessible cave is lower than the first one and it is mounted with the imitation of flat roof rafter. It turned out that other halls of Uplistsikhe with rafters should also be dated to that period.

Presses carved into the rock

Presses carved into the rock deserve attention among the monuments found in the inner down. Their date is determined by the 4th-3rd cc. BC.

A small rock-door-“Kldekari” is the main entrance to the inner town. It is an open tunnel, the length of which reaches 50 meters, the width is more than 2 meters. It starts at the south-eastern edge of the inner town at the foot of the rock and joins the main street which divides the inner town into eastern and western parts. “Kldekari” was fortified with a tower and in some places with walls. A well, with 3,80 meters diameter and 10-12 meters width, is in the middle of “Kldekari”. During peacetime, a wooden drawbridge was closed and it supplied citizens with drinking water. During the war, it performed the function of a “Wolf pit” for the hostile enemy. A grand tunnel, cut in the rock, passes under a small “Kldekari”, which stretches to the square on the top of the rock-door and descends to the Mtkvari river. Its diameter is 4-5 meters. The tunnel was carved out of the original plan for the construction of the inner town and it is a monument of the early Hellenistic period.

A big rock-door (“Kldekari”) is located 700-800 meters north of the inner town (length- 150 meters, width- 2,50 meters). “Kldekari” is considered one way section of the south Caucasus international highway passing through Uplistsikhe. “Kldekari” dates to the 4th-3rd cc. BC.

In the territory of the main town were found evidences indicating to the presence of the early Hellenistic and Roman ages layers.

Ceramic products of the early antique period of Uplistsikhe have certain number of features that distinguish them from the products of the previous stage. Clay has purer structure and is better processed. Red-painted vessels and profiled forms appears. Engobe and surface polishing started to be used for the first time. Technical innovation emerged – surface polishing on a high-speed lathe. A group of ceramics of the 6th-4th cc. BC. Fragments of red glazed, painted with red engobe vessels, the majority of which should have jugs and broad-lipped jars.

There are different opinions regarding the origin, distribution and dating of red-faced ceramics. Regardless this, all scientists admit importance of that technological innovations. Another way of decorating dishes was introduced too. It was red-painting. Both technological changes appeared at the same time and were spread gradually so that at the end of the IV millennium, pottery was essentially made with that technology.

A large number of ceramics of the Early Antique period consists of drinking boots and jars polished in black and grey. Signs of the rise of black-glass ceramics.

Became visible. Heeled vessels, characteristic for the ceramics of the IV millennium, appeared, a fragment of a broad-lipped jar of the VI-IV cc. BC. Attracts attention. Vessels, different from the local ware, both in form and clay composition, should have been imported from Colchis. Other pieces of Colchian ceramics were found in Uplistsikhe too.

The Hellenistic period. Ceramics of that age, that came to light in Uplistsikhe and its surroundings, are characterized by particularly high quality of clay. Several groups of pottery are distinguished: 1. Red-faced, red-painted and covered with drawings; 2. Painted with white engobe stripes; 3. Black, dark and glossy ceramics, so-called “reflecting-surfaced”. Among them are products decorated with beams and stripes, drawn out under pressure, as well as relief adorned with and scratched.

According to the purpose, ceramics are divided into: household, kitchen and tableware. Building ceramics mainly tiles, are widely represented. Some vessels had a ritual purpose: rhytons, vessels decorated with a cross, etc. Depiction of the sun symbol on the heel of ware might be related to some belief of that epoch. Fragments of black-lacquered ceramics, the imitation of Asian Minor and Hellenistic peri-

od red-lacquered vessels- products of workshops of Pergamon and Alexandria, are of interest.

Red-painted and covered with drawings ware. In Uplistsikhe, all types of red-painted vessels of the Hellenistic period have been identified. Agricultural vessels are represented by fragments of pitches and large-sized jars, among which are plain and covered with drawings patterns. A fragment of a large jar is supposed to be found in the central area (in the ravine). It has drawing of a band of red paint and image of water birds. Along with painting, some samples have relief girdles. Fragments decorated with triangles stand out in pointed pottery.

Tableware is represented by jugs, broad-lipped jars, bowls, drinking bowls and saucers. A large pink jug was found in the ravine of the central area of Uplistsikhe. It is painted with red girdles, triangles and water birds. The pottery dates back to the III-IV cc. BC. In the same place painted fragments were revealed, a part of them was restored as a crooked-eared jug.

Bowls are hemispherical in shape. They are painted on both sides with reddish-brown stripes and dots. Such bowls were found on the site of former settlement of Bambebi and date back to the 3rd-2nd cc. BC. In 1976 similar bowls were found in Bambebi; III residential complex. They are believed to belong to the 1st c. BC.

Fishing dishes are represented with month and bottom fragments. Their thickness is precipitated cleanly, they were fired, the laquear is brilliant, thick and placed equally. D. Khakhutaishvili considered type of dishes to come from Asia Minor (Pergamon circle) works hops. They are thought to belong to the 1st c. BC.

A fragment of the 1st c. AD fishing dish from Asia Minor with a low heel and wide side was revealed in the central area of the inner town (ravine). It is painted red and is polished. Some bowls from Uplistsikhe are red-painted and are local products, a part of them must be imported. Three-legged bowls are three in number. They was found with the hoard and date back to the 4th -3rd cc. BC, by accompanying the hoard material.

There are open-mouthed, deep, flat-bottomed and round-bottomed drinking bowls. Some of them are adorned with concentric relief circles, painted with red stripes and polished. Drinking bowls date to the 4th-2nd cc. BC.

Ceramics painted with white engobe stripes

A separate group of ceramics, found in Uplistsikhe and its surrounding (Bambebi settlement) consists of vessels made of well-precipitated clay, painted with white engobe. They are fired in yellow pink, reddish and grey. In addition to pointing the ware is decorated with girdles of grooved concentric lines and wavy strips, as well as with diagonal notches. In Uplistsikhe (ravine), fragments of white engobe pottery were revealed which date back to the 4th the first half of the 3rd cc. BC.

Among artifacts found in Uplistsikhe imported products are not many, but they are important for clearing up trade, economic and cultural relations of Iberia with neighboring and distant countries. From this point of view, the Hellenistic period is a turning point and a new stage of development.

The Colchian import is represented with fragments of the bottom-side of a brown-walled amphora of the 3rd-2nd cc. BC. A fragments of the bottom-side of a similar amphora came to light in section II of the inner down.

The amphorae, found in Uplistsikhe, repeat the Hellenistic period Colchian amphorae (Vani, Dablagori, Pichvnari, Kokhi "Najikhurali" etc.) in their shape, color and clay structure. It is visible that trade relations between Colchis and Iberia were quite extensive in antiquity. Finding in Uplistsikhe black-lacquered ceramics from Colchis, is proof that ceramics were also a part of the assortment of trade goods of towns located near the Mtkvari river. It should be noted that a Greek amphora-balsamarium and Greek terracotta of the 4th-3rd cc. BC. Were found in the Uplistsikhe rock-cut complex.

A certain number of artifacts are glass vessels, belonging to the end of the 1st c. BC. - 1st c. AD. A green glass drinking bowl decorated with relief ridges is worth of noting. It is assumed that such bowl were made by imitating forms of silver vessels. An ear of a bowl made of brownish glass was revealed in the area II, in the inner town. It also dates to the 1st c. BC. - 1st c. AD. In the same area were found fragments of colored glass products as well as a big fragment of a thin-walled "satsremle" (item for keeping mourners' teardrops) belonging to the 1st-2nd cc. AD.

The 1st c. BC. Glass gem (intaglio), with the image of Athena Pallas, is an imported object. It is one of the typical patterns of classicist style glass

gems of the Octavian Augustus' period in terms of material, color, manufacturing technique, subject and image style.

A hemispherical clay bulla bears print of an animal (horse?) girdled by images of geometric designs and celestial luminaries, the artifact resembles Parthian bullae and should be of the Hellenistic period.

A clay Sasanian bulla was found on the side of former settlement on the left bank of Katlani-skhevi. It bears a portrait of a man wearing a head-gear with a lion's head. The male has an earring and a necklace which are clearly visible. There is the Pahlavi (Middle Persian) inscription above the man's bust – "Yazdgird-Peroz son of Vindat (Vindait?). The bulla dates to the end of the 3rd-beginning of the 4th cc. AD.

A fragment of a dish, made of well precipitated whitish clay, with painted outer and inner surfaces in red and polished, deserves mentioning. It dates back to the 2nd c. BC-1st c. AD. This artifact resembles red-stained pottery of Asia Minor (Pergamon). Fragments of similar vessels with almost identical mouth-side were revealed in the territory of inner tower.

Among the artifacts of the late Antiquity a fragment of a neck-side, broad-lipped jar, red painted, with white stripes, is distinguished. It has spots, made with white paint, around its neck and belongs to the 1st c. AD.

A cultural layer of the 1st-3rd cc. AD has been confirmed in the north of N 1 tower, in area II of the inner town. A fragment of a jug's side with a relief image of a griffon, painted in red paint, attracts attention.

Among pitchers found in the same cultural layers, two fragments of the same pitcher's mouth with Aramaic inscription are of interest (the inscription is still indecipherable). The pitcher dates to the 2nd-3rd cc. AD.

Among artifacts of the Hellenistic period found in Uplistsikhe and its surroundings black-sparkling, specular-surfaced vessels stand out. This is a large and diverse group of dark-faced ceramics made of cleanly precipitated clay with thoroughly polished black or grey surface. In Uplistsikhe, various types of specular-surfaced vessels were found: a) large jars adorned with relief ridges, cracks and with glossy stripes; b) jugs and handles with the shape of red-face, red-painted vessels of the Hellenistic period;

c) pot and milk jars; d) ritual vessels; e) bowls and drinking bowls are the most numerous.

Most of specular-surfaced vessels were revealed in Uplistsikhe, chapels. They were found in the sites of former settlements. Abundance uniqueness, high clay quality, refinement of forms, and the same character of decoration, make us think that they were not ordinary, everyday used dishes. Most likely, they were intended for numerous temples that functioned in the town. Specular-surfaced vessels, revealed in Uplistsikhe, date to the 3rd-c. BC. -the first half of the 1st c. AD.

There are two types of rhytons of cultic-ritual purpose of black and glassy clay, which were found in the site of forms settlements of Uplistsikhe and its surroundings; real rhytons – like vessels. A rhyton, which came to light near Uplistsikhe in Bambebi site of former settlement, shows connection with rhytons of the Persian world, according to its decoration. It is a local product and dates to the 2nd – the first half of the 1st cc. BC. A flat-bottomed vessel with images of a quail (4th-3rd cc. BC.) and fish (3rd-1st cc. BC.) should be attributed to rhytons.

A fragment of a rhyton-lake vessel from the site of former settlement dates back to the 3rd-2nd cc. BC. There are specular-surfaced fragments, which are adorned with relief images of a wild goat, a deer and an elephant's heads.

Several ritual vessels should have been found in Bambebi settlement. A black glossy clay figure of a bull's head dates back to the 4th-3rd cc. BC. Among vessels of ritual purpose are the square-faced, polished on both sides fragments of vessels dated to the 4th-2nd cc. BC.

The building material is represented in large quantities by grooved and flat tiles. The latter outnumber the grooved tiles. Grooved tiles are of two types: stretched out and without it. The Hellenistic period tiles are red-painted. Stains are found on both type of tiles. Their number is small. D. Khakhutaishvili assumed the existence of the tile production Centre in Uplistsikhe, which differed from the output of Mtsketa. In Uplistsikhe, bricks of the Antique period are found in very small quantities.

The ancient Iberian city consisted of a fortress, a town and a suburb (agricultural district). These parts of the town were formed simultaneously and were integrated into one town body. Rural outskirts of the town included the area inhabited by semi free and free communities. There were presented

farms of royal domain, temples and Parge land-owners, the plots of indigenous communities of the town and ordinary communities of worships, as well as lands of common community use (D. Khakhutaishvili). In the rural outskirts of Uplistsikhe, settlements of neural communities-hamlets (Bambebi, Katlanikhevi, the so-called Chanakha land-located last of site of former settlement, etc.) were archaeologically studied. Rural type of hamlets with individual dwellings of small families were compact settlements typical of eastern Georgia! Residential houses in the hamlets were multi-sectioned buildings, in which, in addition to living rooms, were also utility rooms (cellar, pantry, kitchen).

The majority of the town inhabitants were engaged in agriculture, some of them worked in handicrafts and cattle breeding. Archaeological excavations have confirmed that from the 5th c. BC till the 2nd c. AD. There existed strong agricultural hamlets in vicinity of Uplistsikhe. They provide the remarkable information about existence of inhabitants and the nature of the settlement in hamlets of Iberian towns of that period as well as on planning and construction of existing residential buildings in hamlets, etc. Independent purpose of individual storage rooms can be seen. Development of vine-growing led, to the separation of a cellar as the most significant agricultural storage. Buildings with a main hall, with two storerooms and a cellar have been identified on Bambebi site of the former settlements.

Bambebi site of former settlement and Burials (4th c. BC-2nd c. AD.) are located in the rock plot to the west of the site of former settlement, 0,5 km from the left bank of the Mtkvari river. There were revealed pits of the 5th-4th cc. BC. Burials. On the top of necropolis, is the 3rd-2nd cc. BC dwelling. Logged buildings were covered with blat-roofs. A cellar was separated from living rooms. A lot of covered with drawings painted and simple ceram-

ics were found at the settlements. Pit graves of the end of 2nd and 1st cc. BC are found in the destroyed from fire Payers. Tombs of the Late Antiquity have also been revealed in Bambebi site of former settlement.

The "Chanakha land", where one of hamlets of Uplistsikhe should have been, is located to the east of then site of former town, about 00 km away. There remains of two constructions of the Hellenistic period came to light, which date back to the 3rd -2nd cc. BC.

Pit burials, jar burials and burial tombs were found on "Chanakha land". Large pots were also used as burials. The burial inventory consists of iron and bronze objects, glass beads and clay vessels. The burial dates back to the 2nd-1st cc. BC.

Agricultural hamlets of Uplistsikhe should have been on the left and right sides of Katlanikhevi.

A big part of the right site of the settlement has been destroyed to a significant extent. Several cultural layers have been observed there. The upper layer belongs to the first centuries AD. Pitches and red-painted tiles were revealed there. An floor has been found in the ruins of the building which collapsed in the fire.

A level of the settlement has been observed in Katlanikhevi. It was represented by animal bones, fragments of ceramic and pitchers. The level of that site of former settlement belongs to the 1st-3rd cc. The afore-mentioned Sasanian period clay bulla has been found in that area

In 1987-90, the remains of a monumental construction of the early Middle Ages were excavated in Katlanikhevi on the left bank of the Mtkvari river. The construction was erected on the late Hellenistic layer. The basis for such an assumption is the finding of the late Hellenistic period pitcher and other ceramics of the same time under the building.

ლევან ლოსაბერიძე, მარიამ ელოშვილი,
თამარ ბიჭაშვილი, ნაზი ხუნდაძე

ლაშეთხევის მრავალფენიანი ნამოსახლარი

(ტაბ. II-XIII)

ლაშეთხევის ნამოსახლარი 1973 წელს გაითხარა უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით¹. ძეგლის შესწავლა მომდევნო წლებში აღარ გაგრძელებულა და ვეღარც 1973 წლის შედეგების გამოქვეყნება მოხერხდა². შედეგად ჩვენ მიერ პირველად ქვეყნდება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უფლისციხის არქეოლოგიური მასალების ფონდში დაცული ლაშეთხევის ექსპედიციის საველე დღიურის მონაცემები, რომელსაც ვურთავთ მასალის პირველად ანალიზსა და ხელახლა შესრულებულ ფოტო და გრაფიკულ ილუსტრაციებს. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღიურში ნახაზები და გეგმები მწირი რაოდენობითაა დაცული. ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილ კვადრატთა აღწერილობას ყოველთვის არ ერთვის გრაფიკული აღწერილობა.

ლაშეთხევის ნამოსახლარი შიდა ქართლში, უფლისციხის ნაქალაქარის აღმოსავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს. ნამოსახლარი ბუნებრივ ბორცვზეა განლაგებული, რომელსაც აღმოსავლეთიდან მდინარე ლაშეთხევი ჩამოუყვება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მტკვარს უერთდება (ტაბ. II).

ნამოსახლარი გათხრების დასაგეგმად დაიყო ოთხ სექტორად, რომელთა გამყოფი ხაზები დამხრობილი იყო SO-NW (150°-330°) და SW-NO (240°-60°). სტრატиграფიის დადგენის მიზნით კი, ოთხი თხრილი გაკეთდა – თხრილი №1, თხრილი №2, თხრილი №3, თხრილი №4 (ტაბ. IV).

თხრილი №1, თხრილი №3-თან ერთად, მიზნად ისახავდა მთლიანი ნამოსახლარის გადკვეთას სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. თხრილი №2, თხრილი №4-თან ქმნის 90°-იან კუთხეს, რომლის მიზანი იყო სტრატиграფიის დადგენა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ე.წ. ყელის

მახლობლად (ტაბ. IV).

ცნობილია, რომ ნამოსახლარის ტერიტორია იხვნებოდა 1930-იან წლებში. შემდგომ, 1968-1969 წლებში, აქ სატყეო მეურნეობას გაუკეთებია თხრილები ტყის გასაშენებლად, რომლებიც მოგვიანებით მიუტოვებია. ამ დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა კულტურული ფენები. სტრატиграფიულმა თხრილებმა ძეგლზე ოთხი პერიოდის არქეოლოგიური მასალა გამოავლინა – ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრეკინის, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების.

ძეგლის აღწერილობა

თხრილ №1-ში, ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, კულტურული ფენები არ დაფიქსირებულა. თუმცა, ბორცვის თხემზე, დაზიანებული ფენის ქვეშ, დადასტურდა ნაცროვანი ფენა, რომელიც ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის მასალას შეიცავდა. როგორც თხრილში, ისე ზედაპირზე გამოვლინდა ხანძარში მოხვედრილი ქვებისა და თიხის ბათქაშების დიდი რაოდენობა. თხრილი №1 S სექტორში მდებარეობს, სადაც Sd1 კვადრატში ნაცროვანი ფენა გამოვლინდა. კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ორმო, რომლის თავზე ქვები ეყარა. ქვების გროვაში დაფიქსირდა რამდენიმე ცხოველის თავის ქალა. ორმოს L – 0,60 მ-ია. იგი ამოვსებული იყო ნაცრით, რომელშიც არეული იყო სხვადასხვა პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები. ასეთივე სურათი დაფიქსირდა Se1 კვადრატში. Sf1 კვადრატში აღმოჩნდა ტალახზე ნაგები კედლის საძირკვლის ნაშთი, რომელსაც ზემოდან ნაცროვანი ფენა ედო. აღმოჩენილ მასალაში ქარბობს ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა, კედლის ფრაგმენტი კი შუა საუკუნეების უნდა იყოს. ნაგებობის კვალი აღმოჩნდა Sg1 კვადრატშიც, რომელშიც ასევე არეული იყო ბრინჯაოს ხანისა და მასზე გვიანდელი პერიოდის არქეოლოგიური მასალა.

1 ექსპედიციის მონაწილეები: თ. ქარუმიძე, ვ. გადილია, ლ. კობახიძე, ი. ჯანდიერი

2 მოგვიანებით გამოქვეყნდა ერთადერთი სტატია ლაშეთხევის ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკის შესახებ (ახალაია ლ. 2000)

როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ნაგებობების მიერ დაზიანებულია ბრინჯაოს ხანის ფენები, რასაც უნდა გამოეწვია მასალის ასეთი არევა. შუა საუკუნეების ნაგებობის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით ტალახზე და, სავარაუდოდ, მინურ საცხოვრებელს უნდა წარმოადგენდეს. საცხოვრებლის ინტერიერის მაქსიმალური სიღრმე მიწის ზედაპირიდან 1,20-1,30 მ-ია. Sh1 კვადრატში, გამთხრელთა ვარაუდით, აღმოჩნდა ე.წ. ხოვლური ტიპის ლუმელის ნაშთი, რომლის განმეზდა 1973 წლის გათხრების დროს ველარ მოესწრო და ექსპედიცია მის სრულფასოვნად გათხრას მომდევნო წელს აპირებდა, თუმცა არც 1974 წელს და არც შემდგომ ლაშეთხევის ნამოსახლარის გათხრები აღარ გაგრძელებულა.

თხრილი №2 მთლიანად ნაცროვანი ფენით იყო სავსე. აქაც, მსგავსად თხრილი №1-ისა, ნახანძრალი ქვები აღმოჩნდა. ამ თხრილში 9 ორმო დაფიქსირდა, ძირითადად, Wa13, Wb13, Wc13, Wd13 და We13 კვადრატებში.

ორმო №1 აღმოჩნდა We13-ში. იგი ჩაჭრილია თიხნარ ფენაში და ნაწილობრივ თხრილის გარეთ ექცევა. მისი H - 1,10 მ-ია, D - 1,40 მ. ამოვსებული იყო ნაცრითა და ნანგრევი ქვებით. ასევე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ნატეხები, ძირითადად, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის. ორმოში ასევე გვხვდება ცხოველის ძვლები.

ორმო №2 Wd13 და We13 კვადრატებში მდებარეობს. იგი გრუნტშია ჩაჭრილი. ამოვსებული იყო ნაცრითა და ქვებით, ასევე თიხის ჭურჭლის ნატეხებით. ორმოს H - 0,30 მ, D - 1,60 მ

ორმო №3 Wa13 კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს. მსგავსად ორმო №2-სა, ისიც გრუნტშია ჩაჭრილი და ნაცრითაა ამოვსებული. ორმოს H - 0,40 მ, D - 1,10 მ დასავლეთიდან ამოჭრილი აქვს პატარა ფოსო. ორმოში, ძირითადად, ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა გვხვდება (ტაბ. VII₂₋₇), ცხოველის ძვლებთან ერთად. გამოსაყოფია ადრებრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი იერის მქონე შვერილებიანი ნივთის ფრაგმენტი, რომლის დანიშნულებაც უცნობია.

ორმო №4 Wb13 და Wc13 კვადრატებში მდებარეობს. ის თიხნარ ფენაშია ჩაჭრილი და ნაცრითაა ამოვსებული, სადაც სხვადასხვა პერიოდის კერამიკა გვხვდება ადრებრინჯაოს ხანიდან ადრეულ შუა საუკუნეებამდე. ორმოში

აღმოჩნდა ცხოველის ძვლებიც.

ორმო №5 Wc13 კვადრატის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. როგორც ჩანს, ორმო რამდენჯერმეა გამოყენებული სხვადასხვა პერიოდში. ზედა ფენა შუა საუკუნეებს ეკუთვნის, ქვედა კი - გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანას. ზედა ფენის დამატარილებელი იყო ადრეული შუა საუკუნეების ღია ფერის კარაქის სადღვებლის ნატეხები.

ორმო №6 Wb13 კვადრატის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ისიც ნაცრითაა ამოვსებული. გვხვდება სხვადასხვა პერიოდის კერამიკა და ცხოველის ძვლები. ორმოს H - 0,30 მ, D - 0,95 მ

ორმო №7 Wa13 კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ორმო გრუნტშია ამოჭრილი. ამოვსებული იყო ნაცრითა და კერამიკის ნატეხებით. ყურადღებას იქცევს ირმის რქის დიდი ფრაგმენტი (ტაბ. IX₄), რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ორმო №8 ასევე Wa13 კვადრატში მდებარეობს და ნაწილობრივ დაზიანებულია ორმო №7-ის მიერ. ორმო ამოვსებული იყო ნაცრით, კერამიკის ნატეხებითა და ცხოველის ძვლებით. კერამიკაში გამოსარჩევია დიდი ზომის ჯამების ფრაგმენტები.

ორმო №9 თხრილი №2-ისა და თხრილი №3-ის შეერთების ადგილზე მდებარეობს, Wa13-სა და Wa14 კვადრატებში. ორმო გრუნტშია ამოჭრილი. ის ამოვსებულია ნაცრით, სხვადასხვა ფორმის სამეურნეო დანიშნულების რიყის ქვებით, ცხოველის ძვლებითა და კერამიკის ფრაგმენტებით. კერამიკა ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისაა (ტაბ. IX₂).

თხრილ №3-ში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ნაგებობის კვალი, რომელიც შუა საუკუნეების უნდა იყოს. ნაგებობა გრუნტშია ჩაჭრილი, დაახლოებით 1 მ-ის სიღრმეზე. იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული. შენობა ხანძრის შედეგადაა დანგრეული. იატაკზე 20-30 სმ სისქის ნაცრის ფენა იდო, რომელიც ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავდა.

თხრილი №4, როგორც აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდა სტრატეგრაფიის დადგენას ბორცვის ყელზე. ასევე მისი მიზანი იყო იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ბორცვს თავდაცვითი თხრილი ჩრდილოეთიდან, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ის დანარჩენი სამი მხრიდან ბუნებრივად იყო დაცული. თხრილ №4-ში კულტურული ფენა ზედაპირიდან მხოლოდ Wa14 კვადრატში

გვხვდება, სადაც ის ნაცრის სახითაა შემორჩენილი და მცირე ზომის კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავს. ფენის სიღრმე Wa14 კვადრატში 25 სმ-ია. Wa14-დან Wa20-მდე ფენა სტერილურია. როგორც ჩანს, აქ უნდა იწყებოდეს დასახლების თავდაცვითი თხრილი, რომლის მაქსიმალური სიღრმე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 4,0-4,2 მ-ს შეადგენს. თავდაცვითი თხრილის ჩრდილოეთით, Wa21 კვადრატში, ფიქსირდება ცალფად ნაგები კედელი, რომელიც დიაგონალზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით გადაკვეთს მას. კედლის დასავლეთ ნაწილში საძირკვლის დონემდე ამოდიოდა შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნატეხები. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში თავდაცვითი თხრილის კვალი ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი, რომელიც მიწური სახლის ასაშენებლად გამოუყენებიათ, რა დროსაც ჩაუჭრიათ ანტიკური ხანისა და გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის ფენები.

ძვლისა და ქვის მასალა

ტაბ. IX-X

ლაშეთხევის ნამოსახლარში ძვლისა და ქვის მასალა, კერამიკასთან შედარებით, მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ძვლის კოლექციაში შედარებით მრავლადაა ოსტეოლოგიური მასალა, დამუშავებული ძვალი კი ნაკლებია. ამჯერად მხოლოდ ამ უკანასკნელს შევხებით. ზოგადად, ძვლის მასალა ძალზე დაზიანებულია და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. იარაღების უმეტესობა დაშლილია და მათი ფუნქციის დადგენა ვერ ხერხდება, ხშირად ტიპოლოგიური ჯგუფის განსაზღვრაც შეუძლებელია. სულ გამოვლენილია შვიდი ნივთი, რომელიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1. სახვრეტი იარაღი
2. საპრიალებელი იარაღი
3. სამრეწველო ნარჩენი
4. განუსაზღვრელი
5. სხვა

სახვრეტი იარაღი წარმოდგენილია ერთი ეგზემპლარით, რომელიც დამზადებულია ლულოვანი ძვლის ანატკეცზე, დამუშავებული აქვს მხოლოდ წვერის ნაწილი, რომელზეც კარგად ეტყობა გამოყენების კვალიც.

საპრიალებელი იარაღიც ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ის ძალიან არის დაზიანებული,

დარჩენილია მხოლოდ პირის ნაწილი. რთულად, თუმცა მაინც განირჩევა მოგლუვებული პირი, რითაც განისაზღვრა ამ ნივთის ჯგუფი.

სამრეწველო ნარჩენი წარმოდგენილია ირმის რქის ფრაგმენტით, რომელსაც სამი მხრიდან მოცლილი აქვს დაბოლოებები და სამივე მათგანზე ეტყობა ღრმა ჭრის კვალი, სავარაუდოდ, შესრულებული მეტალის იარაღით.

განუსაზღვრელ ჯგუფში სამი ნივთი შევიყვანეთ. ორი მათგანის მორფოლოგია მეტნაკლებად განირჩევა, თუმცა წვერის დაზიანების გამო თავს ვიკავებთ რომელიმე კატეგორიისათვის მიკუთვნებისაგან. მესამე ნივთი კი მხოლოდ ბოლო ნაწილითაა წარმოდგენილი, წვერი კი მომტვრეული აქვს. ამიტომ მისი დაწინიანების განსაზღვრა შეუძლებელია.

სხვა – ამ ჯგუფში გამოვყავით მილოვანი ძვალი, რომელიც გადაჭრილი და მოგლუვებულია თავსა და ბოლოში. შუაში ღრუბლოვანი ნაწილი მთლიანად აქვს გამოცლილი და შიგნით შეინიშნება ღრმა ჭრის კვალი, რაც, ვფიქრობთ, მასში მჭრელი საგნის ჩასმასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შესაბამისად, ის სახელურს/ტარს წარმოადგენდა.

მასალის სიმცირე და დაზიანების ფაქტორი ფართო მსჯელობისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ რქაზე შერჩენილი ჭრის კვალი, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტალის იარაღითაა შესრულებული, გვაფიქრებინებს, რომ ის გვიანდელი პერიოდისაა (სავარაუდოდ, შუა საუკუნეების). ასევე აღსანიშნავია ე.წ. სახელური/ტარი, რომელშიც ალბათ ქვის ან მეტალის მჭრელი იარაღი თავსდება და დანის ან სხვა მცირე ზომის ბასრი იარაღის ფუნქციას ასრულებდა.

რაც შეეხება გამოვლენილ ქვის მასალას, ისიც საკმაოდ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ძირითადად გვხვდება კაჟის იარაღები, ობსიდიანის ანატკეცები და რიყის ან ბაზალტის ქვის სასრეს-სანაყები. ამჯერად მხოლოდ კაჟის იარაღებს განვიხილავთ, რომლებიც თხრილ №1-ში ადრეპრინჯაოს ხანის მასალასთან ერთად გამოვლინდა. კაჟის იარაღები მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ერთეულითაა წარმოდგენილი, მათგან სამი ნამგლის ჩასართია, ერთი კი – შუბისპირი (ტაბ. VIII).

ნამგლის ჩასართი №1 მოყავისფრო ფერი-საა, საშუალო ზომის, კაჟის, რომელსაც მართ-

კუთხედის ფორმა აქვს. დამუშავებულია მისი ორივე გვერდი და კიდეები. ხასიათდება ორივე მხრიდან შემხვედრი რეტუშით. მისი სამუშაო პირი უხეშად არის დაკბილული, ხოლო ზედა – მარცხენა კუთხე მომრგვალებულია სხვა კუთხეებთან შედარებით. მას ნამგალში შუა პოზიცია ეკავა. დაზიანებისა და ცეცხლის კვალი არ შეინიშნება.

ნამგლის ჩასართი №2 მონაცრისფროა, კაჟის, სავარაუდოდ, საშუალო სიგრძის (დაზიანებული). დამუშავებულია ორმხრივად შემხვედრი რეტუშით. მისი სამუშაო პირი არათანაბრად დაკბილული.

ნამგლის ჩასართი №3 მონაცრისფროა, საშუალო სიგრძის, ნავისებური ფორმის. დამუშავებულია ორმხრივად შემხვედრი რეტუშით. ასევე რეტუშირებულია მისი კიდეები, გვერდები კი – მომრგვალებული, ხოლო სამუშაო პირი, სხვა ჩასართებისგან განსხვავებით, სტაბილურად არის დაკბილული.

კაჟის შუბისპირი, ყავისფერი, კონუსისებური მოყვანილობის. კარგად დამუშავებული, გვერდებზე შემხვედრი რეტუშითა და საკმაოდ დიდი, ფაცეტისებრი ანატკეცებით. მოტეხილი აქვს ფუძე.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ლაშეთხევი ძალზე საინტერესო, მრავალფენიანი ნამოსახლარია, რომელიც, ამავდროულად, საკმაოდ დაზიანებულია როგორც ახლო წარსულში წარმოებული მიწის სამუშაოების შედეგად, ისე თავად ძეგლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან შუა საუკუნეების ნაგებობებს დაზიანებული აქვს ადრეული პერიოდის ფენები. ამ ტიპის მრავალფენიან ნამოსახლარებს ჩვენ კარგად ვიცნობთ შიდა ქართლიდან, სადაც ერთი და იგივე ტერიტორია დასახლებულია როგორც ადრე, ისე გვიანბრინჯაოს ხანაში. ასეთებია გუდაბერტყა (Mindiasvili et al. 2012), დედოფლის გორა (Rova 2014) და სხვა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ლაშეთხევის ნამოსახლარში ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის ფენები იმდენადაა დაზიანებული, რომ არსებული მონაცემებით მათზე მსჯელობა საკმაოდ რთულია. ასევე ვფიქრობთ, რომ ექსპედიციის მიერ გათხრების მეთოდოლოგია არცთუ სწორად იყო შერჩეული, რადგან მიგვაჩნია, რომ არ იყო საჭირო 80 მ სიგრძის თხრილის (№1 და №3) გაკეთება

ძეგლის ხასიათის გასარკვევად. ასევე საკმაოდ მასშტაბური თხრილი გაკეთდა ბორცვის „ყელის“ მხარეს (№4). რაც მთავარია, თხრილებს მხოლოდ გრძივად ახასიათებს მასშტაბურობა, მათი სიგანე კი მხოლოდ 3 მ-ია, რაც საკმაოდ არასტანდარტულ სურათს გვაძლევს გათხრილი ფართობების კუთხით.

ვფიქრობთ, სამომავლოდ, ლაშეთხევის ნამოსახლარში გათხრების განახლება საინტერესო შედეგების მომტანი იქნება. რაც მთავარია, ძეგლის სწორი გათხრისათვის აუცილებელია თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება, რათა უკეთ იქნას შესწავლილი როგორც ბრინჯაოს, ისე გვიანდელი ხანის ფენები. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა დადგინდეს ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენების ხასიათი – თუ რა ტიპის ძეგლთან გვაქვს საქმე ამ ქრონოლოგიურ პერიოდებში, რადგან, როგორც გათხრების შედეგებიდან შევიტყვეთ, გამოვლინდა მხოლოდ ორმოები, სადაც წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს ხანის მასალა, ისიც საკმაოდ დაზიანებული სახით. ასევე საინტერესოა სავარაუდო ხოვლური ღუმელის არსებობის ფაქტი. გარდა ამისა, რასაკვირველია, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ანტიკური და შუა საუკუნეების კულტურული ფენები. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ საველე დღიურში ნახსენებია ადრეული ანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტები, თუმცა, მასალის დამუშავებისას ჩვენ მხოლოდ ელინისტური ხანის, მცირე ზომის შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტი დავაფიქსირეთ. საბოლოოდ, ვფიქრობთ, რომ ზემოთ განხილულ პრობლემურ საკითხებს მომავალმა გათხრებმა უნდა მოჰფინოს ნათელი.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალაია ლ., 2000, ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა ლაშეთხევის გორა-ნამოსახლარიდან, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. VI, 3-11. თბილისი.

Mindiasvili G., Iremashvili S., Sherazadashvili Z., 2012, Gudabertka Settlement (Excavations of 2005, 2009 years), Studies in Caucasian Archaeology, vol. 1, 234-250.

Rova E., 2014, The Kura-Araxes Culture in the Shida Kartli region of Georgia: An overview, Paléorient, vol. 40-2, 47-69.

Levan Losaberidze, Mariam Eloshvili
Tamar Bitchashvili, Nazi Khundadze

LASHETKHEVI MULTI-PERIOD SETTLEMENT (TAB. II-XIII)

Lashetkhevi settlement is located on the left bank of the river Kura in Shida Kartli region, 3 km east to Uplistsikhe rock-cut town. The site was excavated in 1973 by the Uplistsikhe archaeological expedition (Georgian National Museum) with supervising of Dr. Davit Khakhutaishvili. Excavations did not continue in next years and 1973's results remained unpublished except of one article about Early Bronze Age pottery assemblage from this site (Akhalaia 1997). This is the first attempt to publish the results from wider view.

Four long trenches excavated. Each one included 3X3m squares. Trenches №1 and №3 crossed the mound from SW to NE and overall it was about 84 m long. Trench №2 makes 90° with trench №4 in northern part of the mound. The site was damaged earlier, once in 1930's when this territory used to plough and later in 1968-69 made trenches for plant the trees. The excavations here revealed Early Bronze, Late Bronze-Early Iron Age, Classical, and Medieval age cultural layers.

Site description

Trench №1 is represented by possible medieval buildings with stone foundation in Sg1-Sf1 squares, but this area includes EBA pottery and lithics such as flint spearhead, and sickle blades. It seems medieval walls destroyed earlier levels. Archaeologists assumed that they discovered the so-called Khovle type oven (LBA) and they suggested excavating it next year but excavations here did not continue so far.

Nine pits were discovered in Wa13/14-We13/14 squares of trench №2. Basically, different period materials from EBA to medieval are mixed in these pits. Significant objects from this trench is a small figure with extended "horns". Object belongs to Kura-Araxes culture but it is broken and its function remains undetermined. Another thing from this trench to note is an antler fragments which supposed to be waste that has traces of cutting made with metal tool.

Only one medieval building was discovered in trench №3. Its floor is covered with slabs. The

building was destroyed after fire. There was 20-30 cm thick ashy layer sat on the floor and included early medieval pottery sherds.

The aim to excavate trench №4 in northern part of the mound was to find out if the settlement had a defensive ditch from the north because the mound was defended naturally with riverbeds and ravines from other three sides. Excavations show that the ditch supposed to be 4,0-4,2 m deep. It was used in medieval period to build semi-subterranean house there and cut LBA-EIA and Classical age layers.

Worked bone and lithic assemblages

Bone and stone tools at Lashetkhevi settlement are much less than pottery assemblage. Seven bone objects have been separated from zooarchaeological collection. Most of them are very damaged by natural taphonomy and it is hard to determine their function. We divided them into five groups:

1. Pointed tools
2. Polishing tools
3. Waste
4. Undetermined
5. Others

Pointed tools are represented by one item. It is made on tubular bone flake, the percussion of the bone is direct breaking, processed only point of the tool. On the very edge of the point is a tracing of the use-wear.

Polishing tools also are represented by one sample. The tool is very damaged and there is left just a small part of the edge, but still visible use-wear on the working part, this is the reason why we separated that to this the group.

Another group is waste where there is one sample of antler waste. It has traces of the removing from the three parts. Cutting apparently made with metal tool).

Others – group includes one sample, made on antler, it is cut and polished from two sides. Inner part of the polished bone is perforated and has

traces. Tools might be used as a handle.

Undetermined group has three items. Despite the morphological shape, we decided to separate them from others because of the missing working parts. The third item is broken and there is only mesio-proximal fragment left.

Due to the less number of bone tools and their damage we are not able to discuss them in wider context. We can only conclude that the trace on the antler was made with a metal tool that suggests that this antler was used in historical age, most probably in medieval period. Another significant thing is the so-called handle of some sharp edged tool (lithic or metal) that could be knife or small sized dagger.

Lithics are also represented by very small assemblage. Basic raw material in the collection is flint and all samples are tools. Other raw materials are obsidian, cobble, and basalt. Flint tools are discovered in trench №1, next to the EBA pottery. There are only four samples of flint tools, three of them are sickle blades and one is a spearhead.

Conclusion

Even though limited investigations and results at Lashetkhevi, site demonstrate that the multi-layer settlement has significant potential for contributing our knowledge about middle Kura basin as one of the populated region in different times. Due to the highly damaged picture since the early 20th century, settlement type remains are unknown for us. Despite modern damages site itself, as a multi-layer phenomenon, has destroyed earlier layers after built later ones. Such multi-period sites are quite known from Shida Kartli region (e.g. Gudabertka (Mindiasvili *et al.* 2012, Dedoplis Gora/Aradetis Orgora (Rova 2014)) where they have settled once in the Early Bronze Age and later in the Late Bronze-Early Iron Age.

We would like to discuss the methodology which was used during 1973's excavations. We think that there was no need to make 80m long trench (№1 and №3) to see a site structure. Another big scale trench was made at the north part of the mound but every trench was quite of non-standard shape that we gave us very limited data about the site.

We think that continuation of the excavations at Lashetkhevi will give us new information that would be interesting in a regional context. Important thing is to adapt new methodology to investigate this multi-layer site. It is very important to figure out settlement types of the Bronze Age. Significant is discovery of possible Khovle-type oven which remains under question mark. Also, later period layers are very important. It is interesting that the Classical Age pottery sherds are mentioned in a field diary but we have only registered the Hellenistic period small-sized varnished diagnostic sherd.

We think that future, long-term and multi-disciplinary archaeological investigations will shed light to all questions and problems mentioned above.

უფლისციხის არტეფაქტების მხატვრული სტილის ნიშნები

საქართველოს წინაქრისტიანული სახელმწიფოებრივი ცხოვრება მიმდინარეობდა უძველესი შუამდინარულ-წინააზიური ცივილიზაციის წიაღში. კულტურა, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ცენტრებთან, განვითარების ყველა ეტაპზე მაინც ინარჩუნებდა თავისთავადობას. ამ პერიოდის ხელოვნების კვლევის მნიშვნელოვანი დასაყრდენია არქეოლოგიური მასალა, რაც არ გამოირიცხავს თანადროული ისტორიულ-კულტურული სურათის გარკვეულ ფრაგმენტულობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განსხვავებულ ძეგლებზე მოპოვებული განათხარი მასალის ლოკალურ თავისებურებათა დადგენა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ხასიათითა და მხატვრული სტილური ნიშნებით გამოირჩევა უფლისციხის არტეფაქტები.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს კლდეში ნაკვეთი ქვაბულების რამდენიმე კომპლექსი (ვარძია, უფლისციხე, დავითგარეჯა...), მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს უფლისციხეს. აქ 270-ზე მეტი ქვაბულ-ნაგებობაა. სათავდაცვო თხრილის აღმოსავლეთით ნაქალაქარს ეკვრის გარეუბანი. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალაა დაფიქსირებული ყათლანისხევში, ბამბების ნამოსახლარში, სოფ. უფლისციხეში.

დროის დიდი მონაკვეთით ერთმანეთისგან დაცილებულ ძეგლებზე ხშირად ერთი და იმავე მხატვრული სახის, მითოსური კომპლექსის განმეორებით გადმოცემას ვხვდებით, რაც გამომსახველობითი ფორმების სიმყარესა და ძლიერი ტრადიციის არსებობაზე მიუთითებს [ხიდაშელი მ. 2010 : 204]. ამ მდიდარი ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბებული ქართული მსოფლხედვა განსაზღვრავს შუა საუკუნეების კულტურის ხასიათს.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება რა მითოსური ცნობიერებით განპირობებული სამყაროს მთლიანობის აღქმის რღვევის პროცესი, კულტურათა გავრცელების არეალი მცირდება, ხდება მისი ლოკალიზება, ძირითა-

დად, ეთნიკური ნიშნით. ირღვევა რა კოლექტიური ცნობიერება, ყალიბდება მხატვრული სტილის ნიშნები. არქაული კულტურისთვის დამახასიათებელი მენტალური ველი სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ცალკეული სახეები, ორნამენტული მოტივები ქმნიდა გარკვეულ სტრუქტურებს, სემიოტიკური დატვირთვის მქონე „ტექსტებს“, რომელთა საშუალებით გადმოიცემოდა ადამიანის ზოგადი წარმოდგენა სამყაროსა და მის აგებულებაზე. თანდათანობით გრძნობად-კონკრეტული აღქმის შედეგად შექმნილ გამოსახულებებს ცვლის პირობითი, ორნამენტული თუ სახოვანი განზოგადებული დეკორატიული სისტემები.

ამგვარად, ადრეკლასობრივ საზოგადოებაში შენარჩუნებულია წინა ეტაპზე ჩამოყალიბებული სიმბოლოები, სიმბოლური შინაარსის კონსტრუქციები, მაგრამ იცვლება მათი ვიზუალური სახე, ყალიბდება გადმოცემის სრულიად ახლებური მხატვრულ-სტილური მანერა, რომელიც განპირობებულია კონკრეტული საზოგადოების ინდივიდუალური მენტალობით. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კონკრეტული სოციალური უმთავრესი იდეა აკუმულირებულია განსხვავებული მასალისა და ფუნქციის მატერიალური კულტურის ძეგლებში.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში მთელ კავკასიაში (სამხრეთით – ირანის თალიშსა და ლენქორანის, ჩრდილოეთით კი – ყოზანის ჩათვლით) იქმნება ხელოვნების ნიმუშთა ერთი წრე, რომლის დამახასიათებელ სტილს, პირობითად, „კავკასიურ გრაფიკულ სტილს“ უწოდებენ. კავკასიის ხალხების რელიგიურ-მითოსურ წარმოდგენებში შესაძლებელია, გამოიყოს ის უძველესი საერთო კავკასიური სუბსტრაქტი, რომელიც აისახა კავკასიურ „ცხოველურ სტილში“ და განაპირობა მისი ერთიანობა [ხიდაშელი მ. 1987:135]. ბრინჯაოსგან დამზადებული ამ არტეფაქტების არსებობის არეალი ძვ.წ. XI-VI სს-ით განისაზღვრება. სწორედ ამ მასალის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადრეანტიკური ხანის სარიტუალო ფუნქციის მქონე ბრინჯაოს ზოომორფული გამოსახულებების ერთობლიობა. შედარებით იშვიათია ანალოგიური თე-

მატიკისა და ფუნქციის, მაგრამ განსხვავებული მასალისგან – კერამიკისგან დამზადებული არტეფაქტები. სწორედ ამის მაგალითია უფლისციხეში მოპოვებული თუნის მასალა. დ. ხახუტაიშვილი აქ არსებული თიხის შემადგენლობის ანალიზისა და სხვა ძეგლებთან (მცხეთა, სამადლო, ხოვლეგორა...) შეჯერების საფუძველზე მიუთითებს მის მაღალ ხარისხზე კერამიკის წარმოებისთვის [ხახუტაიშვილი დ. 1970:93].

უფლისციხის მიმდებარე ერთ-ერთ ხევში, ყათლანხევის ბორცვზე, განთავსებული იყო სამოსახლო და სამლოცველო. ეს უკანასკნელი შედგებოდა ოთხი ძეგური სათავსოსგან. მოძიებული განათხარი მასალის ანალიზის საფუძველზე, დ. ხახუტაიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ნაგებობა დიდი დედა ნანას (მზექალი, ბარბაღი) სამლოცველო უნდა იყოს. როგორც ცნობილია, ასტრალური პანთეონის ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურზე მზეს შეერწყა დიდი დედის (დედაუფლის) კულტი. ამიტომ მზე უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა [სირაძე რ. 1984: 122]. დ. ხახუტაიშვილი სამლოცველოში მოძიებულ მასალას დიდი დედის – მზის კულტს უკავშირებს, რომელმაც შემდეგ ქალღვთაების (მზექალის) ანთროპომორფული სახე მიიღო. იგი თვლის, რომ აქ საქმე გვაქვს მზის კულტის საკმაოდ განვითარებულ საფეხურთან; თავად სამლოცველო კომპლექსის ყველა სათავსოში კი წარმართული პანთეონის ამ მრავალსახოვანი ღვთაების ერთი ან რამდენიმე ატრიბუტია წარმოდგენილი [ხახუტაიშვილი დ. 1964:22].

პირველ სათავსოში განთავსებული იყო დიდი დედა ნანას მონითალო – ვარდისფერი თიხის ჰორელიეფური გამოსახულება, რომლის თვალები ინკრუსტირებულია ობსიდიანით (ტაბ. CXXXVIII₁). ღვთაების გარდა, სალოცავში იყო შესანიშნავი მიტანილი ნივთები – თიხის საბეჭდავი სვასტიკის გამოსახულებით (ტაბ. CXXXVIII₂), ხარის დაზიანებული ფიგურა (ტაბ. CXXXVIII₃), მოზერის თავის თიხის მოდელის ნატეხი, ჭურჭლის ნატეხებისგან დამზადებული დისკოები, ურმის თვლის მოდელი (ტაბ. CXXXVIII₄) და სხვ. აქვე ჩაჭრილი იყო ორი მცირე ზომის ორმო (ხაროების იმიტაცია).

მეორე სათავსოში აღმოჩნდა თიხის ბევრი დისკო, ურმის ბორბლის მოდელი, თიხის მცირე ზომის ჭურჭელი. იატაკზე ამოკვეთილი იყო ნაცრით სავსე უმცირესი რამდენიმე ათეული ორმო.

მესამე სათავსოში დადასტურებულია ხარის თავებით შემკული ე. წ. ხოვლური ტიპის ღუმელის ნაშთები და სავარძლის ფორმის საკურთხეველები. მის იატაკში კი ჩადგმული იყო დახვეწილი ფორმის შავპრიალა ვაზა, რომელსაც დისკოს ფორმის რიყის ქვის სარქველი ეხურა.

მეოთხე სათავსოში ამოკვეთილია დამწვარი ძვლებითა და ნაცრით შევსებული ღრმა ორმოები, ცხოველთა (ძაღლის, ხარის, ძროხის, თხის, ირმის, ჯოჯოს) სილუეტური გამოსახულებანი, მცირე ზომის ქანდაკებების (ხარის, ცხვრის) ფრაგმენტები, კერამიკის ჭურჭლის ნიმუშები, ურმის თვლის თიხის მოდელები, დისკოს ფორმის რიყის ქვები და სხვ.

საცხოვრისებში განლაგებული საკურთხეველების წინ დიდი რაოდენობით იყო დალაგებული ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები, ხელსაფქვავეები, სანაყები, ურმის თვლის მოდელები, მეტალურგიასთან დაკავშირებული ხელსაწყოები. როგორც ჩანს, სპეციალური რიტუალის შესრულებით ხდებოდა მათი საკრალიზაცია.

საინტერესო მასალაა გამოვლენილი ნასოფლარ ბამბებშიც. აქ დადასტურდა უწყვეტი ცხოვრების კვალი ძვ.წ. VII ს-დან ახ.წ. III-IV ს-მდე. გათხრების შედეგად გამოიკვეთა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები – მხატვრული კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, საყურეები, მინის მრავალნახნაგა საბეჭდავები და ა.შ.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ, თანადროული სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, უფლისციხის ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შედეგად მიკვლეული არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი საკულტო-სარიტუალო დანიშნულებისაა.

რაც შეეხება უფლისციხის კერამიკის მხატვრული სტილის ზოგად ნიშნებს, მათგან განსაკუთრებული გამომსახველობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება კარგად განლეპილი თიხისგან დამზადებული გაპრიალებულზედაპირიანი ნაწარმი, რომლისთვის ხანდახან გამოყენებულია საღებავი. თემატურად მასალა მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც ფიგურული გამოსახულებები – მუსიკოსები, გრიფონი, ცხენი, ვერძი, ხარი, ირემი, გარეული თხა, ასევე მცირე ზომის ჭურჭელი – რიტონები, ჯამები, ფიალები, სასმისები, დოქები, რომლებიც მოიცავს პერიოდს ძვ.წ. II ათასწლეულის მიწუ-

რულიდან ახ. წ. I-III სს-მდე.

ნაქალაქარის ტერიტორიასა და მის შემოგარენში გამოვლენილი კერამიკის უმდიდრესი მასალა მიეკუთვნება სამ ქრონოლოგიურ ჯგუფს: ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს – I ათასწლეულის დასაწყისს; ძვ.წ. VII-VI სს-ს; ძვ.წ. IV ს-ს. – ახ. წ. I ს-ს. შესაბამისად, გამოიკვეთა ნაქალაქარის სხვადასხვა უბანსა და ქრონოლოგიურ ეტაპზე დამზადებული საკულტო-სარიტუალო არტეფაქტების სამი ლოკალური ჯგუფი, რომლებიც თემატურად და მხატვრული სტილის თვალსაზრისითაც ერთგვაროვანია. აქედან გამომდინარე, ამ ჯგუფებს განვიხილავ არა დროსა და სივრცეში ჩაკეტილ სტატიკურ მოვლენად, არამედ როგორც უწყვეტი პროცესის ცალკეულ ეტაპს. ამავე დროს, კულტურას აღვიქვამ როგორც ცოცხალ, ორგანულ მთლიანობას და არა როგორც ცალკეული ნიშნით შექმნილი ჯგუფების მექანიკურ ერთობლიობას. სავარაუდოდ, უფლისციხეში მოპოვებული თუნის შესანიშნავი ნაწარმი ადგილობრივ სახელოსნოშია დამზადებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მათ შორის ბევრი ისეთი ნივთია, რომელიც ქართლის სხვა ძეგლებზე არ გვხვდება. შედარებით ცოტაა იმპორტული ან ადგილზე დამზადებული მისი მინაბადი არტეფაქტი.

პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებულია სალოცავში შესანიშნავი მიტანილი დიდი რაოდენობის საგნები. აქ აღმოჩენილი ჭურჭლის დიდი ნაწილი მომცროა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სამლოცველოს მესამე სათავსოს თიხის იატაკში ჩადგმული დახვეწილი ფორმის შავპრიალა ვაზა (ჭურჭელში ეყარა ყურძნის ნიპნაპები და ფშატის კურკები) და სკულპტურული ფიგურები (ნაკლული, ძირითადი ნაწილი დამზადებულია მინარევიანი თიხისგან).

შემდეგ ეტაპზე იცვლება თუნის ნაწარმის ხასიათი: თიხის სტრუქტურა, კეცი უფრო უფრო თანაბარი ფერისა და სისქის ხდება; ჩნდება წითელკეციანი პროფილირებული ფორმები; იწყება ანგობის გამოყენება და ჭურჭლის ზედაპირის გაპრიალება სწრაფმბრუნავ ჩარხზე. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა ის სტილური თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია უფლისციხეში მოძიებული არქეოლოგიური მასალისთვის [ხუნდაძე ნ. 2007:3].

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის თვალსაჩინო ნიმუშია ჩანგზე დამკვრელის თიხის მო-

მცრო ფიგურა (ტაბ. CXXXVIII₅). იგი აღმოჩნდა ადგილ ბამბებში, ერთ-ერთი ნაგებობის იატაკის ქვეშ, იმ ფენაში, რომელშიც ჩაშვებულია ძვ.წ. IV ს-ის სამარხები. მოგვიანებით მის სიახლოვეს ნაპოვნია ამავე ზომის მეორე ფიგურა, რომელსაც, სავარაუდოდ, ხელში დოლი უჭირავს (ტაბ. CXXXVIII₆). ანალოგიურ თემაზე შექმნილი ბრინჯაოს ფიგურა ცნობილია ყაზბეგის განძიდან [ნითლანაძე ლ. 1976:40]. მიუხედავად იმისა, რომ უფლისციხური ფიგურები ნაკლულია, ორივე თვითკმარია და აკმაყოფილებს მრგვალი სკულპტურისთვის დამახასიათებელი ნიშნების ყველა პარამეტრს. ამ მასალის განხილვისას დ. ხახუტაიშვილი ვარაუდობს, რომ უფლისციხელი მუსიკოსის ფიგურა, ყაზბეგის განძის მეჩანგის ანალოგიურად, გარკვეული კომპოზიციის ნაწილია [ხახუტაიშვილი დ. 1989: 55]. ვფიქრობ, რომ ამ ფიგურის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები მაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ის დამოუკიდებელი სკულპტურაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ე.წ. გრავიორის სამარხიც (ძვ.წ. IV ს.). აქ წარმოდგენილი იყო ძვალსა და ქვაზე კვეთის ოსტატის როგორც სამუშაო, ისე ხელოსნური პროდუქციის დასრულებული ნიმუშები და ნახევარნამზადები (მიცვალებულის მკერდის წინ აღმოჩნდა ცხოველების 165 ფალანგა. მათი ნაწილი სიგრძივად, ნაწილი – განივადაა გახვრეტილი. მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის ნიმუშები სრულად არაა დამუშავებული, მონიშნულია მხოლოდ ნახვრეტის ადგილი). აქვეა აღმოჩენილი ძვლის ხუთი ფირფიტა. აქედან ორი ნახევარნამზადია. კარგად გაპრიალებულ ერთ ფირფიტაზე ამოკვეთილია ტახის გამოსახულება, მეორეზე კი გრავირებულია გარკვეული სიუჟეტი – ბატს (?) მიდევნებული მელია (ტაბ. CXXXIX₇).

უფლისციხეში ყველაზე მრავლადაა გამოვლენილია ელინისტური ხანის მასალა. ამ პერიოდის ქართულ კულტურას საფუძვლად უდევს სამი საწყისი: მყარი ადგილობრივი ტრადიციები, ელინისტური სიახლენი და აქემენიდური ირანის უმდიდრესი (თუმცა, რამდენადმე ელინიზებული) მემკვიდრეობა, ე. ი. ახასიათებს ეროვნული, დასავლური და აღმოსავლური საწყისების სინკრეტიზმი, რაც შემდგომ ქართული კულტურის ერთიანი მოდელის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა [სანიკიძე თ. 2002: 197] და რაც ასევე დასტურდება ამავე პერიოდში უფლისცი-

ხეში მიმდინარე პროცესების ხასიათში. ამ ეტაპზე უფლისციხის კერამიკა იყოფა ორ დიდ ჯგუფად – ნითელ და შავკეციან ნაწარმად. მკვეთრად იცვლება თუნის ნაწარმის გარეგნული იერი, თავს იჩენს სარკისებურზედაპირიანი ჭურჭელი, შემკული წნეხვით გამოყვანილი სხივებითა და ზოლებით, ჩნდება რელიეფური და ნაკანრი სახეებით დეკორირებული ნითელი და შავი ფერის ზოომორფული გამოსახულებებიც. ამ არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი სარიტუალო დანიშნულებისაა. განსაკუთრებით მრავალფეროვანია რიტონები და რიტონისმაგვარი ჭურჭელი [ხუნდაძე ნ. 2010:61-68].

განსაკუთრებით საინტერესოა რიტონისმაგვარი ჭურჭლის ფრაგმენტები, შემკული რელიეფური ზოომორფული გამოსახულებებით. შავპირალა, სარკისებურზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხებზე შემორჩენილია გარეული თხის (ტაბ. CXXXIX_გ), დატოტვილრქებიანი ირმის (ტაბ. CXXXIX_დ), სპილოს თავის გამოსახულება (ტაბ. CXXXIX_ი). მოცემული ფრაგმენტები დათარიღებულია ძვ. წ – ის III-II სს-ით [ხუნდაძე ნ., ახალაია ლ. 2015:23].

რელიეფურგამოსახულებიანი ფრაგმენტების თანადროულია თიხისგან გამოძერწილი ზოომორფული ფიგურები: ღია ვარდიფერკეციანი, ნითლად შეღებილი ცხვრის ფიგურა (ტაბ. CXXXIX_ი); ღია ნითელი, გაპრიალებული თიხის დარახტული ცხენი (ტაბ. CXXXIX_ი); მოყავისფრო – მოვარდისფრო ცხვრისა და ცხენის ფიგურები (ტაბ. CXL_{13,14}).

თვალსაჩინოა განსხვავება თიხისგან გამოძერწილ ზოომორფულ ფიგურებსა და ჭურჭლის ფრაგმენტებზე შემორჩენილ რელიეფურ გამოსახულებებს შორის. პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის კუთვნილ პირობით გამოსახულებებს ჩაენაცვლა რეალისტური ზოომორფული ფიგურები, გამოძერწილი ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე; ფორმა მთლიანი და განზოგადებულია, რაც მათ მონუმენტურ იერს ანიჭებს; გამოკვეთილია მასალის ფაქტურა; მათი განწყობა მშვიდი და განონასწორებულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოსახულებები ნაკლებია, მნახველს მათი შესრულების სტილსა და ხასიათზე სრული წარმოდგენა ექმნება. სრულიად განსხვავებულია შავპირალა, სარკისებურზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხებზე მოცემული რელიეფური გამოსახულებების სტილი: თუ სკულპტურული ფიგურების შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება მთლიან, განზოგადებულ ფორმას, რელიეფურ გამოსახულებებში წინა პლანზე გამოდის ხაზი, ფიგურის სილუეტი; თავს იჩენს სტილიზაციის ნიშნები; არ აღიქმება მასალის ფაქტურა; ჭურჭლის ნატეხის პროფილი განაპირობებს გამოსახულების სილუეტის ხასიათს. გამომდინარე იქიდან, რომ შავპირალა, სარკისებურზედაპირიანი თიხის ჭურჭელი ვიზუალურად ლითონის ასოციაციას იწვევს, შესაბამისად, შეიცვალა რელიეფური გამოსახულების ხასიათიც. იგი არ არღვევს ჭურჭლის ზედაპირს; რელიეფი და სიბრტყე ურთიერთგანმსაზღვრელი მოცემულობებია. თვალსაჩინოებისთვის: თუ ერთ-ერთ ნატეხზე მოცემულ გარეული თხის რელიეფს შევადარებთ ბრინჯაოს (კოლხური ცული, ჭვირული ბალთა) მარტივ ზოომორფულ გამოსახულებებს, დავინახავთ მნიშვნელოვან კომპოზიციურ მსგავსებას (ტაბ. CXXXIX_გ; ტაბ. CXL₁₅).

ცალკე უნდა გამოვყოთ ადგილ ბამბების ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხარის თავისა და ყელის ნაწილი (რიტონის ნაწილი?), (ტაბ. CXL₁₆), რომელიც დამზადებულია შავპირალა, სარკისებურზედაპირიანი თიხისგან (ძვ.წ. IV-III სს.); აქვს კარგად გამოკვეთილი ნაკვთები; ერთი რქა მოტეხილია; შუბლზე ამოღარულია სამკუთხედი; მსხვილ, მასიურ კისერზე შემოუყვება ორი ჰორიზონტალური ზოლი, რომელთა შორის ჩასმულია სამკუთხედების რიგი. სავარაუდოდ, განხილული ფიგურა გარდამავალი ნიმუშია II და III ქრონოლოგიურ ჯგუფებს შორის. ერთი მხრივ, განწყობით, მოდელირების ხასიათით, განზოგადებული ფორმით იგი მეორე ჯგუფში გაერთიანებული არტეფაქტების ანალოგიურია. ამავდროულად, მასალის დამუშავების თვალსაზრისით, იგი III ქრონოლოგიურ ჯგუფში წარმოდგენილი გამოსახულებების ნაწილია.

1977/78 წლებში ნაქალაქარის ცენტრალური უბნის ტერიტორიაზე, ხევში, კრამიტით გადახურულ, თიხატკეპნილი იატაკის მქონე შენობაში, 6 მ – ის სიღრმეზე, ხის ყუთში აღმოჩნდა განძი. შავი ლაქის არსებობამ თავიდანვე გამოკვეთა სწორკუთხა ყუთის ზომები (120×80 სმ). ის ხარის ჩლიქების ფორმის ოთხ ფეხზე (ბრინჯაო) მდგარა. სავარაუდოდ, ზემოდან ბამბის თხელი ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული, რომლის მცირე ფრაგმენტები მიმოფანტული იყო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ქსოვილი შემკულია ოქროს ძაფებით. ოქრომკედის ნაშთები

შემორჩენილია მცირე რაოდენობით. ქსოვილის ოქროს ძაფებით შემკობა აღმოსავლური ტრადიციაა. ოქროს ძაფი წვრილი მავთულია, მიღებული თხელი, ვიწრო ფირფიტის დაგრეხვის შედეგად [ჭყონია ა. 1981:89]. გაირკვა, რომ იატაკის მოზრდილი მონაკვეთი მოფენილი იყო სხვადასხვა სახის ოქროს სამკაულით. სავარაუდოდ, ყველა ისინი ამ ქსოვილზე იყო დაკერებული. ყუთში ელაგა ტერაკოტის ქანდაკება, ბრინჯაოს ზარაკები, ძვლის ფალანგები, მცირე ზომის სხვადასხვა სახის ჭურჭელი, თიხის ბურთი, პიქსიდები, სითხის სასხურებელი თეთრზოლიანი ფრინველის გამოსახულება, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის, პასტისა და მინის სამკაულები, ცვარათი შემკული მოძრავ-საკიდიანი, ოქროს წყვილი საყურე (ტაბ. CXL₁₇) [სანიკიძე თ. 2002:201]. ყუთის გარშემო მიმოფანტული იყო დაღარული და სადა მილაკები (ტაბ. CXL₁₈), მძივები; ქსოვილზე დასაკერებელი ექვსფურცლიანი ვარდულები (ტაბ. CXL₁₉); ღილაკები, რომელთა ცენტრი მონიშნულია ბურცობით და რომლის გარშემო განლაგებულია რვა ნახვრეტი, ხოლო თავად ღილაკების კიდეებს შემოუყვება 15 სფერული მარცვალი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილია პროტექტორიანი ბორბლის მოდელი (ტაბ. CXL₂₀). ქსოვილზე დასაკერებელი არტეფაქტია წყვილი ფირფიტაც, მოჩარჩოებული სავოლუტე ორმაგი ბაფთებით, რომელთა ცენტრალური არეები შემკულია ვარდულებით (ტაბ. CXL₂₁), [ყიფიანი გ. 2000:74-82]. აქვე აღმოჩნდა პალმეტისებური ოქროს ფირფიტა (სურ. CXL₂₂). საინტერესო საიუველირო არტეფაქტი-ღილაკები გამოვლინდა ყათლანისხევის პირველ სამარხში (ტაბ. CXL₂₃).

ამგვარად, უფლისციხესა და მის შემოგარენში ძვ. წ-ის XI-X- ახ.წ-ის I-III სს-ით დათარიღებული არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მათი როგორც თემატური და ტექნოლოგიური ხასიათის ზოგადი ნიშნები, ისე მხატვრული სტილის თავისებურებანი:

საკულტო-სარიტუალო არტეფაქტების მრავალრიცხოვნება (ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებები);

ძირითადი მასალის- თიხის დამუშავების ტექნოლოგია ყოველ ახალ ქრონოლოგიურ მონაკვეთზე რთულდება: იცვლება თიხის სტრუქტურა, დაიწყეს წითელი საღებავის, ანგობის გამოყენება და ჭურჭლის ზედაპირის გაპრიანება სწრაფმბრუნავ ჩარხზე;

საწყის ეტაპზე არსებულ სქემატიზმს ჩაენაცვლა ფიგურული გამოსახულების რეალისტური ხასიათი;

დეტალიზაციისა და აბსტრაქტიზმის მინიმალური ხარისხი;

განზოგადებული ფორმებისთვის დამახასიათებელი მონუმენტალიზმი;

მრგვალი სკულპტურისა და რელიეფის განსხვავებული ხასიათი;

განძის კუთვნილი არტეფაქტების თემატური კავშირი ყათლანისხევის სამლოცველოს პირველი სათავსოს ინვენტართან.

გამოყენებული ლიტერატურა

ხიდაშელი მ. ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები. კრებული- საქართველოს ძველი კულტურის საკითხები. თბ., 2010.

ხიდაშელი მ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში. თბ., 1987.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე II. თბ., 1970.

სირაძე რ. ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის. ჟურ. ცისკარი, 1984. № 6,7.

სირაძე რ. წმინდა ნინო და დედაუფალი (ქართული წარმართული პანთეონის რეკონსტრუქციისათვის). ჟურ. მნათობი. 1985. №2.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I. თბ., 1964.

ხუნდაძე ნ. უფლისციხე. კატალოგი. თბ., 2007.

ნითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1976.

ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე - ქალაქი კლდეში. თბ., 1989.

ხუნდაძე ნ. საკულტო - სარიტუალო ჭურჭელი უფლისციხიდან, არქეოლოგიური ჟურნალი. V. 2010.

სანიკიძე თ. უფლისციხე. თბ., 2002.

ყიფიანი გ. უფლისციხის კლდოვანი სამარხი. არქეოლოგიური ჟურნალი. I. 2000.

13. ჭყონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VI. თბ., 1981.

14. ხუნდაძე ნ. უფლისციხე. კატალოგი. თბ., 2007.

ტაბულაჰის აღწერა

ტაბ. CXXXVIII

1. ღვთაების ჰორელიეფური გამოსახულება. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურული - I ათასწლეულის დასაწყისი
2. საბეჭდავი სვასტიკის გამოსახულებით. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურული - I ათასწლეულის დასაწყისი
3. ხარის გამოსახულება. ნაკლული. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურული - I ათასწლეულის დასაწყისი
4. ბორბლის მოდელი. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურული - I ათასწლეულის დასაწყისი
5. ჩანგზე დამკვრელის ფიგურა. ნაკლული. ძვ.წ. VII-VI სს.
6. დოღზე დამკვრელის ფიგურა. ნაკლული. ძვ.წ. VII-VI სს.

ტაბ. CXXXIX

7. ძვლის ფირფიტა მელიისა და ბატის გამოსახულებით. ძვ.წ. IV საუკუნე
8. გარეული თხის რელიეფური გამოსახულება. ჭურჭლის ფრაგმენტი. ძვ.წ. III-II სს.
9. დატოტვილრქებიანი ირმის რელიეფური გამოსახულება. ჭურჭლის ფრაგმენტი. ძვ.წ. III-II სს.
10. სპილოს თავის რელიეფური გამოსახულება. რიტონის ფრაგმენტი. ძვ.წ. III-II სს.
11. ცხვრის ფიგურა. ძვ.წ. III-II სს.
12. დარახტული ცხენის გამოსახულება. ნაკლული. ძვ.წ. III-I სს.

ტაბ. CXL

13. ცხვრის ფიგურა. ფრაგმენტი. ძვ.წ. III-I სს.
14. ცხენის გამოსახულება. ძვ.წ. III-II სს.
15. კოლხური ბრინჯაო (ცული და ბალთა). ძვ.წ. IX - ახ. წ. II სს.
16. ხარის თავი და ყელი. ფრაგმენტი. ძვ.წ. IV-III სს.
17. ოქროს საყურე. ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა

ტაბ. CXLI

18. ოქროს მილაკები (807 ცალი). ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა
19. ოქროს ვარდულები. ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა.
20. ოქროს ღილაკები (20 ცალი). ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა
21. ოქროს ფირფიტა (2 ცალი). ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა
22. ოქროს ფირფიტა. ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა
23. ოქროს ღილაკები (21 ცალი). ახ.წ. I სს-ის მიწურული - II ს.

SIGNS OF ARTISTIC STYLE OF UPLISTSIKHE ARTIFACTS

Uplistsikhe holds a special place among rock-cut monuments on the territory of Georgia. A certain part of the archaeological material, found as a result of carried out excavations in Uplistsikhe site of former settlement and its surroundings, is of cultural-ritual purpose (Tab. CXXXVII-CXLI).

In Uplistsikhe ceramics, the products with polished surface made of well-dried clay, for which in some cases is used paint, is characteristic special expressiveness and variety. Thematically the material is diverse. There are figurative images-musicians, a griffon, a horse, a ram, a bull, a deer, a wild goat as well as designs of small vessels – rhytons, jars, drinking bowls, vessels for drinking, jugs, which cover the period from the end of the II millennium BC. To the 1st-3rdcc. AD

In 1977-1978 years the treasure was found in a wooden box, in the tiled building with a rammed down clay floor, in the central area of the site of former settlement Uplistsikhe. The presence of black lacquer defined the dimensions of the rectangular box (120×80cm) from the very beginning. It stood on four bronze bull's hooves like legs. The box was, probably, covered with a thin cotton cloth, small fragments of which were scattered over a large area.

In Uplistsikhe and its surroundings, based on the analysis of the artifacts, dated back to the 11th-10thcc BC – 1st-3rdcc.AD., the general features of their material and technological nature as well as the peculiarities of their artistic style, were identified:

1. Multitude of cult-ritual artifacts (anthropomorphic and zoomorphic images);
2. Technology of clay processing of the basic material became more complicated with each new chronological period of time: changed the structure of clay; use of red paint and engobe began; the surface of pottery was polished on a fast rotating lather;
3. The sketchiness at the initial stage has been replaced by realistic character of the figurative image;
4. Minimum degree of detailing and abstraction;
5. Monumentalism characteristic of generalized forms;
6. Different character of a round sculpture and a relief;

7. Thematic connection of the belonging to the treasure artifacts with the inventory of the first storeroom of ancient chapel of Qatlanikhevi.

Description of tables

Tab. CXXXVIII

1. High-relief image of a deity. End of the II millennium-beginning of the I millennium.
2. Seal with the image of swastika. End of the II millennium-beginning of the I millennium.
3. Image of a bull. Deficient. End of the II millennium-beginning of the I millennium.
4. Wheel model. End of the II millennium-beginning of the I millennium.
5. Figure of a lyre player. Deficient 7th-6th cc. BC.
6. Figure of a drum player. Deficient 7th-6th cc. BC.

Tab. CXXXIX

7. Bone plate with the image of a fox and goose. 4th c. BC.
8. Relief image of a wild goat. Fragment of a vessel. 3rd-2nd cc. BC.
9. Relief image of a horned deer. Fragment of a vessel. 3rd-2nd cc. BC.
10. Relief image of an elephant's head. Fragment of a rhyton. 3rd-2nd cc. BC.

Tab. CXL

11. Figure of a sheep. 3rd-2nd cc. BC.
12. Figure of a horse. Deficient. 3rd-1st cc. BC.
13. Figure of a sheep Fragment. 3rd-1st cc. BC.
14. Figure of a horse. 3rd-2nd cc. BC.
15. Colchian bronze (axe and buckle). 9th c. BC- 2nd c. AD.
16. Bull's head and neck. Fragment. 4th-3rd cc. BC.
17. Gold ear-ring. 4th-3rd cc. BC.

Tab. CXLI

18. Gold tubes (807 pieces). 4th-3rd cc. BC.
19. Gold roses. 4th-3rd cc. BC.
20. Gold buttons (20 pieces). 4th-3rd cc. BC.
21. Gold plate (2 pieces) 4th-3rd cc. BC.
22. Gold plate. 4th-3rd cc. BC.
23. Gold buttons (21 pieces). End of the 1st c. AD-2nd c. AD.

ძვ.წ. IV-III საუკუნეების საოქრომჭედლო ხელსაწყო უფლისციხის ნაქალაქარიდან

უფლისციხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ქართული კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი საიუველირო არტეფაქტი, რომელთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური კვლევა უაღრესად ფასეულია მათი თანადროული სახელოსნო ტრადიციების აღსადგენად. უფლისციხეში აღმოჩენილი სამკაულები, საოქრომჭედლო სამარჯვი ხელსაწყო, სარიტუალო ნივთები თუ სხვა უკვე იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ აქ მოქმედებდა ტექნიკურად კარგად აღჭურვილი მათი დამამზადებელი სახელოსნოები. გარდა ამისა, ისინი საუკუნეთა განმავლობაში დაგროვებულ დიდ ტექნოლოგიურ ცოდნასაც ფლობდა, რადგან მათი ნაწარმი უაღრესად სრულყოფილად და მაღალმოსტატურადაა შესრულებული. თავად ამ არტეფაქტების ჩემ მიერ ლაბორატორიულად ჩატარებულმა ღრმა ტექნიკურ-ტექნოლოგიურმა კვლევამ კიდევ უფრო განმამტკიცა მოსაზრება, რომ უფლისციხეში მომუშავე ოსტატ-ხელოსნებს ძალუძდათ სხვადასხვა ამოცანის წარმატებით გადაჭრა ნებისმიერი მასალის მეშვეობით, იქნებოდა ეს შავი, ფერადი თუ ძვირფასი ლითონი. ჩემთვის, ტექნოლოგიური ტრადიციებით დაინტერესებული მკვლევრისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, გამეგრძელებინა სხვადასხვა მეტალის დამუშავების ძველი ტექნოლოგიების შესწავლა.

უფლისციხის კვლევის დიდი მოამაგე დ. ხახუტაიშვილი, განიხილავდა რა ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი მოედნის გათხრის შედეგად მოპოვებულ ნივთებს, ამბობდა, რომ „აღნიშნული მოედნის გათხრისას 6 მ სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა ადრეელინისტური ხანის სამეფო სახელოსნო, რომელიც ხანძარში დაღუპულა“ [ხახუტაიშვილი დ. 1989:27]. ივარაუდება, რომ ეს სახელოსნო ძვ.წ. III ს-ში უნდა გაენადგურებინა მტერს. აქ აღმოჩენილ მრავალ შესანიშნავ ნივთთაგან გამორჩეულია ძვირფასი ლითონის დამუშავების ურთულესი ხერხების გამოყენებით დამზადებული უნატიფესი ფურცლოვანი ოქროსა და ვერცხლისაგან

მიღებული მილაკები მძივისებრი ასხმულებითათვის; ქსოვილზე დასაკერებელი ე. წ. ვარდულები; ცვარნამითა და ფილიგრანით გამშვენებული ქამრის ბალთები თუ საყურეები; ოქროს უთხელესი ფურცლისაგან გამოწნეხილი იდეალური ფორმის ბურთულები (ტაბ. CXLII₁). ცალკე აღნიშვნის ღირსია ოქრომკედის ნიმუში (ტაბ. CXLII₂), რომელიც მეტყველებს თანადროული საიუველირო ცოდნა-გამოცდილების მასშტაბსა თუ ძირძველი ქართული მხატვრული ნაქარგობისა და საიუველირო ხელოვნების ურთიერთკავშირზე. ადგილობრივ საიუველირო სახელოსნოს არსებობის კიდევ ერთი დამატებითი და უტყუარი დასტურია ისიც, რომ მრავალ შესანიშნავ საოქრომჭედლო არტეფაქტთან ერთად გამოვლინდა დასამუშავებელი ოქროს ნახევარფაბრიკატებიც (ტაბ. CXLIII₃). ძვირფასი ლითონების დამუშავების უძველესი ტექნოლოგიების კვლევის ჩემეული მიზნიდან გამომდინარე, უაღრესად საგულისხმოდ მიმაჩნია იმის ხაზგასმაც, რომ მათი შემქმნელი ოსტატები ფლობდნენ და იყენებდნენ თევზის, ჭედვის, კვერვის, წნეხვის, ფილიგრანისა და რჩილვის ურთულეს ტექნოლოგიურ ხერხებს.

უფლისციხის არტეფაქტთაგან, მათი ფუნქციის დადგენის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რკინისაგან გამოჭედილმა ერთმა ნივთმა (ტაბ. CXLIII₄), რომელსაც დ. ხახუტაიშვილი საოქრომჭედლო ხელსაწყოდ, მინიატიურულ გრდემლად მიიჩნევდა [ხახუტაიშვილი დ. 1989:27], გ. ყიფიანი – რკინით დამზადებულ პიქსიდად [ყიფიანი გ. 2000:76], ხოლო თ. სანიკიძე რკინისაგან დამზადებულ ჩხაკუნად განსაზღვრავდა [სანიკიძე თ. 1987:26]. არტეფაქტი რკინის ორნაწილიანი, ღრუტანიანი ცილინდრია (ტაბ. CXLIV₃). პირველი, ქვედა, ძირითადი ნაწილია, ხოლო მეორე, ზედა, თავსახურია, რომელიც, როგორც ჩანს, თავის დროზე ქვედა, ძირითად, ნაწილზე იდეალურად იყო მორგებული. ამჟამად აღნიშნული რკინის ცილინდრი ძლიერ კოროზირებულია და ჭირს ნივთის ფორმის ზედმიწევნით შესწავლა, მაგრამ ძირითადი კონტურების გარჩევა მაინც შესაძლებელია.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. III ს-ში რკინის მასალა უკვე კარგადაა ათვისებული, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საკმაოდ ძვირფას და რთულად დასამუშავებელ ლითონად ითვლებოდა. ერთი შეხედვითაც საცნაურია, რომ რკინის ეს ნივთი ძალიან დაოსტატებული ხელოსნის მიერაა დამზადებული. ამას ცხადყოფს მისი კარგად გამოყვანილი ფორმები, ერთმანეთს იდეალურად მორგებული ძირითადი ტანი და თავსახურის ფუნქციის მქონე დეტალი.

მინაში ხანგრძლივი ყოფნით ძლიერ დაზიანებული ამ ნივთის ქვედა, ძირითად, ნაწილს გვერდითა, ვერტიკალურ, კედელზე ამომტვრეული აქვს მოდიდო ნაწილი, რამაც მომცა საშუალება, რომ ჭრილში დავკვირვებოდი ლითონის ამჟამინდელ მდგომარეობას. დავადგინე, რომ რკინის ცილინდრი მთლიანად შექმნილია დაახლოებით 2 მმ სისქის რკინის ნაჭედი ფურცლისაგან. ცილინდრის ფორმის მისაცემად იგი, თავდაპირველად, კარგად მოუმრგვალებიათ, შემდგომ პირი პირზე გადაუდიათ და ქურაზე გავარვარებით ეს პირები ერთმანეთზე შეუდუღებიათ ნახშირის აღმდგენი ძლიერი ცეცხლისა და ფლუსის საშუალებით. ანალოგიური მეთოდით უნდა შეექმნათ მისი თავსახურიც, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იდეალურად უნდა ყოფილიყო მორგებული ცილინდრის ძირითად კორპუსს. თავისთავად ჩნდება კითხვა, რა მიზნის მისაღწევად უნდა ჩატარებინა ოსტატს ასეთი შრომატევადი სამუშაო, რაც თანამედროვე პირობებშიც კი რთული განსახორციელებელია ამგვარი ნივთის შესაქმნელად. ვფიქრობ, დ. ხახუტაიშვილის მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს საოქრომჭედლო ხელსაწყო-სთან, სიმართლეს შეესაბამება. ჩემი ვარაუდითაც, რკინისაგან დამზადებული ეს ცილინდრული ნივთი საოქრომჭედლო სამარჯვით ხელსაწყო უნდა იყოს. გასარკვევი რჩებოდა მისი უშუალო ფუნქცია.

არქეოლოგიური გათხრებისას საკმაოდ იშვიათია საიუველირო სამარჯვით სამუშალებების აღმოჩენა. ამიტომ დ. ხახუტაიშვილის მიერ საოქრომჭედლო ხელსაწყოდ – მცირე გრდემლად ამ ნივთის ფუნქციის განსაზღვრის მცდელობა ფრიად საგულისხმოა, თუმცა, ეს მოსაზრება (სხვა თეორიულ მოსაზრებათა მსგავსად) დამატებით საჭიროებდა აუცილებელ პრაქტიკულ

გამოკვლევას. მისი ექსპერიმენტული შესწავლისა და, ამასთანავე, უძველესი ტექნოლოგიების კვლევისას, ჩემ მიერ წინამორბედი სხვა ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით [მაღრაძე ე. 2020:110-114], შესაძლებელი გახდა განმესაზღვრა აღნიშნული ნივთის ფუნქცია – ის ნამდვილად საიუველირო ხელსაწყოა, ოღონდ არა გრდემლი, როგორც ამას დ. ხახუტაიშვილი ვარაუდობდა, არამედ ოქრომკედის მისაღები უწვრილესი მავთულისა და ასევე ოქრო-ვერცხლის მინიატიურული დეტალების დასამზადებლად საჭირო ხელსაწყო – რკინის მუფელი¹ [უცხო სიტყვათა ლექსიკონი. 1973:276].

როგორც ცნობილია, ლითონის – ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის მოპოვება-დამუშავებას კაცობრიობა თავისი ევოლუციის განმავლობაში ეწეოდა. მეტიც, ისინი ადამიანის ფიზიკურსა და სულიერ განვითარებაში მონაწილე უმთავრესი ლითონებია. ჩვენს დრომდე მოაღწია ზოგიერთი ავტორის თხზულებამ, რომლებშიც ლითონთა მოპოვება-დამუშავების უძველეს ტექნოლოგიებზეა საუბარი. მათ შორისაა: აპოლონიოს როდოსელის, პეროდოტეს, თეოფილუს პრესვიტერის, გეორგ ფონ აგრიკოლას, ბენვენუტო ჩელინის, ვახტანგ VI -ისა და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც ძალზე საინტერესოდ და ხელშესახებადაა გადმოცემული მნიშვნელოვანი ცნობები უძველეს ტექნოლოგიებზე, ლითონთა ფიზიკურსა და მისტიკურ თვისებებზე. შესაბამისად, ირკვევა, რომ ამ მეტალთა, მათ შორის, ოქროს დამუშავების ტექნოლოგია ძალზე სრულყოფილად იყო ათვისებული. იგი თავისი ქიმიურ-ფიზიკური თვისებებით იძლევა მრავალგვარი გარდაქმნისა და დამუშავების შესაძლებლობას. ოქროსგან დამზადებულ უთხელეს ფირფიტებს (ე. წ. სუსალურ ოქროს) ფართო გამოყენება ჰქონდა. ოქროსგან მიღებულ პრეპარატებს კი ფერადი დეკორატიული მინების დამუშავების დროსაც ხმარობდნენ [Визир В. 1964:96] და ა. შ. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ლითონური ოქრო კარგად იჭედება, იკვერება და ინელება უწვრილესი მავთულის მისაღებად, რასაც მუდამ იყენებდნენ საიუველირო საქმეში. ძველი აღთქმის მეორე წიგნში – გამოსვლაში აღწერილია ოქრომკედის დამზადების ტექნოლოგი-

1 სახელწოდება მუფელი ლათინური წარმოშობისაა –muffla, ფრანგულად – moufle, რაც ნიშნავს დახშულ, დახურულ, ცეცხლგამძლე თიხის ან ფოლადის კამერას, რომელშიც გასახურებლად ან გამოსაწვავად ათავსებენ სხვადასხვა ნაკეთობას წვის პროდუქტების ზემოქმედებისაგან დასაცავად.

ური პროცესი [გამოსვლა. 1989:547]. ერთ-ერთი ადრეული წერილობითი ცნობა საგანგებო ხელსაწყოთა საშუალებით ოქროსაგან უწვრილესი მავთულის დამზადების შესახებ მიეკუთვნება ბენედიქტელ ბერს, თეოფილუს პრესვიტერს (XI ს.), რომლის ტრაქტატში *სხვადასხვა ხელოვნებაზე* საკმაოდ მკაფიოდაა აღწერილი განსხვავებული დიამეტრის, მსხვილიდან წვრილისკენ, მავთულის დასამზადებლად აპრობირებული, ხვერლებით დაფარული რკინის ხელსაწყო – ადიდა [Theophilus. 1979:87]. ამას გარდა, შუა საუკუნეების შემდეგაც ბევრი ავტორი მოგვითხრობს ანალოგიური ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. გაცეხას ინვეს უძველეს ხელოსანთა ოსტატობა და ცოდნა, რომელთა წყალობით მათ შეძლეს საიუველირო ხელოვნების ურთულესი ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრა, რომელთა მსგავსის განხორციელებას თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სახელოსნოებიც კი დიდ ძალისხმევას ახმარს და რთულად დასაძლევ წინააღმდეგობასაც აწყდება, მაგ., საიუველირო საქმეში ფერადი ან ძვირფასი ლითონის კვერვის, თევზის ან სხვა ოპერაციების შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპის დეფორმაცია, რომლებიც, ლითონთა კრისტალური აგებულების გამო, მის სტრუქტურაში ინვეს დაძაბულობებს, კერძოდ, ლითონის ზედაპირზე წარმოიქმნება უამრავი ქერცლი, წერტილოვანი დეფექტი და ნაბზარი [Бреполь Э. 1982:128]. მარტივად რომ ავხსნათ, ამ დროს საჭიროა, მოხდეს სანაკეთობო ლითონის ხშირი დამუშავება სათანადო ტემპერატურული პროცედურებით, რათა ლითონის სტრუქტურაში ურთიერთჩაჭედილი კრისტალები კვლავ დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას, რომლის შედეგი იქნება ლითონის სტრუქტურის დარბილება. თავისთავად ცხადია, უძველეს იუველირებს ექნებოდათ ხელსაწყოები, რომელთა საშუალებით ასეთსა და სხვა საჭირო ოპერაციებს ასრულებდნენ.

საინტერესო იყო იმის გარკვევაც, რამდენად უკავშირდებოდა უფლისციხის ნაქალაქარში გამოვლენილი ორი არტეფაქტი – რკინის მუფელი და ოქრომკედის ნიმუში ერთმანეთს. ოქროს დამუშავება იმ დონეზე, რომ მისგან ოსტატმა მიიღოს ოქრომკედისათვის საჭირო ადამიანის თმის დიამეტრის მქონე მავთული (0,006 მმ, ანუ 60 მიკრონი), მოითხოვს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. ოქრო მავთულად რომ იქცეს, როგორც უკვე აღვნიშნე, ხდება

მისი გატარება მტკიცე მასალისაგან დამზადებულ სხვადასხვა დიამეტრის ხვერლებში, მსხვილიდან თანდათანობითი გადასვლით წვრილისკენ. ამ დროს ნებისმიერი ლითონის სტრუქტურაში, ვინაიდან ლითონები კრისტალური აგებულებისაა, წარმოიქმნება შინაგანი დაძაბულობა, რაც გარეგნულად მის გამყიდებაში გამოიხატება. თუ ოსტატი გააგრძელებს მავთულის განვლვას ისე, რომ არ მოახდენს ნამზადის ტემპერატურულ დამუშავებას, რაც ინვეს ლითონის კვლავ დარბილებას, აუცილებლად წარუმატებელი შედეგი ექნება. მავთულის მიღების პროცესი თანამედროვე საიუველირო სახელოსნოებშიც ამ წესის გათვალისწინებით ხორციელდება. თუმცა, არსებობს ამ ტექნოლოგიური პროცესისადმი სხვა მიდგომებიც. ზოგჯერ ზრდიან მოშვების ტემპერატურას და, შესაბამისად, ამცირებენ დროს [Марченко В. 1984:64] ან, პირიქით, ზრდიან დროს და ამცირებენ გამოწვის ტემპერატურას. ცნობილი გერმანელი მკვლევარი ერ. ბრეპოლი მიუთითებს, რომ დაძაბულობის მოხსნა უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. ასეთ შემთხვევაში სანაკეთობო ლითონი უფრო მეტად ელასტიკური გამოდის [Бреполь Э. 1982:142].

საიუველირო საქმეთა აღმწერი ავტორები ამ ოპერაციის ჩასატარებლად მუფელის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. იგი, როგორც წესი, ორნაწილიანი კამერაა, რომლის შიგა სივრცეში ათავსებენ დასამუშავებელ ნივთს. მუფელი გარედან ვარვარდება ნახშირის ცეცხლით ან ელექტროენერგიის საშუალებით. კამერის შიგნით გარეგანი ცეცხლის ან ელექტროენერგიის გავლენით მიიღება თანაბარი ტემპერატურა, რაც უნაზესი სუბსტანციის მქონე ოქროს ნივთებს არ აზიანებს. ჩემ მიერ ასეთი ტიპის ხელსაწყოებზე ადრე ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ მუფელს ადამიანი ძვ.წ. IV-III ათასწლეულებიდან იცნობს, მაგ., საქართველოში, სოფელ ურბნისთან, ტვლეპია გორაზე, არქეოლოგიურად აღმოჩენილია ამ პერიოდის თიხის მუფელი; ძვ.წ. I ს-ის რკინის მუფელი გამოვლინდა ვანის არქეოლოგიური გათხრების დროსაც [მაღრაძე ერ. 2020:110-114]. ნიშანდობლივია, რომ ამ არტეფაქტებთან, ასევე უფლისციხეში აღმოჩენილ რკინის ცილინდრული ფორმის ღრუტანიანი ნივთის ფუნქციასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა არამართლზომიერი სამეცნიერო მოსაზრება. ხშირად კი მათ მიაკუთ-

ვნებდნენ ფუნქციაგანუსაზღვრელ ნივთებს. ამ პრობლემის კვლევის დროს მნიშვნელოვანი დასაყრდენია შუა საუკუნეების ტრაქტატი, სადაც ბერი თეოფილუსი წერილობით აღწერს რკინისაგან დამზადებულ მინანქრის გამოსაწვავ მუფელს [Theophilus. 1979:127]. არაა გასაკვირი, რომ ასეთი ხელსაწყოს გამოყენება სცოდნოდათ უფლისციხეში საიუველირო საქმეში დაოსტატებულ ხელოსნებსაც (ტაბ. CXLIV). ჩემი დაკვირვებით, სწორედ ასეთი ხელსაწყოა უფლისციხეში მოპოვებული რკინის ცილინდრიც – მუფელი, რომლის გამოყენებით მიიღეს ზემოთ ნახსენები ოქრომკედის ნიმუში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თეორიული ცოდნა, მით უმეტეს, ვარაუდი პრაქტიკული ცდებით გამყარებას საჭიროებს, უწინარესად კი, მაშინ, როცა საქმე ეხება უძველესი ნივთების ფუნქციის გარკვევასა და მასთან დაკავშირებული ძველი ტექნოლოგიური პროცესების აღდგენას. ამიტომ ჩემი სამეცნიერო ვარაუდის გადამოწმების მიზნით, დავამზადე უფლისციხეში აღმოჩენილი რკინის ცილინდრის ასლი, რომლის მეშვეობით ჩატარებულმა ცდებმა დადებითი შედეგი მომცა – მივიღე ოქროს (ან ვერცხლის) მავთულისაგან ოქრომკედისათვის საჭირო ოქროს თმა იმ ტექნოლოგიურ მოთხოვნათა დაცვით, რაც დაფიქსირებული იყო ჩემ მიერ დასახელებულ ზოგიერთ წყაროში. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად გახდა შესაძლებელი თავიდან ბოლომდე გამეზარებინა მთელი ტექნოლოგიური ციკლი, რომელიც უნდა განეხორციელებინა უფლისციხელ ხელოსანს ამ ხელსაწყოს მეშვეობით ოქროს თმის დამზადებისას (ტაბ. CXLV). სარეკონსტრუქციო ექსპერიმენტულმა პროცესმა მიჩვენა, რომ ოსტატმა ოქროს თმის ჩამოყალიბების ბოლო ფაზაში ოქროს უწვრილესი მავთული, რომლის დიამეტრმა უკვე მიაღწია 0,1 მმ-ს, ანუ 100 მიკრონს, აუცილებლად თერმულად უნდა დაამუშაოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მცირე გაუფრთხილებელი მოქმედებით შეიძლება ნამზადი განყდეს. ამიტომ მას ოსტატი თითებზე ამოიხვევს, ფრთხილად შეკონავს, მოათავსებს მუფელში (ჩვენს შემთხვევაში უფლისციხური მუფელი იგულისხმება), თავსახურს დააფარებს, ხის ნახშირით ქურაზე გააღვივებს ცეცხლს, რკინის კოლოფს შიგთავსიანად მოათავსებს მოგიზგიზე ცეცხლში და აკვირდება რკინის კოლოფის ვარვარების ხარისხს. როდესაც მუფელი საჭირო ელფერის შესაბამისად

სად გავარვარდება, რაც დაახლოებით 600-650 გრადუსია ცელსიუსით (ამ დროს რკინის მუფელის ვარვარების დონე მუქი შინდისფერია), ასეთ გავარვარებულ მდგომარეობაში უნდა ამყოფოს 3-4 წუთი. შემდგომ ამოიღებს მუფელს ცეცხლიდან და გააცივებს. შეიძლება ეს პროცესი წყლის მისხმითაც დაჩქარდეს. უკვე გაცივებულ მუფელს გახსნის და მასში მოთავსებულ ძვირფასი ლითონის ხვიას ამოიღებს – იგი უკვე მთლიანად და ერთგვაროვნად, ყოველგვარი დაზიანების გარეშე, დარბილებულია და შეიძლება კვლავ გაგრძელდეს მავთულის განელვა ოქრომკედისათვის საჭირო თმის მისაღებად.

ამრიგად, ჩატარებული ლაბორატორიული ექსპერიმენტებით მიღებული დადებითი შედეგი იძლევა მეცნიერული დასკვნის გამოტანის საშუალებას: ჩემი ვარაუდი რკინის ცილინდრული კოლოფის ფუნქციის შესახებ, რომ იგი საოქრომჭედლო საქმიანობისათვის (ამ შემთხვევაში, ოქრომკედისათვის საჭირო ოქროს თმის მისაღებად) განკუთვნილი მუფელია, აბსოლუტურად დადასტურდა. აღნიშნული ფაქტი უკვე უტყუარად ცხადყოფს ძვ.წ. IV-III სს-ში უფლისციხეში ლითონთა (სპილენძი, ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი, რკინა) დამამუშავებელი ცენტრების არსებობას მდიდარი ტრადიციების მქონე მაღალტექნოლოგიურ საიუველირო სახელოსნოთა სახით. ეს კი უფრო სხვა კუთხით წარმოაჩენს კლდეში ნაკვეთ ქალაქს, რაც უფრო დამაჯერებელსა და ღირებულს ხდის უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციების საქმიანობის სამეცნიერო შედეგებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- გამოსვლისაი.** ბიბლია. წიგნი მეორე. თბ., 1989.
- მალრაძე ერ.** უძველეს ქართულ ოქრომჭედლობაში გამოყენებული ზოგიერთი ტექნოლოგიური ხერხი და ინსტრუმენტი. მოამბე. ტ. 14. თბ., 2020 (ინგლისურად).
- სანიკიძე თ.** უფლისციხე. თბ., 1987.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი.** თბ., 1973.
- ყიფიანი გ.** უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი. აუ ტ. I. თბ., 2000.
- ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე – კლდეში ნაკვეთი ქალაქი. თბ., 1989.
- Theophilus.** On Divers Arts. New York. Dover Publications. 1979.
- Бреполь Э.** Теория и практика ювелирного дела. Л., 1982.
- Визир В. А.** Керамические краски. Киев. 1964.
- Марченко В.** Ювелирное дело. М., 1984.

ტაბულების აღწერა

- ტაბ. CXLII₁.** უფლისციხის შიდა ქალაქის საუველირო არტეფაქტები. ძვ.წ. IV-III სს.
- ტაბ. CXLII₂.** ოქრომკედის ნიმუში უფლისციხის შიდა ქალაქიდან. ძვ.წ. IV-III სს.
- ტაბ. CXLIII₃.** ოქროს ნახევარფაბრიკატები უფლისციხის შიდა ქალაქიდან. ძვ.წ. IV-III სს.
- ტაბ. CXLIII₄.** უფლისციხის შიდა ქალაქში 1977 წელს აღმოჩენილი რკინის მუფელი. უ.შ.ქ. #835ა.
- ტაბ. CXLIV₅.** უფლისციხის შიდა ქალაქის რკინის მუფელის ნახაზი (შესრულებულია ერ. მაღრაძის მიერ)
- ტაბ. CXLIV_{6-ა,ბ,გ}.** საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და თეოფილუსის მიერ აღწერილი მუფელები: ა). ურბნისში, ტვლეპია გორაზე, ქვაცხელაში აღმოჩენილი თიხის მუფელი. ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრული – III ათასწლეულის დასაწყისი; ბ). ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი რკინის მუფელი – კოლხური ხუფი. ძვ.წ. I ს.; გ). თეოფილუსის (XI ს.) მიერ აღწერილი რკინის მუფელი (რეკონსტრუირებულია ერ. მაღრაძის მიერ).
- ტაბ. CXLV_{7-ა,ბ}.** ქ. გორის ლაბორატორიაში ერ. მაღრაძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები: ა). უფლისციხის შიდა ქალაქში აღმოჩენილი რკინის მუფელის ასლის გავარგარება ქურაზე ანთებული ცეცხლით; ბ). რკინის მუფელის ასლით ოქრომკედისათვის საჭირო მავთულის გამოწვის პროცესის დასასრული.

THE 4TH-3RD CC.BC. GOLDSMITH'S TOOL FROM UPLISTSIKHE SETTLEMENT

Many interesting artifacts, which came to light from the 60s of the 20th century after conducted archaeological works, in the territory of Uplistsikhe site of former settlement, were added to the history of Georgia, which belong to the first half of the I millennium BC. For me, as a researcher of ancient jewelry technologies, rather interesting are objects from the afore-mentioned archaeological finds, which came to light from the so-called territory of inner town. If we consider the technology of those items, almost all jewelry methods and means, the existence of which is abundantly confirmed from the distant past, both in the territory of Eastern and Western Georgia, we can notice them. The technical-technological research conducted by me on those artifacts in the laboratory, even more strengthened my opinion that craftsmen working in Uplistsikhe could successfully solve various tasks using any material-be it black, non-ferrous or precious metal.

Among artifacts of Uplistsikhe, special attention was drawn to a hollow cylinder forged of iron, which D. Khakhutaishvili considered to be a goldsmith's tool – a miniature anvil. Finding of jewelry implements, during archaeological excavations, is rather rare. Therefore D. Khakhutaishvili's attempt to determine the function of that item as a goldsmith's tool – a small anvil – is very significant. However, this point of view required practical investigation. During the experimental study of that object, and at the same time, carried out research of ancient technologies, taking into account the obtained information which was received as a result of conducted other previous experiments, made it possible to determine the function of the mentioned item. It really appeared to be a jewelry tool, but not an anvil, as D. Khakhutaishvili supposed it to be. It is an iron muffle – a tool necessary for processing the thinnest wire for gold and silk twine and also for producing gold and silver miniature details.

As a result of carried out experiments, it became possible to interpret, from beginning to end, to

reconstruct the entire technological cycle, which had to be implemented in the production of golden hair by a craftsman of Uplistsikhe when using that tool.

The positive result of the conducted experiment allows us to draw a scientific conclusion: my supposition concerning the function of the iron cylindrical box, which was intended for goldsmith's work (in that case for obtaining the gold hair needed for the gold and silver twine), has been absolutely confirmed.

DESCRIPTION OF TABLES

Tab. CXLII₁. Jewelry artifacts of the inner town of Uplistsikhe.

Tab. CXLII₂. Gold and silk twine sample from the inner town of Uplistsikhe.

Tab. CXLIII₃. Gold intermediate product from the inner town of Uplistsikhe.

Tab. CXLIII₄. Iron muffle found in 1977 in the inner town. UIT. N835a.

Tab. CXLIV₅. Drawing of an iron muffle of the inner town of Uplistsikhe (made by Er. Magradze).

Tab. CXLIV_{6-a,b,c}. Muffles found in the territory of Georgia and described by Theophilus: a) clay muffle found on Kvatskhela on Telepia hill in Urbnisi. End of the IV millennium – beginning of the III millennium; b) iron muffle-Colchian cover-found on Vani site of former settlement. 1st c. BC. c) iron muffle described by Theophilus – 11th c. (reconstructed by Er. Magradze).

Tab. CXLV_{7-a,b}. Experiments conducted by Er. Magradze in the laboratory of Gori: a) burning of a copy of an iron muffle found in the inner town of Uplistsikhe with fire lit on a stove; b) ending of the process of baking the wire required for gold and silk twine carried out in a copy of iron muffle.

დავით მინდორაშვილი

უფლისციხის ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა

უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გათხრებისას აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის საინტერესო არქეოლოგიური მასალა. მათგან ყურადღებას იმსახურებს შუა საუკუნეების შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ მრავალსმეტყველი არტეფაქტები. ცნობილია, რომ უფლისციხემ გამოჩენილი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანებაში. IX-XI სს-ში იგი შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი და სამეფო რეზიდენცია იყო [ხახუტაიშვილი დ. 1965:105-113], რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს უფლისციხის შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის მიმართ.

თავისი არსებობის განმავლობაში უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სისტემატურად ინმინდებოდა. ამდენად, იქ, ძირითადად, გვიანდელი შუა საუკუნეების უძრავი კულტურული ფენებია შემორჩენილი. გამოთვლილია ციხის ცენტრალური უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ე. წ. II უბანი), სადაც ძეგლის არსებობის თითქმის ყველა პერიოდია წარმოდგენილი [ხახუტაიშვილი დ. 1970:58]. ადრეული შუა საუკუნეების კულტურული ფენა გამოვლინდა ცენტრალურ უბანში, აგრეთვე მცირე კლდეკარის ორმოს გათხრებისას. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის დანარჩენ ტერიტორიაზე ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებისა და სხვა პერიოდის არტეფაქტები, უპირატესად, ურთიერთშერეულია. ამის გამო მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, ძირითადად, კარგად დათარიღებული პარალელური მასალის მოშველიებით ხერხდება.

კერამიკა. უფლისციხის ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ნაწარმი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათგან აღსანიშნავია ხელადები შუა ნაწილში შეკეცილი პირითა და ჩალარული ყელით. მათი ტანი სფეროსებრია, მხარზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევეები. ისინი წერნაქითაა შეღებილ-ნაპრიალები. ამ ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტებია აღმოჩენილი უფლისციხის სხვადასხვა უბანში. უკეთ შე-

მორჩენილი ნიმუშები დასტურდება პატარა კლდეკარის ორმოს ზედა ფენის მასალაში (ტაბ. CXLVI₁₋₂, ტაბ. CLI₁₋₂). მათი ზუსტი ანალოგები ცნობილია მოდინახეს სამაროვნიდან და ისინი თარიღდება IV ს-ით [ნადირაძე ჯ. 1975:75]. უფლისციხური ხელადები, ზოგადად, IV-V სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

განსხვავებული ტიპისაა მოჩალისფროდ გამომწვარი ხელადები წრიული პირითა და ცილინდრული, ნიბოიანი ყელით. ზოგჯერ ყური შემკულია კოპითა და ღარიტ. მხარზე შემოუყვება ამოღარული წრეები ან ტალღისებური ხაზები, კეცი თხელი და მკვრივია (ტაბ. CXLVI₃₋₆). ისინი, ძირითადად, მომდინარეობს ცენტრალური უბნის VI-VIII სს-ის კულტურული ფენიდან. აქვე გამოვლინდა სუფრის ჭურჭლის ერთი სახეობა – მოჩალისფროდ გამომწვარი, პირგაშლილი, ფართოძირიანი ჯამები. ზოგიერთს კალთაზე შემოვლებული აქვს ამოღარული სარტყლები (ტაბ. CXLVII₃). ჯამებს ეტყობა მორგვისეული ხაზების კვალი. ანალოგიური ფორმის ჯამები ცნობილია ურბნისის ნაქალაქარიდან¹.

უფლისციხის სხვადასხვა უბანში, განსაკუთრებით, ცენტრალური უბნის ადრეული შუა საუკუნეების ფენაში, მრავლადაა აღმოჩენილი სამხარეულო დანიშნულების მოზრდილი ჭურჭელი – ჩაფები. ისინი გამომწვარია მოჩალისფროდ, იშვიათად – მონითალოდ. ხასიათდება გაშლილი პირითა და მაღალი, ნიბოიანი ყელით. მხარზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევეები ან ტალღოვანი ორნამენტი. ზოგჯერ ყური შემკულია კოპით (ტაბ. CXLVI₇₋₁₀).

მსგავსი ფორმის კერამიკა ასევე მრავლადაა მოპოვებული აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე: ლოჭინში [აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962:198], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:93; სინაურიძე მ. 1966:56], ზღუდერში [ნემსაძე გ. 1969:56], არაგვისა და ივრის ხეობებში [რობაქიძე ც. 1982:81; ჯორბენაძე ბ. 1982:38] და სხვ. უფლისციხური ჩაფები, პარალელური მასალისა და სტრუქტი-

¹ ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის ურბნისის ფონდში. #490.

გრაფიული მონაცემების მიხედვით, VI-VIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ბადიები სხვადასხვა ზომისაა, აქვს ფართო პირი და დამრეცი კალთები. რამდენიმე წერნაქითაა შეღებილ-ნაპრიალები. ზოგიერთი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით, ნახევარწრეებით ან ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. CXLVI₁₁₋₁₄).

ანალოგიური ფორმის ბადიები ცნობილია: ურბნისიდან [სინაურიძე მ. 1966:50], თბილისიდან [გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961:ტაბ. 21], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1979:29], ივრის ხეობის ძეგლებიდან [ჯორბენაძე ბ. 1982:სურ. 4_{31,42}] და სხვ.

სამზარეულო ჭურჭლის ჯგუფში ერთიანდება დიდი ზომის პირგაშლილი, კალთადაქანებული ღრმა ჯამები, რომლებიც ცეცხლის ზემოქმედების გამო შებოლილია (ტაბ. CXLVII₁). ერთ-ერთი ჯამი (ტაბ. CXLVII₂) აღმოჩნდა ცენტრალური უბნის VI-VIII სს-ის კულტურულ ფენაში.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების არტეფაქტთაგან უფლისციხეში გვხვდება ხელით ნაძერწი, ე. წ. ფინჯნისებური, ნელში გამოყვანილი ჭრაქები ბრტყელი ან ამოღარული ქუსლით. მათი ზედა ნაწილი ბოლოვდება ტუჩიანი ან უტუჩო ფინჯნით (ტაბ. CXLVII_{4,5}). ჭრაქები შემკულია რელიეფური სარტყლებით ან ღრმა ნაჭდევებით.

მსგავსი ფორმის ჭრაქები გამოვლენილია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ადრეული შუა საუკუნეების არაერთ ძეგლზე [სინაურიძე მ. 1966:56-57]. აღწერილი არტეფაქტები ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს VI-VIII სს-ით დათარიღებულ ურბნისულ ჭრაქებთან.

მინა. უფლისციხის ადრეული შუა საუკუნეების მინის ნაწარმში გამოიყოფა ჭურჭელი და სამკაულები. უკანასკნელი წარმოდგენილია შავი მინის ორი ბეჭდით, რომელთაც აქვს რკალზე მცირე ზომის, ოვალური, დაბრტყელებული „ფარაკი“ (ტაბ. CXLVII₇, ტაბ. CLI₃). ანალოგიური ფორმის მინის ბეჭდები ცნობილია VIII-IX სს-ით დათარიღებული ორბეთის მინის საწარმოდან [უგრელიძე ნ. 1961:8-9].

მინის ჭურჭელში გამოიყოფა მომცრო ზომის ძირმედრეკილი ფრაგმენტი, რომლის ზედაპირი დაფარულია ოვალური ფაცეტებით. მინა მოთეთროა, გაუმჭვირვალე (ტაბ. CLI₄). ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია: ურბნისში, რუსთავში, თბილისში, მცხეთაში, ბოლნისში, სომხეთისა

თუ აზერბაიჯანის ძეგლებზე. ისინი ყველგან, ძირითადად, VI-VIII სს-ით თარიღდება [ჩხატარაშვილი მ. 1978:13-16].

მინის ნაწარმთაგან ყურადღებას იქცევს ცილინდრულტანიანი, შედრეკილძირიანი ჭურჭელი, რომელსაც ძირსა და ტანზე შემოუყვება მრგვალი და ოვალური ფაცეტები. მინა მომწვანოა, სქელკედლიანი, ბუშტულებიანი (ტაბ. CXLVII₈, ტაბ. CLI₅). ტიპოლოგიურად იგი განსხვავდება ზემოთ აღწერილი ფაცეტებიანი ჭურჭლისგან. მისი ანალოგი მოპოვებულია მდ. არმხის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ფურტოუგთან (ჩრდილოეთი კავკასია), გათხრილ სამარხში, რომელიც VIII ს-ის მეორე ნახევრითა და IX ს-ის დასაწყისით თარიღდება [Baraev M. 1983:7. სურ. 1].

ადრეული პერიოდის მინის ჭურჭელს შორის გვხვდება ერთი შედრეკილძირიანი ნიმუში, რომლის ცილინდრული ტანი დაფარულია ირიბი რელიეფური ზოლებით (ტაბ. CXLVII₉, ტაბ. CLI₆). IX-X სს-ით დათარიღებული მსგავსი ფორმის ჭურჭელი ცნობილია: რუსთავიდან, თბილისიდან, ორბეთის მინის საწარმოდან, ჩრდილოეთი კავკასიიდან, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის განათხარი ძეგლებიდან [ჩხატარაშვილი მ. 1978:26-27].

* * *

უფლისციხის ტერიტორიაზე არ შემორჩენილა განვითარებული შუა საუკუნეების უძრავი კულტურული ფენები. ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა შერეულია უფრო ადრეული ან მოგვიანო პერიოდის არტეფაქტებთან. განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკის საინტერესო ჯგუფია: დერგები – მოზრდილი ტევადი ჭურჭელი, რომელიც, საჭიროების მიხედვით, გამოიყენებოდა როგორც სითხის, ისე მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახად [არჩვაძე თ. 1969:133]. შემკულობის მიხედვით, უფლისციხურ დერგებში გამოიყოფა დატვიფრული და დაუტვიფრავი ნიმუშები.

დატვიფრული დერგები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ისინი შემკულია დაბალი რელიეფით გამოყვანილი სარტყლებით, რომლებზეც თიხის ცილინდრული საბეჭდავის მეშვეობით გამოსახულია ცხოველთა ფიგურები და მცენარეული მოტივები. დერგების ყველა ნატეხზე მოცემულია ერთი და იგივე სიუჟეტი – კურდღელს მიდევნებული ძაღლი. განსხვა-

ვება მხოლოდ კომპოზიციაში მონაწილე ფიგურების რაოდენობასა და მცენარეული ორნამენტის სხვადასხვაგვარად გადმოცემაშია² (ტაბ. CXLVII₁₁₋₁₈. ტაბ. CLI₇₋₈).

დატვიფრული დერგები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოსა (თბილისი, რუსთავი, დმანისი) და სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა ძეგლზე (დვინი, ანისი, ორენ-ყალა და სხვ.) და ისინი, ზოგადად, XI-XIII სს-ით თარიღდება [ჯაფარიძე ვ. 1956: ტაბ. IV-VII; არჩვაძე თ. 1969: 126-135; Ахмедов Г. 1959: ტაბ. VI-VII; Кафадарян К. 1982: 15. სურ. 5; Мушегян Е. 1982: ტაბ. I-XI].

უფლისციხის სხვადასხვა უბანში აღმოჩენილია დერგების წერნაქით შეღებილ-ნაპრიალები ნატეხები. ზოგიერთის ყურზე შემორჩენილია კონუსური დანაძერნი – ადამიანის თავის სტილიზებული გამოსახულება (ტაბ. CXLVII₁₉₋₂₁. ტაბ. CLI₉).

XII-XIII სს-ით დათარიღებული კონუსური დანაძერნებით შემკული სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელი გვხვდება: დმანისში [ჯაფარიძე ვ. 1956: ტაბ. III. სურ. 6], თბილისში [გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961: ტაბ. XXII. სურ. 79], დვინში [Кафадарян К. 1982: ტაბ. XVIII], ორენ-ყალასა [Ахмедов Г. 1959: ტაბ. V] და სხვ.

დაუტვიფრავ დერგთაგან გამორჩეულია წერნაქით შეღებილ-ნაპრიალები ჭურჭელი მასიური დანაძერნებით. ტანი შემკულია ნაკანრი ხაზებით, ნაჩხვლეტებითა და დაკეჭნილი სარტყლით (ტაბ. CXLVIII₁). იგი ზემოთ აღწერილი დერგების მიბაძვითაა დამზადებული და მათი თანადროული უნდა იყოს.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე მიკვლეულია მომალყოყელიანი, ნიბოდაკეჭნილი დერგების ფრაგმენტები, შემკული ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. ზოგიერთი წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. CXLVIII₂₋₅). ფორმებითა და ორნამენტით ისინი ახლოს დგას XII-XIII სს-ის დატვიფრულ დერგებთან.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე ქოთნები მრავლადაა აღმოჩენილი. ფრაგმენტების გარდა, გვხვდება მათი მთლიანი ნიმუშებიც (ტაბ. CXLVIII₆. ტაბ. CLI₁₀₋₁₂). ფორმებისა და ორნამენტის, აგრეთვე მრავალრიცხოვანი პარალელების მიხედვით, ქოთნები XII-XIII სს-ით

შეიძლება დავათარილოთ.

ხელადები მრავალფეროვანია – სამტურჩა, ტურჩაზნექილი, წრიულპირიანი და სხვ. ტურჩაზნექილ, გოფირებულტანიან ნიმუშებს პირთან აქვს „ყურისებრი“ დანაძერნები ან კოპები. ჭურჭელი ანგობითაა დაფარული ან წერნაქით შეღებილ-ნაპრიალები (ტაბ. CXLVIII₇₋₉. ტაბ. CLI₁₃).

ანალოგიური ფორმისა და შემკულობის ხელადები არაერთია ცნობილი XII-XIII სს-ის ძეგლებიდან. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია: თბილისში [გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961: ტაბ. 26₁₅₀], რუსთავში [არჩვაძე თ., ჩიკოიძე ც., ჩხატარაშვილი მ. 2005: ტაბ. XXXII₄], დმანისში [გოჩიაშვილი მ. 1977: 128], ჟინვალში [მარგველაშვილი მ. 2023: ტაბ. XXIX_{4,9-11}], უჯარმაში [ლომთათიძე გ. 1989: ტაბ. XXIX₆₆₀], თელავში [ჩიკოიძე ც. 1979: 53], კვეტერის ციხეზე [მინდორაშვილი დ. 2010: ტაბ. IX_{1076,1237}], სოფ. თრანში (ერწო) [ჯორბენაძე ბ. 1982: 91, ტაბ. XXII₆₉₀], ქვემო ქართლსა [მინდორაშვილი დ. 2013: ტაბ. III_{21,27}] და სხვ.

XII-XIII სს-ის წრიულპირიანი ხელადების ყელი ვიწროა, ნიბოიანი. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა (ტაბ. CXLVIII₁₂). ამ ტიპის ხელადებს, ამოღარული სარტყლების გარდა, დეკორი არა აქვს. ჭურჭლის მხატვრული ეფექტი დახვეწილი პროპორციებითაა მიღწეული.

მსგავსი ფორმის ხელადები ცნობილია: რუსთავიდან [ლომთათიძე გ. 1988: ტაბ. XXXI₄], დმანისიდან [გოჩიაშვილი მ. 1977: 128], უჯარმიდან [ლომთათიძე გ. 1989: ტაბ. XXVIII₆₇₃], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1979: 52], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2010: 18], ქვემო ქართლის ნახსლარებიდან [Синауридзе М. 1977: ტაბ. XXII; ბახტაძე ნ. 1991: ტაბ. XVII₁₀; მინდორაშვილი დ. 2013: 220] და სხვ.

განსხვავებული ფორმისაა მონითალოდ გამომწვარი ყელჩაღარული ხელადა (ტაბ. CLI₁₄). ანალოგიური ფორმის ყელჩაღარული ხელადები ცნობილია: ჟინვალის ნაქალაქარიდან [მარგველაშვილი მ. 2023: 36. ტაბ. XXIII₂], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2010: 19]. რუსთავიდან მომდინარე ამგვარი ჭურჭელი XIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება³ [Чикоидзе Ц., Арчвадзе Т., Чхатарашвили М. ... 1997: 109. таб. 102₂].

სუფრის ჭურჭელში გამოირჩევა ღრმა ჯამები ფართოდ გაშლილი პირით, მაღალი ტა-

2 უფლისციხური დერგის ერთი ასეთი ფრაგმენტი თავის დროზე გამოაქვეყნა ვ. ჯაფარიძემ [ჯაფარიძე ვ. 1956: ტაბ. III. სურ. 5].

3 აღნიშნული ნატეხები ფორმით, ზედაპირის შემკობითა თუ კეცის სტრუქტურით დატვიფრული დერგების ანალოგიურია. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ მათს მთლიან ნიმუშებს თავის დროზე ტვიფრული ორნამენტი აკოვბდა.

ნითა და ვინრო ქუსლით (ტაბ. CLII₂₁₋₂₂).

უფლისციხური ჯამების მსგავსი სრულად შემორჩენილი ნიმუშები აღმოჩენილია გლდანის მახლობლად გათხრილ ჯოხთანისხევის ნასოფლარში, რომლის ფუნქციონირების ბოლო პერიოდი, მოჭიქული კერამიკისა თუ მონეტების (დემეტრე II თავდადებულის 1280 წელს მოჭრილი ორი მონეტა) მიხედვით, XIII ს-ის მიწურულთ (ან XIV ს-ის დასაწყისით) თარიღდება [მურვანიძე ბ., მინდორაშვილი დ. 2019:289-293. სურ. 5₄].

სუფრის ჭურჭლის საინტერესო ჯგუფია თხელკეციანი, წმინდად განლექილი თიხის, მოჩალისფროდ ან მოვარდისფროდ გამომწვარი ორყურა და ცალყურა მინიატიურული სასმისები.

სასმისების ერთი ჯგუფისათვის დამახასიათებელია: დაბალი ცილინდრული ყელი, ოთხი „ტუჩისაგან“ შემდგარი პირი და ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი ძირი. სასმისების უმრავლესობა ზედაპირნაპრიალებია. ტანი შემკულია შიგნიდან დატანილი ნაჭდევებითა და კოპებით (ტაბ. CXLIX_{1,3}. ტაბ. CLII₂₃₋₂₄). გვხვდება სადაზედაპირიანი, უპრილო ცალელები (ტაბ. CXLIX₄).

ამგვარი სასმისები ცნობილია: რუსთავიდან [ჩხატარაშვილი მ. 1964:173], იყალთოდან [რამიშვილი რ., ჭეიშვილი გ. 1967:87]. განსაკუთრებით მრავლადაა ისინი აღმოჩენილი სიონის სამაროვანზე [რამიშვილი რ. 1970:96].

წრიულპირიან სასმისებს აქვს მკვეთრად შეზნექილი ძირი. მათთვის დამახასიათებელია: დაბალი, ცილინდრული ყელი და დაშვებული მუცელი. ზემოთ აღწერილი ჭურჭლისგან განსხვავებით, ისინი უფრო ვიწროპირიანებია. არ გამოირჩევა ზედაპირის სიპრიალითა და ორნამენტაციით. გამოწკლისია ერთი სასმისი, რომლის ზედაპირი შემკულია ნაკანრი ტალღოვანი სარტყლით (ტაბ. CXLIX₂).

დახვეწილი და მოხდენილი პროპორციებით გამოირჩევა წითელი და შავი საღებავით მოხატული ყურიანი სასმისი, რომელიც შემთხვევითაა აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ახლოს, სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე. სასმისი სრულადაა შემორჩენილი და, საფიქრებელია, რომ იგი სამარხული ინვენტარი იყო (ტაბ. CXLIX₅).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (დმანისი, რუსთავი, იყალთო, ივრის სიონი, ჟინვალი) აღმოჩენილი სადა თუ მოხატული, თხელკეციანი, ღია ფერის სასმისები XII-XIII სს-

ით თარიღდება [ჯაფარიძე ვ. 1956:21; ჩხატარაშვილი მ. 1964:176; რამიშვილი რ., ჭეიშვილი გ. 1967:87; რამიშვილი რ. 1970:96; მარგველაშვილი მ. 2023:40].

განვითარებული შუა საუკუნეების ჩაიდნისებურ ჭრაქებს ახასიათებს გაშლილი პირი და დაბალი ყელი. გამოხედილ მუცელზე აქვს საპატრუქე ლულა, ყური მიერთებულია პირსა და მხარზე (ტაბ. CXLVII₆. ტაბ. CLII₂₅). ისინი დაზიანებულია მორგვზე. იშვიათად გვხვდება ხელით ნაძერწი ცალელები.

IX-X სს-ით დათარიღებული მილიანი ჭრაქები ცნობილია ორენ-ყალადან, სადაც მათი სახელოსნოცაა მიკვლეული [Якобсон А. 1959:51]. IX ს-ით თარიღდება დვინის ცენტრალურ უბანში გამოვლენილი ჩაიდნისებური ჭრაქები [Калантарян А. 1976:ტაბ. XXVI₆₋₇]. ივრისპირის „ქვაბების“ გათხრებისას აღმოჩენილი მსგავსი ფორმის ჭრაქები თარიღდება IX-X სს-ით [მჭედლიშვილი ბ. 1977:161-162]. ამგვარი ჭრაქები შემდგომაც განაგრძობს არსებობას. განვითარებული შუა საუკუნეების ჩაიდნისებური ჭრაქები გვხვდება: კვეტერის ციხეზე [მინდორაშვილი დ. 2010:23-24], ჟინვალის ნაქალაქარზე [მარგველაშვილი მ. 2023:ტაბ. XXXIII₄₃], თბილისის კერამიკის სახელოსნოსა და დედაქალაქის სხვა უბნებში [ლომთათიძე გ. 1989ა:111; მინიშვილი მ. 1979:64; გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961:ტაბ. 29_{193-194,198-199}; ძნელაძე მ., სადრაძე ვ. 2023:42, 108]. XIII ს-ით თარიღდება ანალოგიური ჭრაქი დმანისიდან [ჯაფარიძე ვ. 1969:66]. მილიანი ჭრაქები ცნობილია რუსთავიდან [ლომთათიძე გ. 1988:ტაბ. XXXII₃], უჯარმიდან [ლომთათიძე გ. 1989:231, 275]. XII-XIII სს-ით დათარიღებული ანალოგიური ფორმის ჭრაქები აღმოჩენილია თელავშიც, სადაც ერთი მოჭიქულიცაა [ჩიკოიძე ც. 1979:55. ტაბ. VI₁].

ოთხსაპატრუქიანი ჭრაქებისათვის (2 ერთეული) დამახასიათებელია ჩაკეცილი პირები, დაქანებული კალთები და მომაღლო ქუსლი (ტაბ. CXLVII₁₀). ამ ტიპის ჭრაქი ცნობილია: არემის ნაქალაქარიდან [ჭილაშვილი ლ. 1991:ტაბ. 68], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2010:23], ქვემო ქართლიდან [გძელიშვილი ი. 1951:138], ჯოხთანისხევის ნასოფლარიდან, რომელიც არსებობას XIII ს-ის მიწურულისათვის ან XIV ს-ის დასაწყისისათვის წყვეტს [მურვანიძე ბ., მინდორაშვილი დ. 2019:289-295]. მსგავსი ფორმის მოჭიქული ჭრაქი ცნობილია თბილისის კერამიკის სახელოსნოდან, რომლის ფუნქციონირე-

ბის შეწყვეტის თარიღად მკვლევართა ნაწილი XIV ს-ს მიიჩნევს [ჯაფარიძე ვ. 1998:46-47, 53, 56; ჭილაშვილი ლ. 1999:56].

ე. წ. ნიჟარისებური ჭრაქები უფლისციხეში მცირე რაოდენობით გვხვდება (ტაბ. CLII₂₆₋₂₈). XII-XIII სს-ით დათარიღებული მოჭიქული თუ მოუჭიქავი მათი ანალოგები ჩვენში ფართოდაა გავრცელებული. ისინი აღმოჩენილია: თბილისში, რუსთავში, ჟინვალში, დმანისსა და განვითარებული შუა საუკუნეების არაერთ ძეგლზე [მინიშვილი მ. 1969:57; 1979:64; მარგველაშვილი მ. 2023:41; კოპალიანი ჯ. 2017:ტაბ. 62; მურვანიძე ბ., მინდორაშვილი დ. 2019:289-295].

ჭრაქებს შორის გამოირჩევა წერნაქით შეღებილი ერთი ნიმუში ფინჯნისებური ზედა ნაწილითა და მაღალი, წელში გამოყვანილი ვიწრო ტანით (ტაბ. CLII₂₉).

მსგავსი ფორმის ჭრაქები აღმოჩნდა ბეთლემის მონასტრის გათხრებისას [მჭედლიშვილი ბ., ნიკოლაიშვილი ბ. 1986:49-50]. ბალთანას (ხევსურეთი) სამაროვანზე გამოვლენილი ანალოგიური ჭრაქი თარიღდება XII ს-ით [რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ. და სხვ. 2004:101] და სხვ. უფლისციხურ არტეფაქტთან ახლო დგას კაზრეთის ქვედა უბნის XIV ს-ში აგებული ეკლესიისა და მის გარშემო არსებული სამაროვნის გათხრისას აღმოჩენილი ჭრაქი [Синауридзе М. 1977:25. ტაბ. VI]. პარალელური მასალის მიხედვით, უფლისციხის ჭრაქი, შესაძლოა, XIII-XIV სს-ს მიეკუთვნოს.

მოჭიქული კერამიკა. საქართველოს ტერიტორიაზე შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ადრეული ნიმუშები IX-X სს-ში ჩნდება და ისინი საკმაოდ მცირერიცხოვანია [მინიშვილი მ. 1969:13-19]. ამ პერიოდის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები უფლისციხეში სულ რამდენიმეა. მათგან აღსანიშნავია თეთრანგობიან ზედაპირზე ფერადი ნაღვენთებით შემკული ჯამები (ტაბ. CXLIX₆₋₈). მათ ანალოგები ეძებნება: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, ორენ-ყალაში, დვინსა და სხვა არაერთ ძეგლზე [მინიშვილი მ. 1969:17]

ამ პერიოდის მოჭიქული ნაწარმი გვხვდება შიშველ კეცზე მწვანე, სოსნისფერი და ანგობის თეთრი ზოლებით შემკული ჯამის სახით, რომელსაც გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. CXLIX₉). მსგავსი ორნამენტის მქონე ჯამები ცნობილია: რუსთავიდან, დმანისიდან, ორენ-ყალადან [მინიშვილი მ. 1969:13-14] და სხვ.

განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული ჯამებისათვის დამახასიათებელია: მაღალი ქუსლი, შეღარული, კოპიანი ძირი, მსხვილმარცვლოვანი თიხა, ნითლად გამომწვარი კეცი. ჯამების შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით. ორნამენტი, უმეტესად, გამოყვანილია ამოკანვრით. ჭურჭლების უმრავლესობას გადავლებული აქვს უფერული და კრიალა ჭიქური.

მოჭიქვისას, ძირითადად, გამოყენებულია მწვანე, ყვითელი, აგრეთვე თეთრი ფერის ანგობი. რაც შეეხება სოსნისფერს, იგი მეტწილად დამხმარე ფუნქციას ასრულებს და ორნამენტს წერტილებით ან ლაქებით აცოცხლებს. მრავალფერად მოჭიქული კერამიკის ნაწარმისგან გამოიყოფა მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები. გვხვდება ჯვრისა და ფრინველის გამოსახულებებით შემკული ჭურჭელიც (ტაბ. CLII₃₀₋₃₃).

ერთფერად მოჭიქული ჯამები შემკულია ამოკანვრული ხაზებით გამოყვანილი სხვადასხვა ორნამენტით; გადავლებული აქვს მწვანე (ტაბ. CXLIX₁₂₋₁₃), ცისფერი (ტაბ. CXLIX₁₀) ან სოსნისფერი ჭიქური (ტაბ. CXLIX₁₁).

ანალოგიური შემკულობის XI-XII სს-ის ჯამები ცნობილია: თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, უჯარმიდან, გუდარეხიდან [მინიშვილი მ. 1969:24-25], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1979:ტაბ. VIII], ჟინვალიდან [მარგველაშვილი მ. 2023:43], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2010:31] და სხვ.

ცალკე გამოიყოფა ანგობით მოხატული და ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული ჯამები (ტაბ. CXLIX₁₄₋₁₅). XI-XII სს-ით დათარიღებული ამგვარი ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი: თბილისში, დმანისში, რუსთავში, უჯარმაში, გუდარეხში, მცხეთაში [მინიშვილი მ. 1969:28-29], თელავში [ჩიკოიძე ც. 1979:ტაბ. VIII] და სხვ.

მრავალფერად მოჭიქულ ჯამებს შორის გამოირჩევა ჯვრისებურორნამენტის ნიმუშები. ჯამების შიდაპირი ამოკანვრული ხაზებით დაფარულია რვა სექტორად, რომლებიც შევსებულია მწვანე და ყვითელი ან მწვანე და სოსნისფერი საღებავით (ტაბ. CXLIX_{16,18}).

XII-XIII სს-ის ჯამებზე ჯვრისებური ორნამენტის გამოყვანა ფართოდ გავრცელებული მოტივია, სადაც ჯვარი ყოველთვის ყვითელია [მინიშვილი მ. 1969:33]. ამ მხრივ ორიგინალურად გამოიყურება უფლისციხური ჯამი, რომელზეც ჯვარი ცისფერი საღებავითაა გამოყვანილი

(ტაბ. CXLIX₁₇).

ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები ორი ერთეულია (ტაბ. CXLIX₁₉₋₂₀). XII-XIII სს-ით დათარიღებული ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები აღმოჩენილია სხვადასხვა ძეგლზე, განსაკუთრებით მრავლად კი – თბილისის კერამიკის სახელოსნოში [მინიშვილი მ. 1979:48].

მრავალფერად მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება თეთრ ანგობზე ფერადი სხივებით ან რგოლებით შემკული XII-XIII სს-ის ჯამები (ტაბ. CXLIX₂₁₋₂₂).

მრავალფერად მოჭიქულ ჭურჭელში საინტერესოა რტო-ყლორტოვანი ორნამენტით შემკული ჯამები (ტაბ. CXLIX₂₃₋₂₈). ანალოგიური შემკულობის ჭურჭელი, რომელიც XII ს-ის მიწურულითა და XIII ს-ით თარიღდება, მრავლად აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს განათხარ ძეგლებზე [მინიშვილი მ. 1969:37].

უფლისციხეში, ჯამების გარდა, სხვა სახის მოჭიქული ჭურჭელი იშვიათია. მათგან აღსანიშნავია მინიატიურული „საყვავილე“ დაბალი ყელითა და მკვეთრად გამოხედილი მუცლით (ტაბ. CXLIX₂₉). ამგვარი ჭურჭელი განვითარებული შუა საუკუნეების ნაწარმი უნდა იყოს და XII-XIII სს-ს შეიძლება მიეკუთვნოს⁴.

საღებავით მოხატული ჯამების ანგობიერებული შიდაპირი შემკულია არა ამოკანვრით, არამედ სხვადასხვა ფერის საღებავით. უპირატესად, გამოიყენება მწვანე და სოსნისფერი საღებავი (ტაბ. CXLIX₃₀₋₃₃).

მოხატული ჯამები ცნობილია: თბილისიდან, დმანისიდან, რუსთავიდან, უჯარმიდან, გუდარეხიდან [მინიშვილი მ. 1969:50], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1979:63], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2010:39-40] და სხვ. როგორც ფიქრობენ, ფუნჯით მოხატული ჯამები დაქვეითების გზაზე დამდგარი ხელოსნური ნაწარმია და მისი გამოყენება უნდა დაწყებულიყო

XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-დან [ჩიკოიძე ც. 1979:64; მინიშვილი მ. 1979:39].

მხატვრულობის თვალსაზრისით არ გამოირჩევა, მაგრამ საინტერესოა უფლისციხური რამდენიმე ჯამი. ჭურჭლის შიშველი კეცი მოხატულია თეთრი ანგობის ზოლებით, რომლებზეც მწვანე ჭიქურის ლაქებია დადებული (ტაბ. CXLIX₃₄). ჯამებზე კრიალა ჭიქური აღარაა გადავლებული, რის გამოც ჭურჭლის შიდაპირი ხაოიანი და უხეშია.

ანალოგიური ორნამენტით შემკული ჯამები მრავლად აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების განათხარ ძეგლებზე და მათ XI-XIII სს-ით თარიღდებიან [რამიშვილი რ. 1970:99; ჩიკოიძე ც. 1979:ტაბ. XIV]. თუმცა, ამ პერიოდის მხატვრულ კერამიკაში ამგვარად შემკული ჯამები არ დომინირებს.

ორი ჯამის უანგობო შიდაპირზე ამოკანვრულია ცხრაფურცლოვანი ვარდული, რომელიც შევსებულია მწვანე და ყვითელი საღებავით. ვარდულის კიდეები შემკულია სოსნისფერი ნერტილებით. ჭურჭლის ზედაპირი არაა დაფარული კრიალა ჭიქურით (ტაბ. CXLIX₃₅).

ორივე ჯამი ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოების დეგრადაციის ამსახველი არტეფაქტია. წინამორბედი, XI-XIII სს-ის, მოჭიქული კერამიკისაგან განსხვავებით, ეს ჯამები არ გამოირჩევა მაღალმხატვრული, დახვეწილი ორნამენტით. საფიქრებელია, რომ ისინი XIII ს-ის მეორე ნახევარში ან XIV ს-ში ჩნდება, როცა მონღოლთა ბატონობის უღელი მძიმედ დააწვა ქვეყანას და რთული ეკონომიკური ვითარება მხატვრული კერამიკის წარმოებაზეც უარყოფითად აისახა⁵.

ლითონის ნივთები. უფლისციხის შუა საუკუნეების ლითონის ნაწარმში გამოიყოფა: სამკაულები, საბრძოლო იარაღები. სამკაულთაგან აღსანიშნავია ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯური სადა, ბრტყელგანიკვეთიანი რკალით

4 სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის საინტერესო ფორმებია წარმოდგენილი კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის მიმდებარე მოედანზე, ე. წ. საწარმოო უბანში. იქ გამოვლენილი არტეფაქტები, თითქმის ყველა, სრულადაა შემორჩენილი (ტაბ. CL₁₅₋₁₈; ტაბ. CLII₁₉₋₂₀). მასალა, ზოგადად, XI-XIII სს-ით დათარიღდა [ხუნდაძე ნ. 2005:48-55]. არტეფაქტებს შორისაა ნიმუშები, რომლებიც XII-XIII სს-ს შეიძლება მიეკუთვნოთ (თხელკედლიანი, კანელურებიანი სასმისები. ტაბ. CLII₂₃₋₂₄). თუმცა, ყელჩალარული ხელადა (ტაბ. CL₁₄), პირგაშლილი, მაღალტანიანი ჯამები (ტაბ. CLII₂₁₋₂₂), რომელთა პარალელები XIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება, აგრეთვე ჭრაქების ზოგიერთი ფორმა (ტაბ. CLII₂₉), რომელთა მსგავსი ნიმუშები XIV ს-შიც გვხვდება, არ გამოირიცხავს ე. წ. საწარმოო უბნის არტეფაქტების უფრო XIII-XIV სს-ით დათარიღებას.

5 უფლისციხეში აღმოჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების მწვანე და სოსნისფრად მოჭიქული ბრტყელი კრამიტის ორი ნატეხი. მოჭიქული კრამიტები ცნობილია თბილისიდან [ლომთათიძე გ. 1955:151], მცხეთიდან [ჯღამაია ჯ. 1980:37], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2010:48-49] და სხვა არაერთი ძეგლიდან. როგორც ჩანს, კლდეში ნაკვეთი კომპლექსის აგურით ნაგები „უფლისწულის“ ეკლესია მოჭიქული კრამიტით ყოფილა დახურული.

(ტაბ. CL₁). მსგავსი სამაჯურები ცნობილია როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებიდან [Кафадарян К. 1952:113; Ибрагимов А. 1967:102]. უფლისციხური სამაჯური XII-XIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

სამაჯურის თანადროული უნდა იყოს სპილენძის ბეჭედი წნული ორნამენტით შემკული რკალითა და ექვსქიმიანი ვარსკვლავის ფორმის ფარაკით. ქიმების წვერზე მიჩრილულია ნახევარსფეროები. ვარსკვლავის ცენტრში, მაღალ თვალბუდეში, ჩასმულია მინისებური პასტის თვალი. ფარაკი შემკულია წნულებით (ტაბ. CL₂). შემკულობის მიხედვით (წნული ორნამენტი, ნახევარსფეროები), ბეჭედი ახლო დგას დმანისში აღმოჩენილ XII-XIII სს-ის ოქროსა და ვერცხლის სამკაულების ორნამენტთან [დოლაბერიძე რ. 1985:28-29].

სპილენძის მეორე ბეჭედს აქვს ოვალური ფორმის მაღალი ფარაკი, რომელზეც გამოსახულია წერტილ-წრეების ორნამენტი (ტაბ. CL₃). ბეჭედი გვიანდელი შუა საუკუნეების ფენაშია აღმოჩენილი, თუმცა, იგი განვითარებული შუა საუკუნეების ნაწარმი უნდა იყოს და, ორნამენტის ხასიათის მიხედვით, შესაძლოა, XII-XIII სს-ს მივაკუთვნოთ.

საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია რკინის ორფრთიანი ისრისპირებით (ტაბ. CL₄₋₁₁). მათ შორის ზოგიერთს ყუნწზე შემოუყვება წიბო. მსგავსი ფორმის ისრისპირები მრავლადაა მოპოვებული დმანისში, რუსთავში, ჟინვალში, გარნისში, დვინსა და სხვა პუნქტებში. ისრისპირები, ძირითადად, განვითარებული შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

მინის ნაწარმი. განვითარებული შუა საუკუნეების მინის ნაწარმში გამოიყოფა სამკაულები და ჭურჭელი. უკანასკნელი ფრაგმენტების სახით გვხვდება და მათი ფორმების აღდგენა ვერ ხერხდება. მათგან აღსანიშნავია მომწვანო მინის ჭურჭლის ძირის შედრეკილი, თხელკედლიანი ფრაგმენტი (ტაბ. CL₁₂). იგი ანალოგიური უნდა იყოს რუსთავიდან, გუდარეხიდან, დმანისიდან და სხვა ადგილებიდან ცნობილი პირფართო სასმისების ძირისა, რომელთაც მ. ჩხატარაშვილი მისეულ III ტიპში აერთიანებს და XII-XIII სს-ით ათარიღებს [ჩხატარაშვილი მ. 1978:38].

XII-XIII სს-ის სამკაულები წარმოდგენილია ლურჯი, მწვანე და თაფლისფერი მინის ხუთი სამაჯურის ნატეხით. მათგან ორი სამკუთხაგა-

ნივკვეთიანია, სადა (ტაბ. CL₁₃₋₁₄). დანარჩენები მრგვალგანივკვეთიანია, მსხვილად ან წვრილად გრეხილი (ტაბ. CL₁₅₋₁₇. ტაბ. CLII₃₅₋₃₆). სამკუთხაგანივკვეთიანი სამაჯურები აღმოჩენილია: დმანისში, თბილისში, უჯარმაში, ძველ ანაგასა [დოლაბერიძე რ. 1969:109-110] და ა. შ. გრეხილი სამაჯურებიც მრავლადაა ცნობილი საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [დოლაბერიძე რ. 1969:110-111; ჭილაშვილი ლ. 1975:58-59]. უფლისციხის სამაჯურები XII-XIV სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

უფლისციხეში აღმოჩენილია ლურჯი მინის სფერული მძივების ორი ნიმუში. მათგან ერთი ტანგოფრირებულია მეორე - ინკრუსტირებული (ტაბ. CL₁₈₋₁₉). მსგავსი მძივები ცნობილია რუსთავიდან, სიონიდან, აგრეთვე ერზოს, უჯარმისა თუ ჩრდილოეთ კავკასიის შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [რამიშვილი რ. 1970:107]. მძივები, ზოგადად, განვითარებულ შუა საუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ძვლის ნივთები. ძვლის ნივთები ორ ჯგუფად იყოფა: სამეურნეო-საოჯახო დანიშნულების ნივთებად და სამკაულებად. ცალკე გამოიყოფა ნახევარფაბრიკატები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სადგისები და საპრიალებლები, რომლებიც ტყავის დასამუშავებლად გამოიყენებოდა (ტაბ. CL₂₀₋₂₁). მსგავსი იარაღები მრავლადაა ცნობილი შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [კერესელიძე თ. 1978:17].

გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილი საინკრუსტაციო ფირფიტა, შემკული ამოკანრული ექვსფურცლა ვარდულითა და წერტილ-წრეების ორნამენტით (ტაბ. CL₂₄. ტაბ. CLII₃₈). თუმცა, შემკულობის ხასიათის მიხედვით, ფირფიტა XII-XIII სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

გათხრებისას გამოვლენილია სხვადასხვა მოყვანილობის ნაპრიალები ფირფიტები (ტაბ. CL₂₅₋₂₆. ტაბ. CLII₃₉). მსგავსი საინკრუსტაციო ფირფიტები ფართოდ გამოიყენებოდა პატარა ყუთების, ავეჯისა თუ სხვა საგნების შესამკობად [კერესელიძე თ. 1978:16].

აღსანიშნავია სამკაულსა და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: წვრილფეხა ცხოველის მალისაგან დამზადებული ტანდაფანჯრული საკიდი (ტაბ. CL₂₇); ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული საკიდი (ტაბ. CL₂₈); ნაპრიალები კვირისტავისებური ლილი, რომელსაც

ორი ნიბო შემოუყვება (ტაბ. CL₂₉); ბრტყელგანივკვეთიანი ბეჭედი-საცერული, რომელსაც ზურგი შემკული აქვს მსხვილი წერტილებით გამოყვანილი ვარდულით. ზედაპირი მთლიანად ინკრუსტირებულია (ტაბ. CL₃₀, ტაბ. CLII₄₀).

კვირისტავისებური ფორმის ღილები თუ ძვლის საკიდები მრავლადაა აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების ძეგლებზე [კერესელიძე თ. 1978:65-71]. რაც შეეხება ბეჭედს, მსგავსი ფორმის ძვლის ბეჭედი თვალბუდეზე წერტილ-წრის ორნამენტით აღმოჩენილია თბილისში, ერეკლე II-ის სახელობის მოედნის, გათხრისას და მას VI-X სს-ით ათარილებდნენ [გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961:28. ტაბ. 38]. რამდენადმე საეჭვოა თბილისური ძვლის ბეჭდის ამგვარი თარიღი. რაც შეეხება უფლისციხურ ნიმუშს, საფიქრებელია, რომ ორნამენტის ხასიათით იგი განვითარებულ შუა საუკუნეებს ეკუთვნოდეს.

ძვლის ნახევარფაბრიკატები წარმოდგენილია ბოლოგადახერხილი, ზედაპირნაპრიალები ეშვების სახით (ტაბ. CL₂₂₋₂₃, ტაბ. CLII₃₇). ამგვარად დამუშავებული ეშვები განივად იჭრებოდა თხელ ფირფიტებად, რომლებიდანაც შეიძლებოდა როგორც ბეჭდების, ისე სხვადასხვა ფორმის ფირფიტების დამზადება. ჩანს, შუა საუკუნეების უფლისციხეში ძვლის ნივთებიც უმზადებიათ. თუმცა, უფლისციხეში ძვლის ნივთების წარმოებას არ უნდა ჰქონოდა მაინცადამაინც ფართო მასშტაბი.

ქვის ნივთები. მათგან, უწინარესად, აღსანიშნავია ხელსაფქვავის ქვები (ტაბ. CL₃₁), კეერის კოხები, ქვევრის სარქვლები. აქვე გვხვდება ნაკვეთილი, კონუსის ფორმის ქვიშაქვის ორნამენტირებული კვირისტავის ნამზადი (ტაბ. CL₃₂).

ქვის საბრძოლო იარაღთაგან კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი საგანგებოდ გათლილ-დამუშავებული შურდულის ქვები და შედარებით მოზრდილი „ჭურვები“. უკანასკნელი განკუთვნილი იყო სატყორცნი მანქანებისათვის – ფილაკავნებისათვის. მათი უმრავლესობა ქვიშაქვისაა, რითაც ასე მდიდარია უფლისციხის მიდამოები. მასალიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ „ჭურვების“ უმრავლესობა უფლისციხელებს ეკუთვნოდათ, ვინაიდან საბრძოლო მოქმედებების დროს მტერს არ ექნებოდა საშუალება, ისინი ასე საგანგებოდ და გულდასმით ემზადებინათ. თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული

არაა, რომ მათი ნაწილი მტრის ნატყორცნიც იყოს.

ქვის ნივთთაგან საინტერესოა სხვადასხვა ზომის მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილი ქვიშაქვის ქვები (ტაბ. CL₃₃). მათგან ერთი ორნამენტირებულიცაა (ტაბ. CL₃₄, ტაბ. CLII₄₁). იქ აღმოჩენილია ნაწილობრივ გახვრეტილი ნიმუშებიც (ტაბ. CL₃₅). ამგვარი ქვები უფლისციხის მახლობლად, ყათლანიხევის სამლოცველოში ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გვხვდება [ხახუტაიშვილი დ. 1964:24]. შემდეგ ისინი უფლისციხის არსებობის განმავლობაში დასტურდება. როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა, გახვრეტილი საგნები როგორც ასტრალურ ღვთაებათა (მზის, მთვარის) ერთ-ერთი სიმბოლო ფართოდ გამოიყენებოდა სანესო რიტუალებში [ბარდაველიძე ვ. 1941:19-20].

ქვის ნივთთაგან აღსანიშნავია ქვიშაქვისაგან გამოთლილი საინტერესო ფორმის ორი ფიგურა (ტაბ. CL₃₆₋₃₇). ნივთები გვიანდელი შუა საუკუნეების ფენაშია მიკვლეული. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ეს არტეფაქტები უფრო ადრეულიც იყოს. ფორმა-მოყვანილობით ისინი ჭადრაკის ფიგურებს მოგვაგონებს, მაგრამ მათი ფუნქციის შესახებ გადაჭრით რაიმეს მტკიცება რთულია.

მონეტები. უფლისციხე არ გამოირჩევა შუა საუკუნეების მონეტების სიმრავლით. ციხის მოპირდაპირედ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ქვახვრელში, აღმოჩენილია განძი, რომლიდანაც ვერცხლის ათი მონეტა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვდა [ანთაძე მ. 1986:122]. ისინი მოჭრილია 1027 წელს თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის სახელით. მ. ანთაძის აზრით, ეს მონეტები უნდა იყოს იმ ხარკისათვის გაღებული თანხის ნაწილი, რომელსაც XI ს-ში თბილისის ამირა უხდიდა გაერთიანებული საქართველოს მეფეს. შემდეგ კი რალაც მიზეზის გამო ეს ფული განძად იქცა [ანთაძე მ. 1986:124].

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შუა საუკუნეების მონეტათაგან ყველაზე ადრეულია 1174 წელს გიორგი III-ის (1156-1184) მიერ მოჭრილი სპილენძის ფული. ქრონოლოგიურად მომდევნოა თამარის (1184-1213) მონეტა (ტაბ. CLII₄₂). სპილენძის ერთი მონეტა მოჭრილია 1254-1257 წლებში მანგუ ყაენის სახელით (ტაბ. CLII₄₃). XIV ს-ის 60-იან

ნლებშია მოჭრილი ჯალაირიდ შეიხ ოვეისის ვერცხლის მონეტა (ტაბ. CLII₄₄). XIII-XIV სს-ს განეკუთვნება ტრაპიზონის იმპერატორ იოანეს გამოსახულებით შემკული ვერცხლის მონეტა – კირმანეული თეთრი⁶ (ტაბ. CLII₄₅). სპილენძის რამდენიმე მონეტა არ ისაზღვრება.

საინტერესოა, რომ უფლისციხეში აღმოჩენილია XIII ს-ის მეორე ნახევრის, XIII-XIV სს-ის, XIV ს-ის მეორე ნახევრის (მანგუ ყაენი, კირმანეული თეთრი, ჯალაირიდი შეიხი ოვეისი) მცირე რაოდენობის, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მონეტები. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, უფლისციხე „იყო ქალაქი ჩინგიზამდე“ [ქართლის ცხოვრება. 1973:366₁₄]. მართალია, მონღოლთა შემოსევებმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ უფლისციხესთან მიმართებით ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის უყოყმანოდ გაზიარება არ იქნებოდა მართებული. ნუმისმატიკური მონაცემები და არქეოლოგიური მასალის გარკვეული ნაწილი იმაზე მიუთითებს, რომ XIII ს-ის 30-იანი წლების შემდგომაც უფლისციხეში ცხოვრება, შესაძლოა, არა ისე ინტენსიურად როგორც ადრე, მაგრამ კვლავ გრძელდება.

* * *

ძირეული პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ცვლილებების შედეგად ახ. წ. IV ს-ის შემდგომ ქართლის სამეფოს უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტი – უფლისციხე კარგავს თავის პოზიციებს და ციხის მდგომარეობამდე ქვეითდება.

ვითარება მკვეთრად იცვლება IX ს-დან. იმ დროიდან XI ს-ის ჩათვლით უფლისციხე განსაკუთრებულ როლს თამაშობდა საქართველოს გაერთიანებაში. იგი IX-XI სს-ში შიდა ქართლის უმნიშვნელოვანესი ციხე და სამეფო რეზიდენციაა. უფლისციხე ქვეყნის გაერთიანების ძირითადი საყრდენი სიმაგრეა აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს გაერთიანების შემდეგ სამეფო რეზიდენციის თბილისში გადატანამ, გორის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევამ და სხვა მოვლენებმა უფლისციხის პოზიციები თანდათან შეასუსტა.

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე ცხოვრება გვიანდელ შუა საუკუნეებშიც გრძელდება, თუმცა, ნაკლები ინტენსიურობით. ვახუშტი ბაგრატიონი XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის უფლისციხეს უკვე მიტოვებულ, „შემუსვრილ“ ციხედ თვლიდა [ქართლის ცხოვრება. 1973:366₁₁₋₁₃].

გამოყენებული ლიტერატურა

